გაეროს განვითარების პროგრამა

ქვეყანა: საქართველო

proeqtis dokumenti

პროექტის დასახელება:	**აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება დამათი მართვის დახვეწა**

UNDAF-ის შედეგები: კატასტროფის რისკის ძირითადი ფაქტორები შემცირებულიაგარემოსა და ბუნებრივი რესურსების გონივრული მართვის შედეგად

UNDP-ის სტრატეგიული გეგმის „გარემოსა და მდგრადი განვითარების“ნაწილის<u>მთავარი</u>შედეგი:შესაძლებლობათა განვითარება გარემოს გონივრულად მართვისა და გაჭირვებული მოსახლეობის დაცვის უზრუნველსაყოფად.

UNDP-ის სტრატეგიული გეგმის <u>მეორადი</u>შედეგი: გარემოსა და ენერგეტიკული რესურსებისაქტუალობის ხაზგასმა.

კავშირი UNDP-ის „ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების გლობალურ გეგმებთან“(2012-2020):

სახელობითი პროგრამა #2: ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება დაცული ტერიტორიების, მათ შორის დაცული თვითმყოფადი თუ დასახლებული უბნების, შესაძლებლობათა წარმოჩენითა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობით.

საპროგრამო დოკუმენტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი3.2: კატასტროფების რისკის განმაპირობებელი ფაქტორები შემცირებულიაგარემოსა და ბუნებრივი რესურსების გონივრული მართვის გზით.

საპროგრამო დოკუმენტის სამოქმედო გეგმის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:
3.2.1. საცდელ უბნებზე განხორციელდა და დაიხვეწა ქიმიკატებისა და ბუნებრივი რესურსების, მათ შორის ნიადაგის, წყლისა და ბიოლოგიური რესურსების, მართვის გონივრული პრაქტიკა და მეთოდები, რომ მოიცვას მთელი ქვეყანა და/ან გასცდეს მის საზღვრებს.
3.2.5 მოიმატა დაცული ტერიტორიების ფინანსურმა და სამეურნეო მდგრადობამ.

[პროექტის ამოცანა]დაცული ტერიტორიის მართვის დახვეწა აჭარის ტყეთა ეკოსისტემების შესანარჩუნებლად

[პროექტის კომპონენტები] ***(1)***დაცული ტერიტორიების მართვის დახვეწა; ***(2)***დაცული ტერიტორიების სისტემის გაფართოება დაცული ტერიტორიების ფუნქციური კავშირის განსამტკიცებლად.

განმახორციელებელი პარტნიორი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცული ტერიტორიების სააგენტო**.**

ზოგადი აღწერა:პროექტის მიზანია საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაცული ტერიტორიების მართვის დახვეწა, ბიოგეოგრაფიული საზღვრების გაფართოება და ურთიერკავშირის განმტკიცება უნიკალური კოლხური ტყეების (ზომიერად ნოტიო ტყეების) უკეთ დასაცავად. ეს მხარე მნიშვნელოვანია თავისი ბიომრავალფეროვნებით ნოტიო პლიოცენური ფლორის, დიდი რაოდენობით მცირედგავრცელებული (ადგილობრივი, ენდემური) მცენარეებისა და ცხოველების, ასევე მისი, როგორც გადამფრენი ფრინველების მარშრუტის ვიწრო ყელის, სტატუსის გამო. პროექტი დაეხმარება მთავრობას, აამოქმედოს ცოტა ხნის წინ ოფიციალურად გაცხადებული მაჭახელას ეროვნული პარკი, რომელიც შეკრავს კოლხური ტყეების შესანარჩულნებლად შექმნილი დაცული ტერიტორიების 4 ერთეულისგან შემდგარ ჯაჭვს (კინტრიში, მტირალა და მაჭახელა საქართველოში და ჯამილი თურქეთში).

საპროგრამო პერიოდი:	
Atlas-ის გრანტის ნომერი: 00076819	
პროექტის ნომერი: 00088000	
PIMS #: 4732	
დაწყების თარიღი:	
ხანგრძლივობა: 4წელი	
მართვის წესი:NIM	
PAC-ის კრება:17 დეკემბერი, 2013წ	

საჭირო სახსრები მთლიანად (პროექტის მთლიანი თანხები) [A+B]	*14,998,778$*
[A] პროექტის დოკუმენტის თანახმადUNDP-თვის გამოყოფილი სახსრები მთლიანად	**1,323,636$**
- რეგულარული (UNDP TRAC)	40,000$
- GEF	1,283,636$
[B] სხვა (თანადაფინანსებითმიმართული სახსრები)	
- საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო (ბიუჯეტიდან 4 წლის განმავლობაში გამოყოფილი ასიგნებები)	1,395,490$
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	7,638,036$

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1,757,553$
- KfW	2,317,063$
- WWF	100,000$
- USDoI	40,000$
- CNF	317,000$
არაფულადი შენატანები: - UNDP CO (TRAC)	110,000$

ეთანხმება: (მთავრობა)

ხელმოწერა თარიღი

ეთანხმება: (UNDP)

ხელმოწერა თარიღი

პროექტის დოკუმენტი

საქართველოს მთავრობა და გაეროს განვითარების პროგრამა

აღმასრულებელი სააგენტო /განმახორციელებელი პარტნიორი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

გაეროს განვითარების პროგრამა

UNDP GEF PIMS 4732 / GEF-ის სამდივნოს პროექტი #4835
Atlas-ის გრანტი/ Atlas პროექტი #00082879

ეროვნული პროექტი ბიომრავალფეროვნების შესახებ: აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება დამათი მართვის დახვეწა

ზოგადი აღწერა

პროექტის მიზანია საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაცული ტერიტორიების მართვის დახვეწა, ბიოგეოგრაფიული საზღვრების გაფართოება და ურთიერკავშირის განმტკიცება უნიკალური კოლხური ტყეების[1] (ზომიერად ნოტიო ტყეების) უკეთ დასაცავად. ეს მხარე მნიშვნელოვანია თავისი ბიომრავალფეროვნებით ნოტიო პლიოცენური ფლორის, დიდი რაოდენობით მცირედგავრცელებული (ადგილობრივი, ენდემური) მცენარეებისა და ცხოველების, ასევე მისი, როგორც გადამფრენი ფრინველების მარშრუტის ვიწრო ყელის, სტატუსის გამო.

პროექტი დაეხმარება მთავრობას, აამოქმედოს ცოტა ხნის წინ ოფიციალურად გაცხადებული მაჭახელას ეროვნული პარკი, რომელიც შეკრავს კოლხური ტყეების შესანარჩუნებლად შექმნილი დაცული ტერიტორიების 4 ერთეულისგან შემდგარ ჯაჭვს (კინტრიში, მტირალა და მაჭახელა საქართველოში და ჯამილი თურქეთში). გარდა ამისა, პროექტი ხელს შეუწყობს აჭარის დაცული ტერიტორიების მართვის დახვეწასა და თურქეთის ჯამილის ნაკრძალთან დაკავშირებას;

[1]კოლხური ტყეები გვხვდება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით - საქართველოსა და თურქეთში. ეს არის შერეული ტყეები, სადაც მარადმწვანე კავკასიურ სოჭთან (*Abies nordmanniana*), კავკასიურ ნაძვთან (*Picea orientalis*) და ჩვეულებრივ ფიჭვთან (*Pinus sylvestris*)ერთად ხარობს ფოთლოვანი შავი მურყანი (*Alnus glutinosa*), რცხილა (*Carpinus betulas* and *C. orientalis*), წიფელი (*Fagus orientalis*) და წაბლი (*Castanea sativa*)

ასევე დაეხმარება დაცული ტერიტორიების სააგენტოს, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებს მიზნად დაუსახოს ფინანსური დაგეგმვის დახვეწა, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურად ჩაბმა დაცული ტერიტორიების მართვაში და ცოდნის ამაღლება მოქნილი და ერთობლივი მიდგომების ასამოქმედებლად ბიომრვალფეროვნების ხანგრძლივად შენარჩუნებისა და სოფლის მცხოვრებთა ეკონომიკური პირობების უწყვეტად გაუმჯობესების მიზნით.

სარჩევი

შემოკლებანი 7

I თავი: თხრობითინაწილი 8

მოკლეშინაარსი 8

I ნაწილი:ვითარების შესწავლა 12

კონტექსტიდასაყოველთაომნიშვნელობა 12

საფრთხეები, ძირეულიმიზეზებიდაზემოქმედება 35

ხანგრძლივმოქმედიგამოსავალიდამისიძიებისდამაბრკოლებელიფაქტორები 38

საწყისივითარებისშესწავლა 49

II ნაწილი: სტრატეგია 51

პროექტის არსი და სტრატეგიათა შესაბამისობა 51

პროექტისმიზანი, ამოცანა, საბოლოოდაშუალედურიშედეგები/ღონისძიებები 53

მაჩვენებლებიდარისკები 65

ეკონომიურობა 68

საქართველოსპასუხისმგებლობა:
რამდენადაკმაყოფილებსქვეყანასაერთაშორისომოთხოვნებს 69

პროექტისშესაბამისობაეროვნულგეგმებთანდაპრიორიტეტებთან 70

მდგრადობადაცოდნისადაგამოცდილებისგაზიარება 71

III ნაწილი: მართვის სქემა 74

პროექტისგანხორციელებისსქემა 74

ფინანსური და სხვა წესები 77

ფინანსური შემოწმება 77

IV ნაწილი: მონიტორინგისსქემადაშეფასება 78

მონიტორინგი და ანგარიშგება 78

V ნაწილი: სამართლებლივი მხარე 89

II თავი: სტრატეგიულიშედეგებისგეგმა 90

III თავი: ერთიანიბიუჯეტიდასამუშაოგეგმა 94

IV თავი: დამატებითიინფორმაცია 102

I ნაწილი: პროექტისწამყვანთანამშრომელთაკომპეტენციადაუფლება-მოვალეობანი 102

პროექტის ხელმძღვანელი 102

პროექტის ადმინისტრაციული თანაშემწე 104

პროექტის ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორი 105

სხვა მრჩეველები 107

II ნაწილი: პროექტისრუკები 110

III ნაწილი: მხარეთაპროექტშიჩაბმისგეგმა 114

IV ნაწილი: წერილებითანადაფინანსებისვალდებულებისშესახებ 118

V ნაწილი: ტექნიკურიანგარიშები 118

VI ნაწილი: METT დაშესაძლებლობათაგანვითარებისშეფასებისფურცელი 119
VII ნაწილი: საქართველოსკანონიმაჭახელასეროვნულიპარკისშესახებ 122

შემოკლებანი

CNF	**კავკასიის ბუნების ფონდი** Caucasus Nature Fund
DoI	**აშშ შინაგან საქმეთა დეპარტამენტი** US Department of Interior
EIA	**გარემოზე ზემოქმედების შეფასება** Environmental Impact Assessment
GEF	**გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი** Global Environment Facility
GIS	**გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემა** Geographical Information System
GIZ	**გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება** Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit
IUCN	**ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი** International Union for Conservation of Nature
KfW	**რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი** Kreditanstalt für Wiederaufbau
METT	**მართვის ქმედითობის შეფასების ინსტრუმენტი** Management Effectiveness Tracking Tool
NBSAP	**ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა** National Biodiversity Strategy and Action Plan
NIM	**(პროექტის) განხორციელების ადგილობრივი ფორმა** National Implementation Modality
UNDP	**გაეროს განვითარების პროგრამა** United Nations Development Programme
UNDAF	**გაეროს გეგმა განვითარების ხელშეწყობისთვის** United Nations Development Assistance Framework
UNFCCC	**გაეროს ჩარჩო-კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ** United Nations Framework Convention on Climate Change
WWF	**ბუნების მსოფლიო ფონდი** Worldwide Fund for Nature

I თავი: თხრობითი ნაწილი

მოკლეშინაარსი

კავკასიის ეკორეგიონი საფრთხის ქვეშ მყოფი ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი საცავია. ის ერთ-ერთია WWF-ის 200 ეკორეგიონს, ხმელეთის 34 ბიოლოგიურად მდიდარ და საფრთხის ქვეშ მყოფ ეკოსისტემებსა დაენდემურ ფრინველთა გავრცელების 221 არეს შორის. ტყის ეკოსისტემა, რომელსაც რეგიონის თითქმის 20% უჭირავს, უმთავრესია კავკასიის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების თვალსაზრისით. ამჟამად ტყეების 13.78% დაცულ ტერიტორიებზეა. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ტყეები შეიძლება ხუთ პირველად გეოგრაფიულ არედ დაჯგუფდეს, ერთ-ერთია მცირე კავკასიონი.

საქართველო, თავისიმთლიანიფართობით(69500 კმ^2), კავკასიის ეკორეგიონის ნაწილი (12%) და ბიომრავალფეროვნების თვალსაჩინო მაგალითია. ის მდებარეობს შავსა და კასპიის ზღვებს შორის. აქ მრავალგვარი ლანდშაფტი და კლიმატია: დასავლეთ საქართველო შედარებით ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით ხასიათდება, აღმოსავლეთში კი უფრო მშრალი, ზომიერად ნოტიო ჰავაა. თავისი ადგილმდებარეობით (ორი მთავარი ბიო-გეოგრაფიული რეგიონის (შავი ზღვისა და ალპური) საზღვარი), ხმელეთის ფორმით (ნახევარკუნძული შავსა და კასპიის ზღვებს შორის ქმნის მნიშვნელოვან მარშრუტს მიგრაციისა და გადაფრენისთვის), ლანდშაფტის ტოფოგრაფიითა (ზღვის დონიდან სიმაღლის დიდი დიაპაზონი და იზოლირებულობის შესაძლებლობები) და კლიმატით საქართველო უმნიშვნელოვანესია ბიომრავალფეროვნების მხრივ. აქ გვხვდება კავკასიის ეკორეგიონში არსებული ყველა მთავარი ეკოსისტემა, აქედან ტყეების ეკოსისტემა ქვეყნის 60%-ს შეადგენს. მცირე კავკასიონის ქედის დასავლეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების თვალსაზრისით მცენარეთა რელიქტური და ენდემური ჯიშების სიუხვის გამო.

საქართველოში, და მთლიანად ეკორეგიონში, **აჭარა** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მხრივ. მისი ფართობი 2900 კმ^2-ია და კავკასიის ეკორეგიონის 0.5% და საქართველოს 4.2% უჭირავს. აჭარა მდებარეობს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცირე კავკასიონის უკიდურეს ჩრდილოეთში. ეს მხარე თურქეთისკენ გადაჭიმული კავკასიის ეკორეგიონისპრიორიტეტული ნაწილია (მცირე კავკასიონის დასავლეთის პრიორიტეტული მხარე შენარჩუნების თვალსაზრისით). ის მნიშვნელოვანია თავისი ბიომრავალფეროვნებით, რასაც განაპირობებს ნოტიო პლიოცენური ფლორა, დიდი რაოდენობით მცირედგავრცელებული (ადგილობრივი, ენდემური) მცენარეები (მათ შორის როდოდენდრონის ორი სახეობა და მარადმწვანე ხეები და ბუჩქები), თევზების, ამფიბიების, ხვლიკების, პატარა ცხოველების, ლოკოკინებისა და ხოჭოების მრავალი ენდემური სახეობა, ასევე მისი, როგორც გადამფრენი ფრინველების მარშრუტის ვიწრო ყელის,

სტატუსი. აჭარაში ჭარბობს კოლხური ტყეები (ზომიერად ნოტიო ტყეები) - მათ ტყის მთლიანი საფარის 67% უჭირავს.

აჭარაავტონომიურირესპუბლიკაასაქართველოში საკუთარი პარლამენტითა და კანონმდებლობით. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისშემდგომი (1991წ.) მშფოთვარე ისტორიის გამო ამ მხარის ბიომრავალფეროვნების მიმართ ადგილობრივი თუ საერთაშორისო ინსტიტუტები ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ (გამონაკლისია ქობულეთის დაცული ტერიტორიები, რომლებმაც უფრო ადრე დაიმსახურა ყურადღება).

პირველი თანამედროვე სახის დაცული ტერიტორია საქართველოში იყო ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი (1912 წ.), რომელიც პირველი იყო მთელს კავკასიაშიც. აჭარაში პირველი დაცული ტერიტორიები იყო კინტრიშისა და ცისკარას სახელმწიფო ნაკრძალები, რომლებიც საბჭოთა ეპოქაში, 1969 წ., შეიქმნა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის ადრეული პერიოდისეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობაუარყოფითად აისახა დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსურ და მართვის შესაძლებლობებზეც. თუმცა ბოლო 15 წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი გასულ 7 წელიწადში, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა თავისი დაცული ტერიტორიების სისტემების აღსადგენად, გარდასაქმნელად და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.NBSAP-ის(1996წ.)მიხედვით, საქართველოშიბიომრავალფეროვნების შენარჩუნების უმთავრესი ელემენტი დაცული ტერიტორიების სისტემაა; ხელახლა განიმარტა დაცული ტერიტორიების შესახებ ახალი კანონის (1996 წ.) კომპონენტები, რომ შესაბამისობაში ყოფილიყო IUCN-ის რეკომენდაციებთან დაცული ტერიტორიების კატეგორიებისა და მართვის პრიოტეტების შესახებ.

2008წ. საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცული ტერიტორიების სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე დაცული ტერიტორიების უმეტესობის მართვაზე (იხ. II ცხრილი). სააგენტომ საკმაოდ წარმატებით გაართვა თავი პროპაგანდას დაცული ტერიტორიების გაფართოებისა და დაფინანსების მხარდასაჭერად, განსაკუთრებით ტურიზმის განვითარების სახელმწიფო მიზნების თვალსაზრისით. ამგვარად, თუ დამოუკიდებლობის პირველ ხანებში დაცული ტერიტორიების მთელი ფართობი 2.4% იყო, ახლა 7.35%-მდე გაიზარდა. 2007-2012 წწ. დაფინანსება თითქმის გაორმაგდა (1,3 მლნ აშშ დოლარიდან 2,1 მლნ აშშ დოლარამდე), ამას ემატება დონორთა დახმარება დაახლ.13,5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით გასულ6 წელიწადში.

საკმაოდ მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, დაცული ტერიტორიების სააგენტო ჯერ კიდევ ახალგაზრდა ერთეულია, რომ სათანადოდ გაუმკლავდეს დაცული ტერიტორიების სწრაფ ზრდა-განვითარებას. ამიტომ, ბუნებრივია, არსებობს ტერიტორიები, სადაც სისტემის

მართვა, ეკონომიურობა და თანამშრომელთა, განსაკუთრებით უბნებზე მომუშავეთა, კვალიფიკაცია ჯერ კიდევ დასახვეწია.დაცული ტერიტორიების სისტემის აშკარა დამოკიდებულება საერთაშორისო თუ რეგიონულ დაფინანსებაზე მიანიშნებს, რომ სისტემა პრაქტიკულად დაუცველია დაფინანსების წყაროების ნებისმიერი ცვლილების წინაშე, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის მის ხანგრძლივ მდგრად განვითარებასაც. მართალია, დაცული ტერიტორიების ფინანსური დაგეგმვის წესებისა და მითითებების შემუშავების მხრივ გარკვეული წინსვლა შეინიშნება, საჭიროა მათი შემდგომი დახვეწა და პრაქტიკაში დანერგვა.

მეორედა, გარკვეულწილად, ზემოაღნიშნულთანდაკავშირებულისაკითხიასაზოგადოებისმონაწილეობადა, შესაბამისად, ადგილობრივიმოსახლეობისდაცულიტერიტორიებისმართვისპროცესშიჩაბმა. მართალია, ესდაგეგმვისადაწესებისმთელკომპლექსსმოითხოვს, მაგრამ საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამ გზით უფრო ნაკლები საფრთხე ემუქრება ბიომრავალფეროვნებას და მტკიცდება დაცული ტერიტორიის მდგრადობა. თუმცა ისტორიულად საქართველოში ამგვარი მიდგომის მაგალითები ცოტაა და დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების ამ ეტაპზე ამ მხრივ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული.

ეკონომიკური კრიზისისა და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის შეუფერხებელი მიმოსვლის გამო იმატა ბრაკონიერობამ და ველური ბუნებით უკანონო ვაჭრობამ. საბედნიეროდ, აჭარაში ბუნებრივი რესურსების გადამეტებული ექსპლუატაციის მაგალითები ძალიან ცოტაა და შედეგიც ჯერ-ჯერობით არაა საგანგაშო. მეორეს მხრივ, აჭარა საკმაოდ სწრაფად ვითარდება და,შესაბამისად, იცვლება მისი ეკონომიკური პროფილი და მიწათსარგებლობის ფორმები. აჭარის ტყის ეკოსისტემას მთავარ საფრთხეს მხარის სწრაფი ეკონომიკური ზრდა და სატრანსპორტო კვანძად და ტურისტულ მხარედ გადაქცევის პერსპექტივა უქმნის.

აღნიშნული საფრთხის ხანგრძლივად თავიდან ასაცილებლად საჭიროა, აჭარაში შეიქმნას დაცული ტერიტორიების ფუნქციური, წარმომადგენლობითი და მდგრადი კომპლექსი, რაც დაიცავს ბიომრავალფეროვნებას და უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების ფუნქციურ კავშირს; ასევე აუცილებელია ბუნებრივი რესურსების უკანონო და ჭარბი ექსპლუატაციის შემცირება, უმიზნო განვითარების შეზღუდვა და ადგილობრივ თემთა აქტიური მონაწილეობა დაცული ტერიტორიების მართვაში ცენტრალურ თუ ადგილობრივ სამთავრობო უწყებებთან შეთანხმებით.

პროექტის მიზანია, შეიქმნას დაცული ტერიტორიების რეგიონული კომპლექსი დასავლეთი საქართველოს მცირე კავკასიონის ქედის საყოველთაოდ მნიშვნელოვანი ზომიერად ნოტიო კოლხური ტყეების დაცვისა და გონივრულად სარგებლობის მიზნით. პროექტის ამოცანაა, დაიხვეწოს მართვის მეთოდები, გაფართოვდეს ბიოგეოგრაფიული საზღვრები და განმტკიცდეს დაცული ტერიტორიების ფუნქციური კავშირი აჭარის ტყის ეკოსისტემის

შესანარჩუნებლად. პროექტის მიზნის მისაღწევად საჭიროა 1. აჭარის დაცული ტერიტორიების მართვის დახვეწა და 2. დაცული ტერიტორიების სისტემის გაფართოება მცირე კავკასიონის დასავლეთით არსებული დაცული ტერიტორიების ფუნქციური კავშირის განსამტკიცებლად.

პროექტი ხელს შეუწყობს აჭარის დაცული ტერიტორიების სავარგულების გაფართოებასა და ქმედითი მართვის დამაბრკოლებელი ფაქტორების შემცირებას. ეს შესაძლებელი გახდება მაჭახელას ეროვნული პარკის ამოქმედებითა და კოლხური ტყეების დაცვის მიზნით შექმნილი აჭარის დაცული ტერიტორიების სისტემის ქმედითი მართვით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა აჭარის დაცული ტერიტორიების სისტემის ეკონომიურობასა და ფინანსურ თუ სოციალურ მდგრადობას. საამისოდ, დაცული ტერიტორიების თანამშრომლები აითვისებენ მართვის მოქნილ მეთოდებს, შემოწმდება ფინანსური დაგეგმვისა და შემოსავლების ზრდის ახალი მექანიზმები, ადგილობრივი მოსახლეობა უფრო აქტიურად ჩაებმება დაცული ტერიტორიების მართვაში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი მონაწილე მხარეებისთვის (ადგილობრივი ხელისუფლება და მოსახლეობა) შეიქმნება თანამმართველობის მექნიზმები და, შესაბამისად, განვითარდება მათი შესაძლებლობები. პროექტის შედეგად მიღებული მოწინავე გამოცდილება დიდად წაადგება დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და საქართველოს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებს.

I ნაწილი:ვითარების შესწავლა

კონტექსტიდასაყოველთაომნიშვნელობა

გარემოს დაცვა

კავკასიის ეკორეგიონი საფრთხის ქვეშ მყოფი ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი საცავია. ის ერთ-ერთია WWF-ის 200 ეკორეგიონს[2], ხმელეთის 34 ბიოლოგიურად მდიდარ და საფრთხის ქვეშ მყოფ ეკოსისტემებს[3] დაენდემურ ფრინველთა გავრცელების 221 არეს შორის[4].კავკასიაში ხარობს ძარღვიან მცენარეთა 6500-ზე მეტი სახეობა და ენდემურ მცენარეთა ჩვიდმეტი გვარი. კავკასიის ეკორეგიონის მთლიანი ფართობი 580000 კმ^2-ია და მოიცავს ექვს ქვეყანას, მათ შორის საქართველოს. ეკორეგიონის 65% მთებია, დაბლობებსა და ზეგნებს კი დარჩენილი 35% უჭირავს. რთული მთიანი რელიეფი კლიმატური ზონების მრავალფეროვნებას განაპირობებს, რაც რეგიონებსდიდად განასხვავებს ერთმანეთისგან. ეს მრავალრიცხოვანი მიკროკლიმატური ზონა სხვადასხვა ეკოსისტემას წარმოქმნის. ტყეები, რომლებიც რეგიონის 20%-ს შეადგენს, უმნიშვნელოვანესი ეკოსისტემაკავკასიის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების თვალსაზრისით. ამჟამად ტყეების 13.78% დაცულ ტერიტორიებზეა. ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად უმნიშვნელოვანესი ტყეები შეიძლება ხუთ პირველად გეოგრაფიულ არედ დაჯგუფდეს, ერთ-ერთია მცირე კავკასიონი.

საქართველომთლიანიფართობით(69500 კმ^2) კავკასიის ეკორეგიონის ნაწილი (მოიცავს 12%) და ბიომრავალფეროვნების თვალსაჩინო მაგალითია. ის მდებარეობს შავსა და კასპიის ზღვებს შორის. ამ ქვეყანაში მრავალგვარი ლანდშაფტი და კლიმატია: დასავლეთ საქართველო შედარებით ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით ხასიათდება, აღმოსავლეთში კი უფრო მშრალი, ზომიერად ნოტიო ჰავაა. თავისი ადგილმდებარეობით (ორი მთავარი ბიო-გეოგრაფიული რეგიონის, შავი ზღვის და ალპური, საზღვარი), ხმელეთის ფორმით (ნახევარკუნძული შავსა და კასპიის ზღვებს შორის ქმნის მნიშვნელოვან მარშრუტს მიგრაციისა და გადაფრენისთვის), ლანდშაფტის ტოფოგრაფიითა (ზღვის დონიდან სიმაღლის დიდი დიაპაზონი და იზოლირებულობის შესაძლებლობები) და კლიმატით საქართველო ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი საცავია. საქართველოში გვხვდება კავკასიის ეკორეგიონში არსებული ყველა მთავარი ეკოსისტემა, აქედან ტყეების ეკოსისტემა ქვეყნის

---

[2] Olson, D.M.& Dinerstein, E. 2002. *The Global 200: Priority Ecoregionsfor Global Conservation*. Ann. Missouri Bot. Gard. 89:199 – 224.

[3] Mittermeier, R.A., Myers, N. & Mittermeier, C.G. 2000. *Hotspots: Earth's Biologically Richest and Most Endangered Terrestrial Ecoregions.* Conservation International.

[4]„გავრცელების არეების მიხედვითმსოფლიოშიფრინველთა დაცვის უმნიშვნელოვანეს ადგილებს ენდემურ ფრინველთა არეები(EBAs) ეწოდება. სახეობათა უმეტესობა საკმაოდ გავრცელებულია, თუმცა 2500-ზე მეტი სახეობის გავრცელების არე საკმაოდ შეზღუდულია (50000 კმ^2-ზე ნაკლები) და ისინი ენდემურ სახეობებად ითვლებიან. „ბერდლაიფმა" განსაზღვრა რეგიონები, სადაც გავრცელების შეზღუდულ არეებში წარმოდგენილი ორი ან მეტი სახეობა გადაიკვეთება და ქმნის ენდემურ ფირნველთა არეებს", - www.birdlife.org/datazone/eba,12/30/2011

60%-ს შეადგენს. საქართველოში ბუნებრივი მცენარეული საფარის ძირითადი რეგიონებია: 1. ალპური სარტყელი და სუბალპური დაბალი ბუჩქნარი და ტყე; 2. ზომიერად ტენიანი ფოთოლმცვენი ტყე; 3. შერეული ტყე მარადმწვანე ქვეტყით; 4. ტრამალი; 5. კოლხური ტყე; 6. ბუჩქნარი და მშრალი ტყე-ბუჩქნარი[5].მცირე კავკასიონის ქედის დასავლეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების თვალსაზრისით მცენარეთა რელიქტური და ენდემური ჯიშების სიუხვის გამო.

<u>პროექტისმოქმედების არე</u>: საქართველოში(და მთელ ეკორეგიონშიც)**აჭარა** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მხრივ. მისი ფართობი 2900 კმ^2-ია და კავკასიის ეკორეგიონის 0.5% და საქართველოს 4.2% უჭირავს. აჭარა მდებარეობს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცირე კავკასიონის უკიდურეს ჩრდილოეთში. ეს მხარე თურქეთისკენ გადაჭიმული კავკასიის ეკორეგიონის პრიორიტეტული ნაწილია (მცირე კავკასიონის დასავლეთის პრიორიტეტული მხარე[6] შენარჩუნების თვალსაზრისით). ის მნიშვნელოვანია თავისი ბიომრავალფეროვნებით, რასაც განაპირობებს ნოტიო პლიოცენური ფლორის ბუნებრივი საცავი, დიდი რაოდენობით მცირედგავრცელებული (ადგილობრივი, ენდემური) მცენარეები (მათ შორის როდოდენდრონის ორი სახეობა და მარადმწვანე ხეები და ბუჩქები), თევზების, ამფიბიების, ხვლიკების, პატარა ცხოველების, ლოკოკინებისა და ხოჭოების მრავალი ენდემური სახეობა, ასევე მისი, როგორც გადამფრენი ფრინველების მარშრუტის ვიწრო ყელის, სტატუსი. აჭარაში ჭარბობს კოლხური ტყეები[7] (ზომიერად ნოტიო ტყეები) - მათ ტყის მთლიანი საფარის 67% უჭირავთ.

აჭარაავტონომიურირესპუბლიკაასაქართველოში საკუთარი პარლამენტითა და კანონმდებლობით. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისშემდგომი (1991წ.) მშფოთვარე ისტორიის გამო ამ მხარის ბიომრავალფეროვნების მიმართ ადგილობრივი თუ საერთაშორისო ინსტიტუტები ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ (გამონაკლისია ქობულეთის დაცული ტერიტორიები, რომლებმაც უფრო ადრე დაიმსახურა ყურადღება).

დაცული ტერიტორიების სისტემა: ისტორია, ამჟამინდელი ვითარება და საზღვრები

საქართველოსდაცულ ტერიტორიებს დიდი ისტორია აქვს. საუკუნეების მანძილზე ხალხი რელიგიური მოსაზრებით იცავდა მიწებს - არსებობდა ე.წ. „ხატის ტყეები“. ასევე არსებობდა

---

[5] Box, E.O.; Fujiwara, K.; Nakhutsrishvili, G.; Zazanashvili, N.; Liebermann, R.J. and Miyawaki, A. 2000. Vegetation and Landscapes of Georgia (Caucasus) as a Basis for Landscape Restoration. Bull. Inst. Environ. Sci. Technol. Yokohama. Natm. Univ. 26: 69 – 102.

[6]WWF. 2006. An Ecoregional Conservation Plan for the Caucasus.

[7]კოლხური ტყეები გვხვდება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით საქართველოსა და თურქეთში. ეს არის შერეული ტყეები, სადაც მარადმწვანე კავკასიურ სოჭთან (*Abies nordmanniana*), კავკასიურ ნაძვთან (*Picea orientalis*) და ჩვეულებრივ ფიჭვთან (*Pinus sylvestris*)ერთად ხარობს ფოთლოვანი შავი მურყანი (*Alnus glutinosa*), რცხილა (*Carpinus betulas*და*C. orientalis*), წიფელი (*Fagus orientalis*) და წაბლი (*Castanea sativa*).

სამეფო და საბატონო სანადირო ადგილები და საეკლესო ტყეები მთიან მხარეებში, სადაც აკრძალული იყო ტყის ჭრა და დაცულ იყო სანადირო სახეობები. მაგალითად, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნთა კრებულის“ (მე-18 ს.) თანახმად, ქორულში იკრძალებოდა ტყის ჭრა და სეირნობა და მას მეფის მცველები იცავდნენ. საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ კი ეს ტერიტორიები სამეცნიერო და ბუნების შენარჩუნების მიზნებისთვის გამოიყენებოდა. თანამედროვე ხანის პირველი დაცული ტერიტორია იყო ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი (1912 წ.), რომელიც პირველი ამგვარი ნაკრძალი იყო მთელს კავკასიაში. აჭარაში პირველი დაცული ტერიტორიები იყო კინტრიშისა და ცისკარას სახელმწიფო ნაკრძალები, რომლებიც 1969 წ. შეიქმნა. 1991 წ., როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა, დაცული ტერიტორიების მთლიანი ფართი 180000 ჰა (მთელი მიწების 2,6%) იყო და ძირითადად მცირე ნაკრძალებისგანშედგებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის ადრეული პერიოდისეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა უარყოფითად აისახა დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსურ და მართვის შესაძლებლობებზეც. თუმცა ბოლო 15 წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი გასულ 7 წელიწადში, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა თავისი დაცული ტერიტორიების სისტემების აღსადგენად, გარდასაქმნელად და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.NBSAP-ის (1996წ.)მიხედვით, საქართველოშიბიომრავალფეროვნების შენარჩუნების უმთავრეს ელემენტი დაცული ტერიტორიების სისტემაა; ხელახლა განიმარტა დაცული ტერიტორიების შესახებ ახალი კანონის (1996 წ.) კომპონენტები, რომ შესაბამისობაში ყოფილიყო IUCN-ის რეკომენდაციებთან დაცული ტერიტორიების კატეგორიებისა და მართვის პრიოტეტების შესახებ. 2008 წ. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცული ტერიტორიების სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე დაცული ტერიტორიების უმეტესობის მართვაზე. სააგენტომ საკმაოდ წარმატებით გაართვა თავი პროპაგანდას დაცული ტერიტორიების გაფართოებისა და დაფინანსების მხადასაჭერად, განსაკუთრებით ტურიზმის განვითარების სახელმწიფო მიზნების თვალსაზრისით. ამგვარად, თუ დამოუკიდებლობის პირველ ხანებში დაცული ტერიტორიების მთელი ფართობი 2.4% იყო, ახლა 7.35%-მდე გაიზარდა. 2007-2012 წწ. დაფინანსება თითქმის გაორმაგდა (1,3 მლნ აშშ დოლარიდან 2,1 მლნ აშშ დოლარამდე), ამას ემატება დონორთა დახმარება დაახლ.13,5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით გასულ 6 წელიწადში (იხ.I ცხრილი და I გრაფიკი).

I ცხრილი: ცვლილებებიდაცული ტერიტორიების სისტემის დაფინანსებაში2006 წლიდან

	2007	2008	2009	2010	2011	2012
1. სახელმწიფო ბიუჯეტი (ლარი)	2,237,400	3,752,800	3,762,000	3,461,000	3,297,000	3,426,000

აშშ დოლარი	1,356,000	2,274,424	2,280,000	2,097,576	1,998,182	2,076,364
2. დონორთა დახმარება (ლარი)	1,100,000	3,300,000	388,194	5,422,820	5,199,644	6,873,376
აშშ დოლარი	666,667	2,000,000	235,269	3,286,558	3,151,299	4,165,682
3. საკუთარი შემოსავალი (ლარი)	0	54,193	87,167	118,138	436,793	736,464
აშშ დოლარი	0	32,844	52,828	71,599	264,723	446,342

I გრაფიკი: დაცული ტერიტორიების დაფინანსება 2007-12 წწ.



ამჟამადსაქართველოში 14 ეროვნული/სახელმწიფონაკრძალი, 9ეროვნულიპარკი, 21აღკვეთილი, ბუნების 18 ძეგლი, ორი დაცული ლანდშაფტი და 1 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაა. დაცული ტერიტორიების ფართობი 512063 ჰექტარია, რაც ქვეყნის ტერიტორიის 7.35%-ს შეადგენს (იხ. II ცხრილი). თუმცა ყველა ძირითადი ეკოსისტემა მაინც არასრულადაა წარმოდგენილი საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემაში - დაცულ ტერიტორიებზე გვხვდება ტყის ეკოსისტემის მხოლოდ 9.7%.

II ცხრილი: მოკლედ საქართველოს დაცული ტერიტორიების სახეების შესახებ[8]

დაცული ტერიტორიის სახე	დანიშნულება	მმართველი უწყება	რაოდენობა	ფართობი (ჰა)	მთელ ტერიტორიის %
სახელმწიფო	შეიქმნა და იმართება	დაცული	14	143,218.3	2.05%

[8]საქართველო, 2005 წ. *საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა*

ნაკრძალი *IUCN კატეგორია 1*	ძირითადად სამეცნიერო მიზნებისთვის და/ან ველური ბუნების ხელშეუხებლობის დასაცავად	ტერიტორიების სააგენტო			
ეროვნული პარკი *IUCN კატეგორია 2*	შეიქმნა და იმართება ძირითადად ბუნებრივი ეკოსისტემის შესანარჩუნებლად და აღსადგენად	დაცული ტერიტორიების სააგენტო	9	268,719.91	3.86%
ბუნების ძეგლი *IUCN კატეგორია 3*	შეიქმნა და იმართება ძირითადად კონკრეტული ბუნებრივი მახასიათებლების შესანარჩუნებლად	დაცული ტერიტორიების სააგენტო	21	455.1	0.01%
აღკვეთილი *IUCN კატეგორია 4*	შეიქმნა და იმართება ძირითადად ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად გონივრული მართვის გზით	დაცული ტერიტორიების სააგენტო	18	64,119	0,92%
დაცული ლანდშაფტი *IUCN კატეგორია 5*	შეიქმნა და იმართება ძირითადად ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, პეიზაჟის შესანარჩუნებლად და აღსადგენად	ადგილობრივი მუნიციპალიტეტები	2	34,708	0,5%
მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია *IUCN კატეგორია 6*	შეიქმნა და იმართება ბუნებრივი ეკოსისტემებისა და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოსაყენებლად. ეს არის „დაცული ტერიტორიების შესახებ“ კანონით დადგენილი სამართლებრივი კატეგორია დაცული ტერიტორიის მიერ ბუფერული ზონის (თუ ასეთ შეიქმნება) ხელშესაწყობად.	ადგილობრივი მუნიციპალიტეტები	1	842.4	0,01%
სულ:			65	512062.71	7,35%

მნიშვნელოვანიმიღწევებისმიუხედავად, დაცულიტერიტორიებისსააგენტოჯერ კიდევ ახალგაზრდაერთეულია, რომსათანადოდგაუმკლავდესდაცულიტერიტორიებისსწრაფ ზრდა-განვითარებას. ამიტომ, ბუნებრივია, არსებობს ტერიტორიები, სადაც სისტემის მართვა,

ეკონომიურობა და თანამშრომელთა, განსაკუთრებით უბანზე მომუშავეთა, კვალიფიკაცია ჯერ კიდევ დასახვეწია. მაგალითად, არსებული სისტემა საკმაოდ ცენტრალიზებულია და დაცულ ტერიტორიას თითქმის მხოლოდ სააგენტო მართავს, ადგილობრივი პერსონალის ასპარეზი ერთგვარად შეზღუდულია. ცენტრალიზებული მართვა საჭირო იყო დამოუკიდებლობის ადრეულ ეტაპზე, როდესაც დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებს ცენტრის სუსტი მხარდაჭერით, მწირი დაფინანსებითა და ნაკლებკვალიფიციური მუშაკებით ახალ გარემოზე მორგება უჭირდა. ახლა მართვის ამგვარი ფორმა უკვე მიზანშეუწონელია. ვითარების შეცვლასა და სისტემის განვითარებასთან ერთად, ცენტრალიზებულობის არსებული დონე ხელს უშლის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებს, ისარგებლონ მართვის მოქნილი მეთოდებით. ეს უკანასკნელი კი საჭიროა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნების მისაღწევად მცირე დანახარჯებით. ეკონომიური ხარჯვის თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის დაფინანსების დონე, განსაკუთრებით თუ დონორთა თანხებია ჩართული, ერთ კვადრატულ კილომეტრზე დანახარჯის ოდენობით მნიშვნელოვნად აჭარბებსთითქმის ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასა და აღმოსავლეთი ევროპის ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნებს (და ბევრ „განვითარებულ“ ქვეყანასაც). პერსონალის რაოდენობაც გაცილებით აღემატება საშუალო საერთაშორისო მაჩვენებლებს. ერთის მხირვ, ეს შეიძლება საქმისადმი ერთგულებაზე მიუთითებდეს, მაგრამ თუ სხვა ფაქტორებთან (ცენტრალიზებული მართვის მაღალი დონე, მწირი გამოცდილება, გადამზადების შესაძლებლობების ნაკლებობა და სხვ.) ერთად განვიხილავთ, შეიძლება ასევე მიუთითებდეს სისტემის დაბალ ეკონომიურობასა და დახვეწის აუცილებლობაზე. დაცული ტერიტორიების სისტემის აშკარა დამოკიდებულება საერთაშორისო თუ რეგიონულ დაფინანსებაზე მიუთითებს, რომ სისტემა პრაქტიკულად დაუცველია ნებისმიერი ცვლილების წინაშე, რაც დაფინანსების წყაროებს შეიძლება შეეხოს; ეს კი, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის მის ხანგრძლივ მდგრად განვითარებასაც. ამიტომ დაცული ტერიტორიების ფინანსური გეგმა და მართვის ეკონომიურობის საკითხი დაცული ტერიტორიების სააგენტოს უმთავრესი საზრუნავი უნდა გახდეს.

მეორედა, გარკვეულწილად, ზემოაღნიშნულთანდაკავშირებული საკითხია საზოგადოების მონაწილეობა და, შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის დაცული ტერიტორიების მართვის პროცესში ჩაბმა. მართალია, ეს დაგეგმვისა და წესების მთელ კომპლექსს მოითხოვს, მაგრამ საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, ამ გზით უფრო ნაკლები საფრთხე ემუქრება ბიომრავალფეროვნებას და მტკიცდება დაცული ტერიტორიის მდგრადობა. თანამმართველობის სათანადო ფორმების დანერგვა სასიკეთო იქნება არა მხოლოდ უკეთ მოვლა-პატრონობისა და საფრთხის შემცირების, არამედ ეკონომიური მართვის თვალსაზრისითაც (მაგ., იძულებითი ღონისძიებების შემცირებით, მართვის ფუნქციების გადანაწილებით და ინვესტიციების მოზიდვით). თუმცა ისტორიულად საქართველოში ამგვარი მიდგომის მაგალითები ცოტაა და დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების ამ ეტაპზე ამ მხრივ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული.

<u>საკანონმდებლო ბაზა და ადგილობრივი თემების დაცული ტერიტორიების მართვაში ჩაბმა:</u> საქართველოს კანონში დაცული ტერიტორიების შესახებ (1996 წ.) არის რამდენიმე მუხლი, სადაც ლაპარაკია ადგილობრივი მოსახლეობის დაცული ტერიტორიების, სახელმწიფო ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების (IUCNI და II კატეგორიის დაცულ ტერიტორიები) მართვაში მონაწილეობაზე. მე-16 მუხლის (დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონები) პირველი პუნქტის თანახმად, „დამხმარე ზონები“ შეიძლება, საჭიროებისამებრ, შეიქმნას სახელმწიფო ნაკრძალებისა თუ ეროვნულ პარკების გარშემო და მიენიჭოს „მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიის“ სამართლებრივი სტატუსი (IUCN მე-6 კატეგორია). იმავე მუხლის მეორე პუნქტით „ზონის მართვა, საკოორდინაციო მოქმედებათა განვითარება და დაშვებული საქმიანობა განისაზღვრება სპეციალური პროგრამით, რომელსაც მართვის გეგმასთან ერთად ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი“. ამგვარად, საერთაშორისო კანონმდებლობით ცნობილი „ბუფერული ზონები“ I და II კატეგორიის დაცული ტერიტორიების გარშემო სამართლებრივად განმარტებულია. თუმცა სინამდვილეში ვითარება არც ისე ცალსახაა: პირველ რიგში, დაცული ტერიტორიების სააგენტო სხვადასხვაგვარად განმარტავს დამხმარე და ბუფერულ ზონებს. პირველის მნიშვნელობა დადგენილია კანონით, „ბუფერული ზონები“ დაცული ტერიტორიების გარშემო კი მიიჩნევა არედ „დამხმარე ზონის“ მსგავსი მნიშვნელობით, თუმცა სამართლებრივი სტატუსის გარეშე. ასე რომ „ბუფერულ ზონებად“ მიჩნეულ ტერიტორიაზე სააგენტოს არ აქვს არც მოქმედების და არც მისი მართვის გეგმაში ჩაბმის სამართლებრივი უფლება.

მეორე: „დამხმარე ზონების“ შესახებ მუხლის გარდა, კანონში დაცული ტერიტორიების შესახებ ასევე ლაპარაკია ადგილობრივი მოსახლეობის ჩაბმაზე <u>ეროვნული პარკების</u> მართვაში. პირველ რიგში, მე-5 მუხლის („ეროვნული პარკები“) მე-3 პუნქტი განმარტავს ეროვნული პარკების ზონებად დაყოფის საჭიროებას; ზონის ერთ-ერთი სახე კი არის „ტრადიციული გამოყენების“ ზონა. იმავე პუნქტში ნათქვამია, რომ „<u>ტრადიციული გამოყენების ზონა</u> უნდა შეიქმნას გარემოს დაცვასთან და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისთვის. ადგილობრივი საჭიროებებისა და ბუნებრივი პროდუქტულობის გათვალისწინებით ამ ზონებში დაშვებულია თიბვა, საქონლის ძოვება, შეშის ჭრა და სხვ. და იკრძალება ხვნა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების აღმართვა. დაბოლოს, დაცული ტერიტორიების შესახებ კანონის მე-12 მუხლის („საკუთრება დაცულ ტერიტორიაზე“) მე-2 პუნქტის თანახმად, *„ყველა სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის, ბუნებრივი ძეგლისა თუ აღკვეთილის ტერიტორიები მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაა. ამგვარად აკრძალულია ამ ტერიტორიებზე არსებული ბუნებრივი რესურსების გადაცემა კერძო თუ იურიდიულ პირებისთვის; <u>გამონაკლისია ეროვნული პარკების ტრადიციული გამოყენების ზონები</u> და გარკვეული უბნები აღკვეთილებში“.* შეიძლება დავასკვნათ, რომ თითქოს, კანონის მიხედვით, ეროვნულ პარკებში დაშვებულია „ტრადიციული გამოყენების ზონები“, ხოლო*„მათში*

არსებული ბუნებრივი რესურსების ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის“ (მაგ. ადგილობრივი თემებისთვის) გადაცემა სამართლებრივად შესაძლებელია და მათ მიერ ამ მიწების მართვა სხვადასხვა სამომპოვებლო საქმიანობისთვის დასაშვებია. თუმცა, თანამმართველობის ამ მუხლით შესაძლებელი ვარიანტები საქართველოში დიდად გავრცელებული არაა. აჭარის ერთადერთი დაცული ტერიტორია „ტრადიციული გამოყენების“ ზონით მტირალას ეროვნული პარკია, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას სპეციალური ნებართვით შეუძლია შეშის ჭრა.

აჭარისდაცულიტერიტორიები: აჭარის დაცულ ტერიტორიებში შედის ერთი სახელმწიფო ნაკრძალი (კინტრიში - 13893 ჰა), ერთი ეროვნული პარკი (მტირალა - 15806 ჰა), ერთი დაცული ლანდშაფტი (კინტრიში - 3190 ჰა), ერთი ნაკრძალი (ქობულეთი - 331.25 ჰა) და ერთი აღკვეთილი (ქობულეთი - 438.75 ჰა). წლების მანძილზე ეს დაცული ტერიტორიები არასკმარისად ფინანსდებოდა, ნაწილობრივ, მხარის ავტონომიური სტატუსის (გამონაკლისი იყო ქობულეთის დაცული ტერიტორიები) ნაწილობრივ კი პოლიტიკური არეულობის გამო. მართვის სუსტი მექანიზმების გამო, აჭარის დაცული ტერიტორიები არასრულყოფილია ბიო-გეოგრაფიული საზღვრების თვალსაზრისით და უძლურია მოსალოდნელი საფრთხეების წინაშე. აჭარის ბიომრავალფეროვნება იმართება ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ადმინისტრაციების რთული სისტემით. განსაზღვრულ დაცულ ტერიტორიას (IUCN I-V კატეგორიები) მართავს სახელმწიფო უწყება (დაცული ტერიტორიების სააგენტო). IUCN VI კატეგორიის დაცულ ტერიტორიებსა და „ბუფერულ ზონებს“, რომლებიც სამართლებრივად არაა განსაზღვრული, მართავს რეგიონული სატყეო სააგენტო და მუნიციპალიტეტები. სატყეო და მიწათსარგებლობის დაგეგმვის პოლიტიკას შეიმუშვებს აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო. ამგვარად, დღესდღეისობით, დაცული ტერიტორიის მართვის გეგმაში არ აისახება „ბუფერულ ზონებში“ მიმდინარე საქმიანობა და მათთან დაკავშირებული პარტნიორები, რადგან დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებს სამართლებრივად ხელი არ მიუწვდებათ ამ ტერიტორიებზე. აჭარის დაცული ტერიტორიები აღწერილია მე-3 ცხრილში:

III ცხრილი: აჭარის დაცული ტერიტორიები[9]

დაცული ტერიტორია	**IUCN კატეგორია**	**ფართობი**	**შესანარჩუნებელი ერთეული**	**დაფარული ეკოსისტემა**
ქობულეთის დაცული ტერიტორიის კომპლექსი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის რაიონის ჩრდილოეთით				
ქობულეთის ნაკრძალი	I	331.25 ჰა	ეს დაცული ტერიტორიები შეიქმნა ზედაპირული ტორფის ჭაობების შენარჩუნების მიზნით	მტკნარი წყლების ეკოსისტემები
ქობულეთს	IV	438.75 ჰა		მტკნარი, სანაპირო და

[9]იხ. დანართი რუკებით, სადაც მოცემულია ამ დაცული ტერიტორიების ადგილმდებარეობები

აღკვეთილი[10]				ზღვის წყლების ეკოსისტემები
კინტრიშის დაცული ტერიტორიის კომპლექსი მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის რაიონში				
კინტრიშის ნაკრძალი	I	10,703 ჰა	ეს დაცული ტერიტორიები შეიქმნა კოლხური ტყეებისა და მარადმწვანე ქვეტყეების შესანარჩუნებლად. კინტრიშის დაცული ტერიტორია გადაჭიმულია ზღვის დონიდან 250-300 მ სიმაღლიდან ალპურ საძოვრებამდე. იგი მდიდარია მდინარეებით. 2200 მ სიმაღლეზე არის პატარა ტბა - თბიყელი.	მტკნარი წყლებისა და ტყის ეკოსისტემები (წიწვოვანი, ფოთლოვანი და კოლხური ტყეები)
კინტრიშის დაცული ლანდშაფტი	V	3,190 ჰა		მტკნარი წყლებისა და ტყის ეკოსისტემები (წიწვოვანი, ფოთლოვანი და კოლხური ტყეები)
მტირალას დაცული ტერიტორია მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის რაიონებში				
მტირალას ეროვნული პარკი	II	15,806 ჰა	შეიქმნა კოლხური და წიწვოვანი ტყეების ეკოსისტემების შესანარჩუნებლად.	ტყის ეკოსისტემა(წიწვოვანი, ფოთლოვანი და კოლხური ტყეები)

<u>პროექტით გათვალისწინებულიდაცული ტერიტორიები</u>(რუკები მოცემულია დანართებში):

<u>მტირალასეროვნულიპარკი</u> შეიქმნა ქობულეთი-ჩაქვის საზღვარზე მცირე კავკასიონის აჭარა-იმერეთის ქედის დასავლეთით უნიკალური კოლხური ეკოსისტემის დასაცავად. მის უნიკალურობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ეს მხარე გამყინვარების ხანაში ხმელეთის იმ რელიქტურ სახეობათა თავშესაფარი იყო, რომელთა მცირე რაოდენობამ ჩვენამდეც მოაღწია. ტერიტორია, სადაც ეროვნული პარკი შეიქმნა, გამოირჩევა ტიპური კოლხური რელიქტური სახეობებით. ეროვნული პარკი ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალს. ოფიციალურად მისი შექმნის შესახებ გამოცხადდა 2006 წ. მართვის 6-წლიანი თავდაპირველი გეგმა სრულდება და საჭიროა მისი განახლება და დახვეწა. ეროვნული პარკის მართვის მიზნებია უნიკალური კოლხური ეკოსისტემების შენარჩუნება და ტურიზმის განვითარება. ეროვნული პარკის რელიეფს ქმნის თვალწარმტაცი ვიწრო ხეობები (მათ შორის კანიონები); ხასიათდება ზღვის დონიდან სიმაღლის დიდი დიაპაზონით (200-დან 1763 მეტრამდე). მტირალას ეროვნულ პარკსა და მის ბუფერულ ზონებში ხარობს მცენარეთა 26 სახეობა, რომლებიც ენდემურია კავკასიისთვის, 69 მცენარე შეტანილია კავკასიის წითელ ნუსხაში (6 კი IUCN-ის წითელ ნუსხაში, მათ შორისაა ურთხელი - Taxus baccata, ბზა - Buxus

[10]ეს დაცული ტერიტორია განისაზღვრა როგორც რამსარის უბანი 1996 წ.

colchica, ჯაგრცხილა - Carpinus orientalis). ეროვნულ პარკში გვხვდება ფაუნის წარმომადგენლებიც, რომლებიც IUCN-ის წითელ ნუსხაშია შესული, მათ შორის: კობრი - Cyprinus carpio, კლარკის ხვლიკი - Darevskia clarkorum, მთის არწივი - Aquila chrysaetos, ფასკუნჯი - Neophron perncopterus, არჩვი - Rupicapra rupicapra, მურა დათვი - Ursus arctos. მტირალას ეროვნული პარკის მთლიანი ფართობი 15806 ჰექტარია, აქედან 2584 ჰა (16.3%) მკაცრად დაცული, 8519 ჰა (53,9%) - სტუმართა, 4703 ჰა (29,8%) კი ტრადიციული გამოყენების ზონებია. მტირალას ეროვნული პარკის მთლიანი ბუფერული ზონის ფართობი 10202 ჰექტარია, აქედან 76,7% სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებია (7842 ჰა),23,3% კი სასოფლო-სამეურნეო და დასახლებული მიწები(2360 ჰა). ეროვნული პარკი ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზეა და მოიცავს 11 თემს (21 სოფელი 4468 კომლით) ანუ საერთო ჯამში 16620 მოსახლეს. ამჟამად მტირალას ეროვნული პარკის ბუფერულ ზონას, რომელსაც არ აქვს სამართლებრივი სტატუსი, მართავს ადგილობრივი ხელისუფლება და სატყეო სააგენტო. ის არ შედის ეროვნული პარკის მართვის თავდაპირველ გეგმაში. ოჯახების უმეტესობა დამოკიდებულია სოფლის გარეთ (ახლომდებარე ქალაქებში) დასაქმებულ ერთ-ორ წევრზე. ამიტომ ადგილობრივი რესურსები ძირითადად საარსებოდ და შემოსავლის სხვა წყაროების დამატებად გამოიყენება. მიწათსარგებლობა გულისხმობს მცირე საოჯახო ნაკვეთების დამუშავებას სიმინდის ყანების, მებაღეობისა და ხეხილისთვის (ოჯახზე 0,2-0,4 ჰა); თითო ოჯახზე მცირე რაოდენობით საქონელი და ფრინველი მოდის; მისდევენ ტყესა და მდინარესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საქმიანობას: მეფუტკრეობას, მეთევზეობას (როგორც დაჭერას, ისე მეურნეობას), დეკორატიულ მემცენარეობას, თხილისა და კენკრის შეგროვებას და შეშის ჭრას. მტირალა თავისი ბუფერული ზონით მდიდარია წყაროს წყლებით და სასმელ წყალს აწვდის ბუფერული ზონის 16620 მცხოვრებს, ხოლო მდინარე ჩაქვისწყალი, რომელიც სათავეს მტირალას ეროვნულ პარკში იღებს, სასმელი წყლით ამარაგებს ბათუმს (150000 მცხოვრები და ერთი იმდენი სტუმარი ტურისტულ სეზონზე).

<u>კინტრიშისდაცულიტერიტორიისკომპლექსი</u> შედგება ორი მომიჯნავე ტერიტორიისგან: კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალისა (IUCN-ისI კატეგორია) და კინტრიშის დაცული ლანდშაფტისგან (IUCN-ის V კატეგორია), რომლებიც შესაბამისად 1959 წ. და2007 წ. შეიქმნა თავდაპირველი სახელმწიფო ნაკრძალის ზონებად დაყოფის გასამართლებლად და მთავარი მდინარის ხეობაში არსებული მწირი დასახლებებისა და მათ მიერ მიწათსარგებლობის ასაღიარებლად. კინტრიშის დაცულ ლანდშაფტში ტურიზმი დაშვებულია გარკვეული შეზღუდვებით (ადრე, სახელმწიფო ნაკრძალის პირობებში, კი აკრძალული იყო). კინტრიშის დაცული ტერიტორიების საერთო ფართი 13893 ჰექტარია, აქედან 10703 ჰა სახელმწიფო ნაკრძალს უჭირავს, 3190 ჰა კი დაცულ ლანდშაფტს. მისი დანიშნულება*„რელიქტური კოლხური ფლორის, ტყისა და ფაუნის შენარჩუნებაა“*. კინტრიშის დაცული ტერიტორიების რელიეფი მთიანია და ღრმა ხეობებითაა დასერილი. ტერიტორიის მთავარი არტერია, მდინარე კინტრიში, სათავეს იღებს ხინოს მთაში და ქობულეთის მახლობლად შავ ზღვაში ჩაედინება. მაღლა მთაში, ზღვის დონიდან 2200 მეტრზე არის ორი ტბა: თბიყელი და სიძერძალი, რომელთა საერთო ფართობი 1,5 ჰექტარია. დაცული ტერიტორიის უდაბლესი

წერტილი ზღვის დონიდან 350, უმაღლესი კი 2471 მეტრია. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი (13350 ჰა - 96,1%)დაფარულია წაბლისა და წიფლის ტყეებითა და მარადმწყვანე ქვეტყეებით. სახელმწიფო ნაკრძალში ხარობს ფლორისა და ფაუნის სახეობები, რომლებიც IUCN-ის წითელ ნუსხაშია შესული, მათ შორისაა კავკასიური ნაძვი - Picea orientalis, კავკასიური სოჭი - Abies nordmanniana, ურთხელი - Taxus baccata, ჩვეულებრივი თხილი - Corylus avellana,ბზა - Buxus colchica, შავი ზღვის ორაგული - Salmo labrax, კავკასიური სალამანდრა - Mertensiella caucasica,Ommatotriton ophryticus, კავკასიური გომბეშო - Bufo verrucosissimus, კლარკის ხვლიკი - Darevskia clarkoru,კავკასიური გველგესლა - Vipera kaznakovi, ველის არწივი - Aquila nipalensis, წავი - Lutra lutra,მურა დათვი - Ursus arctos და არჩვი - Rupicapra rupicapra.ტერიტორიაზე მუდმივად სახლობს 3 ოჯახი, 20 კი მხოლოდ აპრილიდან ნოემბრის ჩათვლით. როგორც მუდმივი, ისე დროებითი მოსახლეობა მისდევს ცოტ-ცოტა მეცხოველეობასა და მეთევზეობასა და ველური ხილისა და კენკრის შეგროვებას, მოიპოვებს შეშასა და სამშენებლო ხის მასალას და, გარკვეულწილად, ტურისტებსაც ემსახურება.

<u>მაჭახელას ეროვნული პარკის</u> შექმნის შესახებ პარლამენტმა 2012 წ. გამოაცხადა, ახლა კი პრაქტიკული ნაბიჯებია გადასადგმელი. ოფიციალურად პარკის ფართობი 8733 ჰექტარია, მაგრამ ამჟამად არც „დამხმარე“ და „ბუფერული“ ზონებია განსაზღვრული და არც უშუალოდ პარკია ზონებად დაყოფილი. ტერიტორია დაფარულია ტყით, რომლის 75% ხელუხლებელი ტყეებია. აქ ჭარბობს შერეულიკოლხური ტყეები. მაჭახელას ეროვნული პარკის შექმნით საქართველოს დაცული ტერიტორიების ფართის პროცენტული მაჩვენებელი 7,5%-მდე გაიზრდება, ხოლო იქ წარმოდგენილი ტყის ეკოსისტემა 13%-მდე მოიმატებს. გარდა ამისა, დაცული ტერიტორიის შექმნით იქ წარმოდგენილი კოლხური ტყეების პროცენტული მაჩვენებელი სულ მცირე 20%-მდე გაიზრდება. ამ ტერიტორიაზე გვხვდება მრავალფეროვანი რელიქტური და ენდემური მცენარეები: ხარობს აჭარისთვის ენდემური ორი მცენარე[11], კოლხური მცენარეების 12 ადგილობრივი[12] და საქართველოსთვის ენდემური 4 ჯიში[13]. მაჭახელას ეროვნული პარკისთვის დათმობილ ტერიტორიაზე ასევე ხარობს კავკასიის ეკორეგიონისთვის დამახასიათებელი 12 ადგილობრივი ჯიში[14]. ხემცენარეთა 13 ჯიში, როგორც საფრთხის ქვეშ და გადაშენების პირას მყოფი, შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, 5 კი შეტანილია IUCN საერთაშორისო წითელ ნუსხაში. ეროვნული პარკისთვის გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ასევე გვხვდება IUCN საერთაშორისო წითელ ნუსხაში შეტანილი ცხოველები. პარკს სტრატეგიული ადგილმდებარეობა აქვს - მტირალას ეროვნულ პარკსა და ჯამილის ბიოსფერულ ნაკრძალს (თურქეთის დაცული ტერიტორია) შორის.

[11]*Ficaria popovii, Ranunculus ampelophyllus var. adzharica,*

[12]*Cyclamen adzharicum, Rhododendron ungernii, Rh. smirnowii, Teucrium trapezunticum, Quercus dshorochensis, Dryipteris alexeenkoana, Euonymus leiophlea, Swida koenigii, Stachys macrophylla, Stachis trapezuntae, Scilla monanthos, Ornithogalum woronowii, Ficaria calthifolia var. adzharica, Aristolochia pontica, Hedera colchica, Ficus colchica, Rubus caucasicus, Iris lazica, Buxus colchica andHeracleum cyclocarpum.*

[13]*Galanthus woronowii, Symphytum ibericum, Cynoglossum imeretinum, Rubus woronowii*

[14]*Angelica pachyptera, Heracleum sosnovskyi, Taraxacum grossheimi, Symphytum caucasicum, Pachyphragma macrophyllum, Arabis nordmanniana, Campanula cordifolia, Gadelia lactiflora, Helleborus caucasicus, Ranunculus grandiflorus, Digitalis ferruginea, Pyrus caucasica.*

მისიშექმნით 13-დან 6 კმ-მდე შემცირდება მანძილი მტირალასა და კინტრიშის მომიჯნავე დაცულ ტერიტორიებსა და სხვა უახლოეს დაცულ ტერიტორიებს შორის (ახალი ეროვნული პარკი და ჯამილის ბიოსფერული ნაკრძალი). ეს კი განამტკიცებს ამ დაცული ტერიტორიების ფუნქციურ კავშირს. ეროვნული პარკი მდებარეობს ხელვაჩაურისა (მეტწილად) და ქედის მუნიციპალიტეტებში. ხელვაჩაურში მიწათსარგებლობის ძირითადი უბნებია სახელმწიფო სატყეო ფონდის ტერიტორია (10868 ჰა) და სასოფლო-სამეურნეო და დასახლებული მიწები (1746 ჰა). ეროვნულ პარკსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სახლობს ორი თემი: მაჭახელასა (8 სოფელი - 741 ოჯახი - 3072 მცხოვრები) და კირნათის (6 სოფელი - 467 ოჯახი - 3072 მცხოვრები) ველების თემები. ყველა ოჯახი მისდევს სოფლის მეურნეობასა და სარგებლობს ტყის არამერქნული რესურსებით, თუმცა უფრო მეტად დამოკიდებულია სოფლის გარეთ (ახლომდებარე ქალაქებში) დასაქმებულ ერთ-ორ წევრზე. შემოსავლებმა კატასტროფულად იკლო საბჭოთა ეპოქის დასრულების შემდეგ ჩაის, თამბაქოსა და ციტრუსის ბაზრების შემცირების გამო. მიწათმოქმედებას ძირითადად საოჯახო ნაკვეთებში (0,2-0,4 ჰა) ეწევიან: მოჰყავთ სიმინდი და ხილი, მისდევენ მებაღეობას, ჰყავთ ცოტაოდენი საქონელი და ფრინველი (რამდენიმე მეწველი/სახორცე ძროხა, ქათმები და სხვ.). ტყესა და მდინარეს კი იყენებენ მეფუტკრეობისა და მეთევზეობისთვის (დაჭერა, მეურნეობა), თხილისა და კენკრის შესაგროვებლად და შეშისთვის. ზოგი ოჯახი სასაქონლე მეურნეობას მისდევს, თუმცა საერთო ჯამში სულ 200 სული პირუტყვი ჰყავთ, რომელთაც ზაფხულში სხვადასხვა მოშორებულ საძოვარზე უშვებენ, ზამთარს კი ბოსლებში ატარებინებენ. გასათბობად მხოლოდ შეშას იყენებენ, რაც მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი საწუხარია და აუცილებლად გასათვალისწინებელია ახალი ეროვნული პარკის პირობებში.

<u>ტურიზმიაჭარაში</u>: ოფიციალურ მონაცემებით, ბოლო წლებში სტუმართა რაოდენობამ აჭარაში საგრძნობლად იმატა - 100000-ზე ნაკლებიდან 2004 წ. 1,3 მილიონამდე 2011 წ. (ცხრილი 4). სტუმართა 64% საქართველოს მოქალაქეებია, 46% კი უცხოელები.

IV ცხრილი. სტუმართა რაოდენობა აჭარაში (2004-2011 წწ.)

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
ადგილობრივი	75,000	120,000	182,523	239,786	208,782	392,091	662,288	838,661
უცხოელი	8,000	27,000	67,477	112,299	76,218	162,059	312,275	480,852
სულ	83,000	147,000	250,000	352,085	285,000	554,150	974,563	1,319,513

V ცხრილი. აჭარის უცხოელ სტუმართა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით

	სულ	აზერბაიჯანი	თურქეთი	ირანი	ისრაელი	სომხეთი	უკრაინა	სხვა
2005	27,000	1,700	2,369	230	55	20,000	250	2,396
2006	67,477	2,498	10,062	514	105	46,273	1,349	6,676
2007	112,299	4,628	39,588	634	956	54,996	1,785	9,712

2008	76,218	3,757	30,804	330	1,740	26,130	1,704	11,753
2009	162,059	12,811	70,476	232	405	60,636	2,309	15,190
2010	312,275	43,970	136,341	4,536	967	98,995	7,706	19,760
2011	480,852	56,178	232,506	27,021	10,064	104,561	10,657	39,865

ეს ცხრილი ცხადყოფს, რომსტუმართა თითქმისნახევარი (48%) თურქეთიდან, დაახლოებით 40% აზერბაიჯანიდან, სომხეთიდანდაირანიდანაა, დარჩენილი 12% კი სხვა ქვეყნებიდან (უკრაინა, ისრაელი და სხვ.). არ არის ინფორმაცია სტუმრობის მიზნების შესახებქვეყნების მიხედვით, თუმცა, ადგილობრივთა თანახმად, თურქეთიდან ძირითადად ჩამოდიან ბიზნესისა და აზარტული თამაშებისთვის, სხვა ქვეყნებიდან კი უფრო საზაფხულო არდადეგებზე (სანაპირო ტურიზმი). სტუმართა საერთო რაოდენობის 64% (მათ შორის საქართველოს მოქალაქეებიც)აჭარაში ჩადის ივნის-აგვისტოში.

VI ცხრილი. სტუმართა რაოდენობა აჭარის მუნიციპალიტეტების მიხედვით (2004-2011 წწ.)

	ბათუმი		ქობულეთი		ხელვაჩაური		ხულო	
წელი	სულ	მთლიანი %	სულ	მთლიანი %	სულ	მთლიანი %		მთლიანი %
2004	39,800	48%	32,700	39%	9,500	11%	1,000	1%
2005	66,775	45%	60,845	41%	17,930	12%	1,450	1%
2006	134,244	54%	78,577	31%	33,649	13%	3,530	1%
2007	189,696	54%	118,942	34%	36,488	10%	6,959	2%
2008	179,728	63%	67,430	24%	25,272	9%	12,570	4%
2009	261,783	47%	207,850	38%	81,259	15%	3,258	1%
2010	557,639	57%	276,880	28%	128,731	13%	11,313	1%
2011	840,847	64%	322,754	24%	149,163	11%	4 ,771	0%

მე-6 ცხრილიდან ჩანს, რომ მართალია, გასული 8 წლის მანძილზე სტუმართა რაოდენობამ აჭარაში საგრძნობლად იმატა, ბათუმსა და ქობულეთში (ზღვისპირა მუნიციპალიტეტები) ჩასულთა რაოდენობის შეფარდება მთიან აჭარაში (სადაც დაცული ტერიტორიებია) ჩასულთა რაოდენობასთან არ შეცვლილა. მაგალითად, 2004 წ. სტუმართა 87% ეწვია სანაპიროს (ბათუმსა და ქობულეთს) და მხოლოდ 13% დანარჩენ აჭარას, 2011 წ. კი ეს შეფარდება 88% და 12% იყო. ამგვარად საერთო სურათი არ შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით რიცხვებს. არასანაპირო ზოლის მუნიციპალიტეტებს ჯერ კიდევ უჭირთ ტურისტების მოზიდვა.

საბჭოთა დროს ბათუმის პორტი წლიურად 50-ზე მეტ სამგზავრო გემს იღებდა. ტურიზმის ამ სახის აღსადგენად და გასავითარებლად 2006 წ. ბათუმის პორტი ხმელთაშუა ზღვის საკრუიზო პორტების ასოციაციაში („მედ კრუიზი“) გაწევრიანდა, რითაც გახშირდა საკრუიზო ხომალდების შემოსვლა. 2009 წლიდან ცნობილმა კომპანიებმა, რომლებიც მსოფლიო კრუიზებს აწყობენ („სიბორნი“ და „ჰოლანდია-ამერიკა“), ბათუმის პორტი საზღვაო

ტურისტულ მარშრუტებში ჩართეს. 2009 წ. ბათუმის პორტში შევიდა ათი საკრუიზო ხომალდი.

2006 წელთანშედარებითსტუმართა განსათავსებელი ადგილების რაოდენობა 2011 წ. 87%-ით გაიზარდა. 51100 სასტუმრო ადგილის უმრავლესობა (80%) ოჯახებისთვისაა გამიზნული. აჭარაში 25 ტურ-ოპერატორი და 9 საინფორმაციო ცენტრია. სამი მათგანი ბათუმშია, დანარჩენები კი ხელვაჩაურის, ქედის, ხულოსა და შუახევის ადმინისტრაციულ ცენტრებში. 2011 წ. კერძო დაბანდებათა 43% ტურიზმს მოხმარდა.

<u>ტურისტებისგანმიღებულიშემოსავალიპროექტითგათვალისწინებულდაცულტერიტორიებზე</u>. 2012 წ. მტირალას ეროვნულ პარკს ეწვია 22000 სტუმარი და მათგან მიღებულმა შემოსავალმა 3725 ლარი (2257 აშშ დოლარი) შეადგინა - 0.10 აშშ დოლარი სტუმარზე. 2012 წ. კინტრიშის დაცულ ტერიტორიას ესტუმრა 5000 კაცი და მათგან მიღებული შემოსავალი იყო 1185 ლარი (718 აშშ დოლარი) – 0.14 აშშ დოლარი კაცზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, აჭარაში სტუმართა უმეტესობა ზღვის სანაპიროზე დასასვენებლად, ბიზნესის ან აზარტული თამაშებისთვის ჩადის; დაცულ ტერიტორიებს ცოტა თუ ეწვევა ხოლმე. დაცული ტერიტორიებისადმი ინტერესის გასაღვივებლად საჭიროა დაცული ტერიტორიების, აჭარის ტურიზმის სააგენტოსა და კერძო ტურისტული სააგენტოების ერთობლივი ძალისხმევა სათანადო მომსახურების უზრუნველსაყოფად და „ბათუმური დასვენების“ გასამრავალფეროვნებლად.

მტირალას ეროვნული პარკის დაბალ შემოსავალს (სტუმართა რაოდენობასთან შედარებით) განაპირობებს ის გარემოება, რომ დაცულ ტერიტორიებზე შესვლა უფასოა. მცირე შემოსავალი მტირალას ეროვნულმა პარკმა საველე აღჭურვილობის გაქირავებით, გზამკვლევებისა და საგანმანათლებლო მასალების (რუკები, ბროშურები) გაყიდვითა და ღამისგასათევისგადასახადებით მიიღო.გასულ წლებში ექსკურსიამძღოლისა და დაბინავების უფლება ადგილობრივ ოპერატორებს მიაქირავეს. ასევე ძალიან მწირ ტურისტულ და მომსახურების საშუალებებს განაგებს კინტრიშის დაცული ტერიტორიის კომპლექსის ადმინისტრაცია. შემოსავლების მოსამატებლადდაცულ ტერიტორიებზე შესვლა უნდა გახდეს ფასიანი, შესვლისა და დაბინავების უფლება კი კომერციული წესით გადაეცეს ტუროპერატორებს, სასურველია, ადგილობრივს ან მოიძებნოს სხვა საშუალებები.

<u>ტურიზმისგანვითარებისპოტენციალიაჭარისდაცულტერიტორიებზედამათირგვლივ</u>: აჭარა ერთ-ერთი პოპულარული ტურისტული მხარეა საქართველოში, აქაური დაცული ტერიტორიებისთვის კი ეს მხოლოდ სიკეთის მომტანია. აჭარის ტურისტულ გეგმაში დაცული ტერიტორიების ჩასართავად არსებობს ორი სტრატეგიული ვარიანტი: ა. სტუმართა რიცხვის გაზრდა და ბ. თითოეული სტუმრისგან მიღებული შემოსავლის მატება. დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების თვალსაზრისით მეორე ვარიანტი უფრო მისაღებია, რადგან გაიზრდება შემოსავლები, ხოლო სტუმართა სიმცირე გარემოს

მნიშვნელოვან ზიანს ვერ მიაყენებს. თუმცა პრაქტიკაში უმჯობესი იქნება თანაბარზომიერების დაცვა ამ ორ ვარიანტს შორის.

არსებობსშედარებითმარტივიდაპირდაპირიგზებიდაცულიტერიტორიებისშემოსავლებისმოსამატებლადთუნდაცსტუმართაიმავერაოდენობისპირობებშიდამნიშვნელოვანდაბანდებათაგარეშე. როგორცაღინიშნა, მტირალასეროვნულპარკსადაკინტრიშისდაცულტერიტორიებზეერთსტუმარზე შემოსავლის ოდენობა ძალიან დაბალია (0.10 და 0.14 აშშ დოლარი შესაბამისად). შემოსავლის ზრდის უმარტივესი გზა შესვლის გადასახადის დაწესებაა. ეს თავდაპირველად შეიძლება სიმბოლური თანხა იყოს (მაგ., 5 აშშ დოლარის ექვივალენტი უფროსებისთვის და 2 აშშ დოლარის ექვივალენტი ბავშვებისთვის).ამ პრაქტიკამ გაამართლა იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიაზე და მისი სხვაგან დანერგვაც მიზანშეწონილია. გარდა ამისა, დაცულ ტერიტორიებსა თუ კომერციულ ერთეულებს გარკვეული საგადასახადო შეღავათებით (მოსაკრებელს მიიღებს დაცული ტერიტორია) მეტი შემოსავლის მისაღებად შეუძლიათ მომსახურების გამრავალფეროვნება დაცულ ტერიტორიაზე (სუვენირები, ნაბეჭდი მასალები, ორგანიზებული პიკნიკები, სასადილოები და სხვ.). თუმცა საამისოდ კაპიტალდაბანდებებია საჭირო.

უფროსტრატეგული სვლაუკეთესი გადამხდელების, კერძოდ ძვირადღირებული ინტერესების მქონე ევროპელი ტურისტების, მოზიდვა იქნება (მაგ., სათავგადასავლო ტურიზმი, ფრინველების თვალთვალი და სხვ.). საამისოდ საჭირო გახდება დამატებითი დაბანდებები ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, სამაგიეროდ კი მასობრივ ადგილობრივ თუ რეგიონულ ტურიზმთან შედარებით გაცილებით მეტი შემოსავალი მიიღება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედებისა და განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე. ტურიზმიდან მიღებული შესაძლო სარგებლის მაქსიმალურად გასაზრდელად და, იმავდროულად, აჭარის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად საჭიროა გონივრული დაგეგმვა და გრძელვადიანი სტრატეგიული მიდგომების შემუშავება.

დაბოლოს, უნდამოწესრიგდეს დაცული ტერიტორიების შემოსავლების განაწილების მექანიზმი. ამჟამად ყველა მიღებული შემოსავალი დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბიუჯეტში მიდის და სწორედ სააგენტო წყვეტს მათ გადანაწილებას დაცულ ტერიტორიებზე. მართალია, ერთის მხრივ, ამგვარი მიდგომა გამართლებულია ნაკლები შემოსავლების მქონე დაცული ტერიტორიების შემთხვევაში, მაგრამ, მეორეს მხრივ, დაცული ტერიტორიების ხელმძღვანელობას შემოსავლების ზრდის გზებზე ფიქრის ენთუზიაზმს უკლავს; ამასთან, სახსრების გადანაწილების საფუძველი არც თუ ისე ნათელია დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების, აჭარის (თუ სხვა რეგიონული) ხელისუფლების, არასამთავრობოებისა თუ საზოგადოებისთვის.

უწყებები

<u>სახელმწიფო უწყებები</u>

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო: გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე პირველი სახელმწიფო უწყება საქართველოში იყო გარემოს დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც 1974 წ. დაარსდა. მისი ძირითადი საქმიანობა წყლისა და ჰაერის დაბინძურების კონტროლი და სხვადასხვა სფეროს კოორდინაცია იყო. პარალელურად, სხვადასხვა სფეროს განაგებდა სსრკ ცენტრალურ სამინისტროებს დაქვემდებარებული სამმართველოები: დაცული ტერიტორიების, სატყეო, გეოლოგიის, ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის.

2004 წ. საქართველოში არსებული სამინისტროების რიცხვი 16-დან 13-მდე შემცირდა და შეიქმნა ახალი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, სამინისტრო.თუმცა მთავარი უწყებრივი ცვლილებები მოხდა 2011 წ.: სამინისტროს სახელი გადაერქვა და გახდა გარემოს დაცვის სამინისტრო. გარდა ამისა, სატყეო სააგენტო შეუერთდა ენერგეტიკის სამინისტროს, რომელსაც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ეწოდა, ხოლო ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირების ფუნქცია დაეკისრა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მასვე უნდა მიერთებოდა დაცული ტერიტორიების სააგენტო, რომელიც შეერწყმებოდა ტურიზმის დეპარტამენტს. მაგრამ, საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანიზაციების ძალისხმევით, ეს გეგმა ჩაიშალა და დაცული ტერიტორიების სააგენტო დარჩა გარემოს დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირად.

საქართველოს ახალმამთავრობამ (2012 წ. ოქტომბერი) გადაწყვიტა, კვლავ შეეცვალა გარემოს დაცვის სამინისტროს დასახელება, სტატუსი და ფუნქციები და შეიმუშავა შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებები. პარლამენტის მიერ ამ ცვლილებების მიღების შემთხვევაში (სავარაუდოდ 2013 წ. გვიან გაზაფხულზე) სამინისტროს ეწოდება „გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო“. მას დაუბრუნდება ბუნებრივი რესურსების დაცვის, ეკოლოგიური კონტროლისა და სხვა ფუნქციები. სამინისტროს მთავარი ამოცანები იქნება:

- ქვეყნის მდგრადიგანვითარების ხელშეწყობა გარემოს დაცვის კუთხით;
- გარემოს დაცვის დაგეგმვის სისტემის შექმნა;
- სახელმწიფო პოლიტიკის, მიზნობრივი პროგრამების, გარემოს დაცვის სტრატეგიის(მდგრადი განვითარების პრინციპის გათვალისწინებით), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ეროვნული სამოქმედო პროგრამებისადა მართვის გეგმების შემუშავება და განხორციელება;

- უნიკალური ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების, ქვეყნის ფლორისა და ფაუნისთვის დამახასიათებელი იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების, ბიომრავალფეროვნების, ჰაერის, წყლის, ნიადაგისა და მინერალური რესურსების დაცვა და შენარჩუნება;
- ნარჩენებისა და ქიმიკატებისმართვა (მოწესრიგება, აღრიცხვა,მეთვალყურეობა და კონტროლი);
- საქართველოს კანონმდებლობის დაცვა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას, საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელს უწყობს საზოგადოების ეკოლოგიურ განათლებასა და შეგნებას. ამჟამად სამინისტრო კოორდინაციას უწევს საქართველოს მიერ რატიფიცირებული ეკოლოგიური კონვენციებიდან 15-ს და მათთან დაკავშირებულ 3 პროტოკოლსა და 3 შეთანხმებას. გარდა ამისა, სამინისტრო მონაწილეობს იმ 7 საერთაშორისო ეკოლოგიური კონვენციით გათვალისწინებულ ღონისძიებებში, რომლებიც არაა რატიფიცირებული საქართველოს მიერ.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურა



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცული ტერიტორიების სააგენტო: დაცული ტერიტორიების სააგენტო პასუხს აგებს საქართველოს დაცული ტერიტორიების მართვაზე. სააგენტოს უფლება-მოვალეობები ჩამოყალიბებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ: 2013 წლის 10 მაისის №3ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულებაში“და 2013 წლის 10 მაისის №12ბრძანებით დამტკიცებულ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპური დებულებაში“.აქ აღწერილია სააგენტოს უფლებამოსილება, მოქმედების სფერო და ამოცანები. წინამდებარე დოკუმენტში კიდევ იქნება საუბარი სააგენტოს შესახებ.

<u>დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტრუქტურა</u>



<u>აჭარა:</u>

*შესავალი:*აჭარა ავტონომიური რესპუბლიკაა საქართველოში. განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები რეგულირდება საქართველოს საკონსტიტუციო კანონით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ. უმაღლესი საბჭო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოა, რომელიც ოთხი წლით ირჩევა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა კი უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა. ადგილობრივ თვითმმართველობებს ქმნის მუნიციპალური საბჭოები, ხოლო ადგილობრივაღმასრულებელ ორგანოებს მერიები. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებს უმაღლესი საბჭო. აჭარაში ამ პროექტის მთავარი მხარდამჭერი უწყებებია:

აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და თვითმმართველობის საკითხთა კომისია: აჭარის უმაღლესი საბჭო ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოა, რომელიც მეთვალყურეობას უწევს მთავრობას, ამტკიცებს რესპუბლიკის ბიუჯეტს და ირჩევს აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს. საბჭო მდებარეობს ბათუმში და შედგება 4 წლით არჩეული 18

წევრისგან. აჭარის აგრარულ და თვითმმართველობის საკითხთა კომისია აჭარის უმაღლესი საბჭოს დარგობრივი კომიტეტია, რომელიც პასუხისმგებელია რეგიონული განვითარების პოლიტიკასა და ადგილობრივ მმართველობაზე, ინფრასტრუქტურასა და გზებზე; ასევეამზადებს კანონპროექტებს კანონქვემდებარე აქტების კანონიერების გათვალისწინებით. კომისია უფლებამოსილია, მეთვალყურეობა გაუწიოს აჭარის მთავრობის შესაბამისი სამინისტროების საქმიანობას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სააგენტო აჭარის მთავრობის საქვეუწყებო ერთეულია, რომლის მთავარი ამოცანა გარემოს სრული მონიტორინგი და რეგიონის ტყეების გონივრული მართვაა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა გეოლოგიური მონიტორინგის, სანაპიროს დაცვისა და ეკოლოგიური შეგნების გაუმჯობესების კუთხით. პრიორიტეტული ამოცანებია: სასმელი და მიწისზედა წყლებისა და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება, გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი და შესაბამისი ეკოლოგიური ღონისძიებების გატარება, ნარჩენების მართვის უწყებრივი სისტემის დახვეწა, სატყეო რესურსების გონივრული მართვა; შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვა, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, გარემოს დაცვის შესახებ საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვის ცენტრის ამოცანა ფერმერთა მომსახურებაა; კერძოდ, დაეხმაროს მექანიზაციის სფეროში, მიაწოდოს მაღალმოსავლიანი სანერგე და სათესლე მასალები და გააცნოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მიღწევები და პრაქტიკა.

სტრატეგია და კანონმდებლობა

<u>სტრატეგია:</u>

<u>გარემოს დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმა</u> საქართველოს გარემოს დაცვის უმთავრესი პოლიტიკური დოკუმენტია. გარემოს დაცვის მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2012 წ. იანვარში და მოიცავს 2012-2016 წწ. დოკუმენტში წარმოდგენილია თერთმეტი პრიორიტეტული თემა: წყლის რესურსები, ატმოსფერული ჰაერის დაცვა, ნარჩენები და ქიმიკატები, შავი ზღვა, ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები, სატყეო მეურნეობა, მიწისა და მინერალური რესურსები,გრუნტის წყლები, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება და კლიმატის ცვლილება. თითოეული თემისთვის შემუშავებულია გრძელვადიანი (ოცწლიანი) მიზანი და რამდენიმე მოკლევადიანი (ხუთწლიანი) ამოცანა, თითოეული რამდენიმე ღონისძიებით. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თანახმად, მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმა ახლო მომავალში გადაიხედება.

<u>კავკასიის ეკო-რეგიონის კონსერვაციის გეგმა(ECPC).</u> ეს გეგმა კავკასიას მიიჩნევს რეგიონად, სადაც ხარობენ ადგილობრივ მცენარეთა და ცხოველთა ჯანსაღი პოპულაციები,

შენარჩუნებულია გავრცელების არეები, ლანდშაფტები და ბუნებრივი პროცესები, და სადაც მონდომებული მოსახლეობა აქტიურადაა ჩაბმული ბუნებრივი რესურსების გონივრულ მართვასა და გამოყენებაში. აღნიშნული პროექტი განსაკუთრებით კარგად მიესადაგება ამ რეგიონული გეგმის შემდეგ სტრატეგიულ კომპონენტებს: 1. მთელი ეკორეგიონის დაცული ტერიტორიების კარგად მართული ქსელის შექმნა; 2. თანამმართველობის ხელშეწყობა ყველა მონაწილის ჩაბმით (ცენტრალური ხელისუფლებიდან დაწყებული არასამთავრობოებითა და ადგილობრივი თემებით დამთავრებული); 3. საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობათა შენარჩუნება და აღდგენა; 4. ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობა. აჭარა კავკასიის ეკორეგიონის შენარჩუნების გეგმის ერთ-ერთი გეოგრაფიული პრიორიტეტის ნაწილია.

<u>საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა(NBSAP, 2005 წ.)</u> გადმოგვცემს სახელმწიფოს ხედვას ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების შესახებ. აქ ჩამოთვლილი ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც არსებითია პროექტისთვისაც, მოიცავს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარებას, რაც განაპირობებს ბიოლოგიური რესურსების შენარჩუნებასა და გონივრულ გამოყენებას, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემისა და ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნას ბიოლოგიური რესურსების გონივრულად გამოსაყენებლად და შესანარჩუნელად, საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებას ბიომრავალფეროვნების შესახებ და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობას. 2012 წ. გადაწყდა, რომ ბიომრავალფეროვნების ახალი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დასრულდება და ამოქმედდება 2013 წ.

პროექტი ასევე ეხმაურება <u>საქართველოს ტურიზმის განვითარებისა და ინვესტიციების ეროვნულ სტრატეგიას</u> (2008 წ. მარტი), განსაკუთრებით,მის შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს: 1. ღირსშესანიშნაობები და გამოცდილება: არსებულ ღირსშესანიშნაობათა აღდგენა, დაცვა, გაუმჯობესება და ახლების აღმოჩენა ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად; და 2. დანიშნულების ადგილის მართვა: ინფრასტრუქტურისა და სტუმართა მომსახურების დახვეწა, ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება ტურიზმის გონივრული განვითარებით. მდგრადი განვითარების სტრატეგია, რაც სამართლებრივად მოითხოვება, ჯერ არ შემუშავებულა. თეორიულად ეს იქნება მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელმაც ერთმანეთს უნდა შეუთავსოს ეკონომიკური განვითარება და ეკოლოგიური ინტერესები.

<u>კანონმდებლობა:</u>

გასულ ათწლეულში საბჭოთა კანონმდებლობა თანდათან ახლით შეიცვალა. ახალი კანონები მეტწილად ეფუძნება ევროპულ კანონმდებლობასა და „რიოს დეკლარაციისა“ და „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ პრინციპებს. 1995-1999 წწ. საქართველოს პარლამენტმა გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული 22 სამართლებრივი

აქტი მიიღო. ახალი კანონმდებლობის შესაბამისად შეიცვალა მართვის სისტემებიც. მაგალითად, გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს ახალი კანონმდებლობით დაწესდა ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის გადასახადი, შესაბამისად, შეიქმნა ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის ახალი სქემები.

<u>სამართლებრივი აქტი გარემოს დაცვის შესახებ</u> დამტკიცდა 1996 წ. ეს არის ჩარჩო-კანონი, რომელიც საფუძვლად უდევს რამდენიმე ადგილობრივ კანონს. თუმცა მას არ აქვს უზენაესი კანონის სტატუსი და, ახლადმიღებულ კანონებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ამ უკანასკნელთ ენიჭებათ.

<u>კანონმდებლობა დაცული ტერიტორიების შესახებ</u>*:* მთავარი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც დაცული ტერიტორიების საკითხს არეგულირებს, არის კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (1996 წ. 7 მარტი). გარდა ამისა, არსებობს, 2007 წ. 22 ნოემბრის კანონი დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ, სადაც განსაზღვრულია მოთხოვნები დაცული ტერიტორიების შესაქმნელად. კანონქვემდებარე აქტებიდან, მნიშნელოვანია შემდეგი დოკუმენტები:

- „ტექნიკური რეგლამენტის - მტირალას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის დადგენილება №82;
- „ტექნიკური რეგლამენტის - ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“-საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის დადგენილება №18;
- „ტექნიკური რეგლამენტის - ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“-საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის დადგენილება №13;
- „ტექნიკური რეგლამენტის - თუშეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“-საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის დადგენილება №16;
- „ტექნიკური რეგლამენტის – ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“-საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 იანვრის დადგენილება №23;
- „ტექნიკური რეგლამენტების - „ალგეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „თბილისის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „გარდაბნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“,

„კოლხეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „აჯამეთის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ქობულეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ჭაჭუნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყორულის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ივრის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ და „ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“-საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის დადგენილება №84

- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №3 ბრძანება;
- „დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“-საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის ბრძანება №12
- „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის დადგენილება №98;

<u>კანონმდებლობა ველური ბუნების შესახებ:</u>მთავარი სამართლებრივი ინსტრუმენტი ველური ბუნების შესანარჩუნელად და გონივრულად გამოსაყენებლად არის 1996 წ. კანონი ველური ფაუნის შესახებ. ეს კანონი აწესრიგებს ხელისუფლებისა და ველური ბუნებით მოსარგებლეთა (როგორც კერძო, ისე იურიდიული პირების) ურთიერთობებს და ველურ ბუნებას აცხადებს სახელმწიფო საკუთრებად. ის იცავს გარეულ ცხოველთა სახეობებს, მათი გავრცელების არეებს, უზრუნველყოფს საქართველოს ველური ბუნების გონივრულ გამოყენებას და ადგენს სამართლებრივ საფუძველს გარეულ ცხოველთა სახეობების დასაცავად როგორც ტერიტორიის შიგნით, ისე მის გარეთ. ამ კანონის თანახმად, ველური ბუნების შენარჩუნებისა და გონივრული გამოყენების მრავალი ასპექტი უნდა განისაზღვროსწესებით. ამჟამინდელი მთავრობა, რომელიც 2012 წ. ოქტომბერში დაინიშნა, ამ კანონის გადახედვას აპირებს, განსაკუთრებით 2012 წ. მარტში კანონში შესული აწ უკვე უკუეფექტის მქონე ცვლილებების გათვალისწინებით. მოსალოდნელია, რომ შემდგომი ცვლილებები კანონში ველური ბუნების შესახებ მეტად დააახლოვებს მას ევროპულ კანონმდებლობასთან (განსაკუთრებით გავრცელების არეების მიმართულებით) და უკეთ ასახავს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ამოცანებს.

<u>კანონმდებლობა ტყეების შესახებ:</u>საქართველოს ტყის კოდექსით, რომელიც 1999 წ. მიიღეს, დადგინდა *„საქართველოს ტყის სავარგულებისა და მათი რესურსების მოვლის, დაცვის,*

*აღდგენისა და გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები“.*ბიომრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისით ტყის კოდექსი ითვალისწინებს საქართველოს ტყეებისა და ენდემურ, რელიქტურ და სხვაგვარად მნიშვნელოვან მცენარეთა დაცვასა და პირველყოფილი ტყეების ხელუხლებლად შენარჩუნებას. კოდექსის თანახმად, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება სრულად ეფუძნება საერთაშორისო კონვენციას ბიომრავალფეროვნების შესახებ და საქართველოს კანონმდებლობას (მუხლი 46). ტყეების პრივატიზაციის საკითხისადმი მთავრობის მერყევი დამოკიდებულების გამო ტყის კოდექსი 2004-2012 წწ. რამდენჯერმე შეიცვალა. 2012 წ., ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, გადაწყდა, შემუშავებულიყო ახალი სახელმწიფო პოლიტიკა ტყეების შესახებ (სავარაუდოდ, წინა მთავრობის მიდგომებისგან განსხვავებული), რაც თანდათანობით ახალ სამართლებრივ ჩარჩოებსა და წესებს ჩამოაყალიბებს.

<u>სხვა კანონები, რომლებიც ბიომრავალფეროვნებას იცავსდაცულ ტერიტორიებს მიღმა</u>: გარდა ზემოაღნიშნული კანონებისა, ბიომრავალფეროვნებას დაცულ ტერიტორიებს მიღმა იცავს კანონები „გარემოზე ზემოქმედების ნებართვებისა“ და „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის“ შესახებ (1997). მათ თანახმად, ნებართვები განვითარებაზე მიმართული ნებისმიერი პროექტისთვის გაიცემა მხოლოდ და მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების დონის განსაზღვრისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასრულების შემდეგ. თუ დადგინდება, რომ პროექტი გამოუსწორებელ გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე, გარემოზე ზემოქმედების ნებართვა არ გაიცემა. თუ გავლენა მინიმალურია და მისი შემცირება შესაძლებელია სათანადო საგანგებო ზომებით, მათი განხორციელების ვალდებულება ეკისრებათ პროექტის მესვეურებს, რაც პირობების სახით აუცილებლად იწერება ნებართვაში. ეს პირობები შეიძლება იყოს: გავრცელების არეების, სახეობათა და მიგრაციის დერეფნების დაცვა, არსებულ ვითარებაში დისონანსის გამომწვევ ფაქტორთა შემცირება, მაგ., დროული გაფრთხილებით ღონისძიების ჩატარების შესახებ, გავრცელების არეების გაკეთილშობილება და აღდგენა. ნებართვაში ჩამოთვლილი პირობების (საგანგებო ზომების) შესრულებას აკონტროლებს შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე სამთავრობო უწყება.

საფრთხეები, ძირეულიმიზეზებიდაზემოქმედება

ისტორიულადმხარისბიომრავალფეროვნებასდიდისაფრთხეარემუქრებოდა. ეკოსისტემა ჯერ კიდევ ერთიანია, თუ არ ჩავთვლით გავრცელების არეების მცირე დანაწევრებას და სახეობათა უმნიშვნელო შემცირებას. თუმცა საფრთხე თანდათან იზრდება, რაც გამოიხატება გავრცელების არეების დანაწევრება-განადგურებაში, ბუნებრივი რესურსების უყაირათო გამოყენებასა და კლიმატის ცვლილებაში. ბოლო წლებში ეს საფრთხეები უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდება, რაც უარყოფითად მოქმედებს აჭარის განსაკუთრებულ ბიომრავალფეროვნებაზეც კი. ეს საფრთხეებია:

ბიოლოგიურირესურსებისჭარბიექსპლუატაცია: ეკონომიკური კრიზისისა და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის შეუფერხებელი მიმოსვლის გამო იმატა ბრაკონიერობამ და ველური ბუნებით უკანონო ვაჭრობამ. ფართოდაა მოდებული გადამეტებული ნადირობა კანონით დაშვებულ სახეობებზე და ბრაკონიერობა იშვიათ სახეობებზე. ძირითადად ბრაკონიერობისა და გადამეტებული ნადირობის გამო, გასულ საუკუნეში საგრძნობლად შემცირდა მსხვილი ბალახისმჭამელი ცხოველების რიცხვი. ბეწვის გამო ხოცავენ ფოცხვერს, წავს, გარეულ კატას, მელას და ტურას. რეპტილიებსა და ამფიბიებს (მაგ., კავკასიურ სალამანდრას *Mertensiella caucasica*) იჭერენ ლაბორატორიული და ოთახის ცხოველებად გაყიდვის მიზნით. უკანონოდ იკაფება ტყე შეშისთვის, რაც არღვევს გარკვეულ სახეობათა გავრცელების არეებს და მათ გადაშენებას იწვევს. ყველაზე ხშირად ტყე შეშისთვის იჭრება და ზოგიერთ ადგილას უკვე სერიოზული უარყოფითი შედეგები გამოიღო. საბედნიეროდ, აჭარაში გადამეტებული ექსპლუატაცია უსისტემოდ მიმდინარეობს და შედეგიც ჯერ-ჯერობით არაა საგანგაშო. საქმე იმაშია, რომ დაცული ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის რიცხვი ბოლო წლებში შემცირდა, რადგან ხალხმა სანაპიროსკენ გადაინაცვლა, სადაც მეტია დასაქმებისა და სხვა შესაძლებლობები. მართალია, მათმა საქმიანობამ გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედა ბიომრავალფეროვნებაზე, მაგრამ უფრო დიდი საფრთხე მოდისგარეშე ორგანიზებული ერთეულებიდან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მაღალხარისხოვანი ბიომრავალფეროვანი ნაწარმით რეგიონული და საერთაშორისო ბაზრებისთვის.

გავრცელების არეების დანაწევრება-განადგურება და ჰიდროლოგიური ფუნქციების რღვევა: აჭარა საკმაოდ სწრაფად ვითარდება, შესაბამისად, სწრაფადვე იცვლება მისი ეკონომიკური თავისებურებანი და მიწათსარგებლობის ფორმები. იცვლება აჭარის დემოგრაფიული მდგომარეობაც - მოსახლეობა საცხოვრებლად გადადის შავი ზღვის სანაპიროსა და მთავარი გზატკეცილებისკენ. განვითარებადი დასახლებების ამგვარი თავმოყრა დროთა განმავლობაში დაანაწევრებს და გაუვალს გახდის ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთა ჩვეულ მარშრუტებს. მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების განვითარება შეზღუდავს გავრცელების არეებს ტყეებში. თუმცა აჭარის ეკოსისტემას მთავარ საფრთხეს მაინც რეგიონის სწრაფი ეკონომიკური ზრდა და სატრანსპორტო კვანძად[15] და ტურისტულ მხარედ გადაქცევის პერსპექტივა უქმნის. ინფრასტრუქტურის (გზები, დასახლებები, ქარხნები, საშუალო და მცირე ჰიდროელექტრო სადგურები) განვითარების არასწორი დაგეგმვა და კონტროლი გავრცელების ბუნებრივი არეების დანაწევრებასა და ბუნებრივი ჰიდროლოგიური სისტემების

[15]სტრატეგიული მდებარეობა აჭარას საშუალებას აძლევს, სრულად ისარგებლოს ამ სიკეთით. უმოკლესი გზა ევროპიდან აზერბაიჯანის, სომხეთისა და შუა აზიის რესპუბლიკებისკენ აჭარაზე, კერძოდ ბათუმის პორტზე, გადის. გეოგრაფიული მდებარეობის გამო აჭარა ასრულებს უმთავრესი პირდაპირი სატრანსპორტო კავშირის ფუნქციას შავსა და კასპიის ზღვებსა და ცენტრალურ აზიას შორის. დღევანდელი მწირი ინფრასტრუქტურა აფერხებს სატრანსპორტო პოტენციალის სრულად ათვისებას, თუმცა წინსვლა შეინიშნება. ბათუმის პორტის განვითარება, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისა და აჭარაზე გამავალი ამიერკავკასიური პარალელური გაზსადენის მშენებლობა, აჭარას სწრაფად გადააქცევს საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნად. გარდა ამისა, ბათუმის პორტით საქართველოში შემოდის მანქანა-დანადგარები, სათადარიგო ნაწილები და სატრანსპორტო აღჭურვილობა.

რღვევასიწვევს. თუ სათანადოდ არ შეფასდა, რა გავლენას ახდენს ბუნებაზე განვითარების ახალი მიმართულებები (EIA), გამწვავდება არსებული პრობლემები და გართულდება საფრთხის შემცირების გზების დადგენა. მართალია, აჭარის ისტორიამ მცირედ, მაგრამ მაინც იმოქმედა გავრცელების არეებზე, დაუგეგმავი და შეუთანხმებელი, სწრაფადმიმდინარე ეკონომიკური ცვლილებები და ტურისტული ზრდის პოტენციალი[16] გაცილებით დიდ საფრთხეს შეუქმნის ბუნებრივ გარემოს, ანუ ტყის ეკოსისტემების რღვევა-დანაწევრება შეუქცევადი პროცესი გახდება. დანაწევრების შედეგად შეიძლება[17]: 1. შემცირდეს გავრცელების არსებული არეების რაოდენობა; 2. დაკნინდეს გავრცელების არეები უცხო სახეობათა მოძალების, ხანძრებისა და სხვა მომიჯნავე არეების ზემოქმედების შედეგად; 3. შემცირდეს სახეობათა პოპულაციების გავრცელების არეები და, შესაბამისად, გაძლიერდეს ბრძოლა მწირი რესურსებისთვის; 4. შეიზღუდოს სახეობათა გადაადგილება და, შესაბამისად, დაიკლოს გენეტიკურმა ძალამ და სიცოცხლისუნარიანობამ; 5. დაირღვეს მთავარი ეკოლოგიური და ევოლუციური პროცესები, რომლებზეც სახეობებია დამოკიდებული.

კლიმატისცვლილება: მიჩნეულია, რომ კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვნად იმოქმედებს მთის ეკოსისტემებზე.ცნობილია, რომ ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლა არსებული ეკოსისტემები განსაკუთრებით მგრძნობიარეა კლიმატური ნიუანსების მიმართ - სულ მცირე ცვლილებებმაც კი შეიძლება დაარღვიოს სახეობათა საარსებო გარემო და დამანგრევლად იმოქმედოს ბიომრავალფეროვნებაზე. დადგენილია, რომ ტემპერატურის 1^0C-ითმატებაც კი რამდენიმე სახეობას 270 მ-ით მაღლა გადააადგილებსმათთვის ჩვეულ პირობებში მოსახვედრად. გარდა ამისა, კლიმატურმა ცვლილებებმა რამდენიმენაირად შეიძლება იმოქმედოს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური პროცესების შესანარჩუნებლად შექმნილ დაცულ ტერიტორიებზე. მოსალოდნელია, რომ კლიმატის ცვლილების შედეგად სახეობებმა გადაინაცვლონ ისეთ ადგილებში, სადაც მათთვის სასურველი ტემპერატურა და ნალექებია. დიდია ახალ კლიმატურ პირობებს უკეთ მორგებული კონკურენტული, ხანდახან კი აგრესიული სახეობების შემოჭრის ალბათობა. ამგვარ გადაადგილებათა შედეგად ზოგიერთ დაცულ ტერიტორიაზე შეიძლება დარჩეს გავრცელების ისეთი არეები და სახეობები, რომლებიც სრულიად განსხვავდება იმ არეებისა და სახეობებისგან, რომელთა დასაცავადაც ეს დაცული ტერიტორიებიშეიქმნა. არაა გამორიცხული, რომ კლიმატის ცვლილებამ გამოიწვიოს დაავადებათა აფეთქებები, რადგან იმატოს მავნე მწერების გამძლეობამ და სიცოცხლის ხანგრძლივობამ ან დაცულ ტერიტორიებზე შეიჭრანუცხო მავნებლები. კლიმატის ცვლილებამ

[16]ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის მზარდი და მნიშვნელოვანი ნაწილია. 2010 წ. ქვეყანას 2 მილიონამდე უცხოელი ტურისტი ეწვია, რაც 36%-ით აღემატება 2009 წ. მაჩვენებელს. 2009 წ. პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა (FDI) 132 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2004 წლიდან (147 მლნ აშშ დოლარი) ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გასამმაგდა და 2009 წ. 470 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აჭარა საქართველოს ტურისტული ცენტრია - 2010 წ. მან უმასპინძლა საქართველოში ჩამოსულ სტუმართა 86%-ს.

[17]Ervin, J., Mulongoy, K.J., Lawrence, K., Game, E., Sheppard, D., Bridgewater, P., Bennett, G., Gidda, S. B., and Bos, P. 2010. *Making Protected Areas Relevant: A guide to integrating protected areas into wider landscapes, seascapes and sectoral plans and strategies.* CBD Technical Series No. 44. Montreal

შეიძლება გამოიწვიოს უფრო მასშტაბური ხანძრებიან წყალდიდობები[18].UNFCCC-თვის წარსადგენი „საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების“ მომზადების პარალელურად აჭარაში ჩატარდა კვლევა კლიმატის ცვლილებისადმი სახეობათა მგრძნობელობის შესახებ. გამოვლინდა, რომ ძირითადი პრობლემების გამომწვევი მიზეზებია ტემპერატურისა და სინოტივის მატება, რასაც თან ერთვის ანთროპოგენული ფაქტორები; ამას კი მოსდევს ნიადაგის ეროზია, მომატებული პათოლოგიური დაავადებები ტყეებში, სუბ-ალპური ზონების ტყეების გაქრობა, ტყის ზედა ზოლის დაღმასვლა 300-400 მეტრით და გეო-მორფოლოგიური საფრთხეებისა და კატასტროფების მატება.

ხანგრძლივმოქმედიგამოსავალიდამისიძიებისდამაბრკოლებელიფაქტორები

ზემოთაღწერილისაფრთხეების**ხანგრძლივი დროით** თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაცული ტერიტორიების ფუნქციური, კარგად წარმოდგენილი და მდგრადი სავარგულების შექმნა, რომლებიც სათანადოდ დაიცავს ბიომრავალფეროვნებას და უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების ფუნქციურ კავშირს. თუმცა ქმედითობისა და მდგრადობის მისაღწევად, აღნიშნულის გარდა, საჭიროა ძალისხმევა ბიომრავალფეროვნების უკანონო და გადამეტებული ექსპლუატაციისა და ინფრასტრუქტურის არასწორი განვითარების შესამცირებლად და ადგილობრივი თემების ცენტრალურ თუ ადგილობრივ სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობის გასაძლიერებლად. მაგრამ არსებობს საფრთხეების ხანგრძლივი დროით თავიდან აცილების დამაბრკოლებელი ფაქტორები:

<u>დაცულიტერიტორიის სუსტი მართვა:</u>როგორც ვიცით, არსებული სახელმწიფო სისტემის გაძლიერებას ცდას არ აკლებენ, უბნებზეკი გაცილებით ნაკლები ძალისხმევაა მიმართული. კინტრიშისა და მტირალას დაცულ ტერიტორიებზე არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების ქმედით და ეკონომიურ მართვას. არსებობს რამდენიმე ხელისშემშლელი გარემოება:

პირველრიგში, საჭიროაადგილობრივითემებისჩართვადამართვის მოქნილი მეთოდის დანერგვა. დაცული ტერიტორიები შეიქმნა ადგილობრივ თემებთან და ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად და მათი ინტერესების გაუთვალისწინებლად. კინტრიშის ბუნებრივი ნაკრძალისა და მტირალას ეროვნული პარკის მიმდებარე დაკინტრიშის დაცული ლანდშაფტის დასახლებებშიბუნდოვანია დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ადგილობრივი ხელისუფლებისა თუ ადგილობრივ თემთა ფუნქცია-მოვალეობები; ხშირია ერთმანეთის უფლებამოსილების სფეროებში შეჭრის შემთხვევები. შედეგად, იძაბება ვითარება, იქმნება კონფლიქტური სიტუაციები და სუსტდება მოსახლეობის მიერ დაცული ტერიტორიების მხარდაჭერა. ადგილობრივ მოსახლეობას მწირი ინფორმაცია აქვს დაცული ტერიტორიების

[18] IPCC. 2007. Climate Change 2007: *Synthesis Report. Contribution of Working Groups I, II and III to the Fourth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change.* IPCC, Geneva, Switzerland.

არსებობის მიზნისა და მართვის შესახებ და არ არის ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. არავის მიუმართავს მართვის ისეთი ეკონომიური მეთოდებისთვის, რაც დაცული ტერიტორიების მონიტორინგის, მართვისა და წესრიგის დაცვის პროცესებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას გულისხმობს. ბუფერული ზონები ოფიციალურად არაა დადგენილი და არც დაცული ტერიტორიის მართვის გეგმაშია შესული; შედეგად, დაცული ტერიტორიის ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს, რომ ამ მხარეთა განვითარება ბიომრავალფეროვნების შეულახავად მიმდინარეობდეს. ზოგიერთი საფრთხის (მაგ., ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის) გამომწვევი მიზეზი ადგილობრივ თემთა სიღარიბე ან მეურნეობის გასამართად საჭირო პირობების სიმწირეა. სხვა საფრთხეები, როგორიცაა ტყის არამერქნული რესურსების უყაირათო მოპოვება, მეტწილად გამოწვეულიაეკოლოგიური პროცესების უცოდინრობით. ამ საფრთხეების გამომწვევი ძირეული მეზეზების აღმოფხვრა დაცული ტერიტორიის ხელმძღვანელობის ინტერესებშია. საჭიროა მართვის გეგმების განხორციელების საერთო მხარდაჭერა; უპირველეს ყოვლისა კი, შესაბამის საუწყებო ღონისძიებათა გატარება ადგილობრივ თემებთან უთანხმოების მოსაგვარებლად, მათთან სათანამშრომლოდ და მონიტორინგის, ტყის მართვისა და წესრიგის დაცვის ერთობლივი მექანიზმების დასანერგად.

მეორე: კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსისა და მტირალას დაცული ტერიტორიის უმთავრესი საკითხი ფინანსური დამოუკიდებლობის ხანგრძლივად შენარჩუნებაა, განსაკუთრებით სხვადასხვა დონორი პროექტის დასრულების შემდეგ. შესასწავლია მართვის გეგმის განსახორციელებლად საჭირო ხანგრძლივი დაფინანსების საკითხიც. შემოსავლების მიღების დადგენილი და გამჭვირვალე მექანიზმების არარსებობაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს დაცული ტერიტორიების სწრაფვას მდგრადი განვითარებისკენ. ტურიზმი აჭარის დაცულ ტერიტორიებს შემოსავლების ზრდის პირობას უქმნის, რა თქმა უნდა, შესაბამისი მექანიზმების ამოქმედებით. აღნიშნულის განხორციელება დაცული ტერიტორიების მიზნების შეულახავად კი შესაძლებელი გახდება სტრატეგიისა და სათანადო ტურისტული ინფრასტრუქტურის ახლებურად დაგეგმვითა და განვითარებით.

მესამე: მნიშვნელოვანიწინაპირობა, რომდაცულიტერიტორიებისხელმძღვანელობამწარმატებითშეასრულოსმართვისგეგმა, მართვისმოქნილიმეთოდებისდანერგვაა.
გეგმაარისსისტემურისაფუძველისასურველიმიზნებისმისაღწევად, მისშესრულებისასგაჩენილიგაუთვალისწინებულიფაქტორები და ახლადწარმოქმნილი საფრთხეები კი ცვლილებებსა და გეგმის ახალ სინამდვილეზე მორგებას მოითხოვს. მართვის მეთოდების გეგმის განხორციელებისას წარმოქმნილ ფაქტორებზე მორგების გარეშეგაჭირდება დასახული მიზნებისა და დაცული ტერიტორიის საქმიანობის ეკონომიურობისმიღწევა. თუმცა ამჟამად დაცული ტერიტორიების ხელმძღვანელობა ორ დაბრკოლებას აწყდება: ა. სათანადო კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და თავდაჯერებულობის ნაკლებობას შეცვლილ პირობებზე მოსარგებად და ბ. მართვის გეგმის შემუშავებისა და საქმიანობის ცენტრალიზებულობას. ამ ორი დაბრკოლების აღმოფხვრა

მნიშვნელოვანია მტირალას ეროვნული პარკისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსის მართვის გასაუმჯობესებლად.

<u>დაცულიტერიტორიისგანვითარებით წარმატებით აღმოიფხვრებარეგიონის ბიოგეოგრაფიული ნაკლოვანებები, თუმცა არსებობს ამ განვითარების დამაბრკოლებელიშემდეგი ფაქტორები</u>: ეროვნული დაცული ტერიტორიების სისტემაში ტყეებს მხოლოდ 9,7% უჭირავს (მთაში კი ნაკლები - 8%)[19], რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება კავკასიის ეკორეგიონის სტანდარტს (13,78%). მეტიც, კოლხეთის ზომიერად ტენიანი ტყეები საქართველოში გვხვდება მხოლოდ კინტრიშისა და მტირალას დაცულ ტერიტორიებზე, ანუ ეროვნული დაცული ტერიტორიების 3%-ზე. დღესდღეისობით, კინტრიშისა და მტირალას დაცული ტერიტორიები ტყის ლანდშაფტით უკავშირდება თურქეთის ჯამილის ბიოსფერულ ნაკრძალს, რომელიც აჭარის საზღვრის გასწვრივ მდებარეობს. თავის მხრივ, ჯამილის ნაკრძალი ფუნქციურად უკავშირდება თურქეთის სხვა დაცულ ტერიტორიებს, ანუ კრავს მთელ სისტემას. კინტრიში და მტირალა მომიჯნავე დაცული ტერიტორიებია და აჭარის შუაგულში 29699 ჰა უჭირავს. ფიზიკური (ქალაქების, ტრანსპორტის, ტურიზმის განვითარება) და მიწათსარგებლობის (სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა) განვითარების გამო ტყის ლანდშაფტის ამ მონაკვეთზე არსებულ „დამაკავშირებელი დერეფნებს“ დანაწევრება და გავრცელების არეების რღვევა ემუქრება. ტყეების ფუნქციური კავშირის შენარჩუნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ახლადწარმოქმნილი რეალური საფრთხეების გამოც. შესაბამისად საჭირო ხდება აჭარაში დაცული ტერიტორიის სისტემის გაფართოება, რომ 1. მოიცვას ტყის მნიშვნელოვანი სახეობები და გავრცელების არეები, რომლებიც არსებული სისტემით არაა დაფარული, და 2. გაიზარდოს ეკოლოგიური კავშირი აჭარისა და თურქეთის დაცულ ტყეებს შორის. სწორედ ამიტომ დაისვა და უკვე შეთანხმდა ახალი დაცული ტერიტორიის (მაჭახელას ეროვნული პარკის) შექმნის საკითხი.

თუმცაეროვნულიპარკისადადამხმარე/ბუფერულიზონებისშესაქმნელად, რომელთაც შეუძლია საქართველოში კოლხური ტყეების შენარჩუნება და ამ ტყეების ფუნქციური კავშირის უზრუნველყოფა თურქეთსა და აჭარაში, რამდენიმე დაბრკოლებაა გადასალახი. პირველ რიგში, ეროვნული პარკისა და მისი დამხმარე ზონებისთვის გათვალისწინებულ ტერიტორიას ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად იყენებს თავისი სასიცოცხლო მიზნებისთვის. ბუნებრივია, მათ გამუდმებით აწუხებთ ნებისმიერი შეზღუდვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე, რაც შეიძლება ეროვნული პარკის შექმნას მოჰყვეს. მათ კარგად არ ესმით, რა დიდი საფრთხის წინაშე დგას ადგილობრივი ეკოსისტემები და ვერც ეროვნული პარკის შექმნის სიკეთეს აცნობიერებენ - ვერც ბიომრავალფეროვნების დაცვის, ვერც თავიანთისაარსებო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამგვარად, დაცული ტერიტორიების სისტემის გაფართოებისას აუცილებლად

[19] *წყარო:WWF, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, სატყეო სააგენტო*

გასათვალისწინებელიაადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. მათ გასაგებად უნდა მიეწოდოთ დაცული ტერიტორიების გაფართოების მიზნები. აუცილებელია, რომ ადგილობრივებს ახალ ეროვნულ პარკშიცჰქონდეთ ბუნებრივი რესურსებით გონივრულად სარგებლობის საშუალება (სარეკრეაციო და ეკოტურისტული საქმიანობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ტყის არამექნული რესურსების გამოყენება და სხვ.). ეროვნული პარკი უნდა იმართებოდეს მართვის მრავალმხრივი სტრუქტურით, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადგილობრივი თემებისა და ხელისუფლების მონაწილეობა და შეთანხმებული და ეკონომიური საქმიანობა.

სამწუხაროდ აჭარაშიც და მთელ ქვეყანაშიც მწირია ამგვარი ეროვნული პარკის ამუშავებისა და განვითარების გამოცდილება. ეს მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა აჭარის დაცული ტერიტორიების სისტემის ბიოგეოგრაფიულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. შენარჩუნების გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად საჭიროა მნიშვნელოვანი ტექნიკური დახმარება და მართვის სწორი ერთიანი სტრუქტურების შექმნა. ამგვარი დახმარება არ გულისხმობს მხოლოდ შენარჩუნების სქემის (ანუ ეროვნული პარკის) შექმნას, ასევე საჭიროა მხარდაჭერა საწყის ეტაპზე და ახალი მიდგომების ადგილებზე გამოცდა. ამით დაიხვეწება პროექტის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობის უნარი და შეიქმნება მართვის მოქნილი მექანიზმი ახლადწარმოქმნილ საფრთხეებზე მოსარგებად.

მეორე: „ცარიელადგილას“ ასეთიეროვნულიპარკისშექმნასმოჰყვება მნიშვნელოვანი საწყისი ინვესტიციები დაცული ტერიტორიების სააგენტოდან და აჭარის რეგიონული თუ მუნიციპალური ხელისუფლებიდან. სააგენტოც და აჭარის ხელისუფლებაც მზად არიან ეროვნული პარკის რეგულარული ხარჯებისა და ძირითადი ინფრასტრუქტურული ერთეულებისთვის (ოფისი, გზები და სხვ.) საჭირო თანხების გამოსაყოფად. თუმცა მათ მოუწევთ ეროვნული პარკის შესაქმნელად საჭირო სხვა არსებითი „ტექნიკური“ დავალებების უზრუნველყოფაც (მაგ., საზღვრების დადგენა და ზონებად დაყოფა, მართვისსაწყისი მრავალმხრივი გეგმის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი თემების ინტერესები და მონაწილეობა).

მესამე: თავისი მიზნების მისაღწევად და შესაძლებლობათა გასავითარებლად მაჭახელას ახალმა ეროვნულმა პარკმა კავშირი უნდა დაამყაროს ჯამილის მომიჯნავე ბიოსფერულ ნაკრძალთან, განავითაროს მასთან თანამშრომლობის სტრატეგიული მიმართულებები და შეიმუშაოს ერთობლივი ღონისძიებები. თუმცა, როგორც სახელმწიფო ერთეულები, ვერც დაცული ტერიტორიების სააგენტო და ვერც აჭარის შესაბამისი უწყებები ადვილად ვერ შეძლებენ ამგვარი საერთაშორისო თანამშრომლობის წამოწყებას. ამიტომ კავშირების დასამყარებლად და ერთობლივ ღონისძიებათა დასაგეგმად მაჭახელასა და ჯამილის ეროვნული პარკების ხელმძღვანელობას საერთაშორისო ინსტიტუტებისა და დაინტერესებულ მხარეთა დახმარება დასჭირდებათ.

პროექტისმონაწილემხარეთაშესწავლა

პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე ჩატარდაპროექტის მონაწილე მხარეთა ანალიზი ამ პროექტის ფარგლებში მათი უფლება-მოვალეობების დადგენის მიზნით. მომდევნო ცხრილში ნაჩვენებია მთავარი მონაწილე მხარეები ცენტრალურ, სამხარეო, ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშიროსო დონეებზე, ასევე მოკლედაა მოცემული მათი უფლება-მოვალეობანი პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მხადასაჭერად და განსახორციელებლად.

	სამთავრობო უწყება	მონაწილე მხარის ინტერესები და გავლენა	უფლება-მოვალეობები
ეროვნული	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	<u>ინტერესი:</u> საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ქმედითი მართვა და გაფართოება; გარემოს დაცვის კანონმდებლობის აღსრულება. <u>გავლენა</u>: მეთვალყურეობა და გეზის ჩვენება;გარემოს შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი უმაღლესი სახელისუფლო უწყება, რომელსაც შეუძლია სათანადო სამართლებრივი ბაზისა და უწყებრივი სისტემის შექმნა	პროექტის განმახორციელებელი პარტნიორი ცენტრალურ დონეზე
	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო	<u>ინტერესი:</u> დაცული ტერიტორიების ქმედითი მართვა გარემოს შენარჩუნების მიზნების გათვალისწინებით და სასურველი შედეგების მიღწევა; ყველა შესაბამის ღონისძიებაში მონაწილეობა. <u>გავლენას</u>ახდენს ცალკეული დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციების საქმიანობაზე; მართავს ცენტრალიზებულად და უწევს ზედამხედველობას	განმახორციელებელი პარტნიორის განაყოფი ცენტრალურ დონეზე, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე. ნიშნავს პროექტის ადგილობრივ დირექტორს, რომელიც თავმჯდომარეობს პროექტის განხორციელების საბჭოს (PEB)
	ენერგეტიკისა სამინისტრო	<u>ინტერესი:</u> უცხოური საინვესტიციო კომპანიების ხელშეწყობა ჰიდრო-ელექტრო სადგურების მშენებლობაში; უსაფრთხოების მოთხოვნებისა და ეკოლოგიური სტანდარტების დაცვა.	საჭიროა, ჩაებას დაცული ტერიტორიების მართვის გეგმის მომზადებაში ჰიდროელექტრო სადგურების თვალსაზრისით

		<u>გავლენას</u>ახდენს ენერგეტიკის სფეროსა და საყოფაცხოვრებო მიზნებით ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე. ნაკლებად ეხება ბუნების შენარჩუნების საკითხები.	
	კულტურისადა ძეგლთა დაცვის სამინისტრო	<u>ინტერესი:</u>ეროვნულ პარკში მდებარე ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა. <u>გავლენა</u> ამჟამად მწირია, თუმცა შეიძლება გაიზარდოს.	საჭიროა, ჩაებას დაცული ტერიტორიის მართვის გეგმის მომზადებაში კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლებისა და ლანდშაფტების დაცვის მიზნით
	საზღვრის დაცვის სახელმწიფო სამსახური	<u>ინტერესი:</u> სახელმწიფო საზღვრის დაცვა. ნაკლებად ეხება ბუნების შენარჩუნება და რესურსების გონივრული გამოყენება. შესაძლებელია <u>გავლენის</u>ზრდა, თუ მის სამოქმედო არეში მაჭახელას ეროვნული პარკიც მოხვდება; პასუხისმგებელია სახელმწიფოთა შორის მიმოსვლაზე (მნიშვნელოვანია თურქეთის ჯამილის ბიოსფერულ ნაკრძალთან უერთიერთობისა და უცხოელი ტურისტების მიმოსვლის თვალსაზრისით)	საჭიროა მასთან კონსულტაციები თურქეთთან (ჯამილის ბიოსფერულ ნაკრძალთან) ტრანსსასაზღვრო მიმოსვლის შეძლებისდაგვარად გასაუმჯობესებლად და მაჭახელას ეროვნული პარკის საზღვრისპირა ნაწილში შესვლისა და მისი დაცვის მიზნით.
	საერთაშორისო სამუშაო ჯგუფი: მაჭახელას ეროვნული პარკი (საქართველო) და ჯამილის ბიოსფერული ნაკრძალი (თურქეთი)	<u>ინტერესი:</u> ორ დაცულ ტერიტორიას შორის ურთიერთობის გაძლიერება აქტიური ერთობლივი მუშაობით ეკო-ტურიზმისა და ინფრასტრუქტურისსფეროებში. სარგებლობს საკმაო <u>გავლენით</u> პროექტის კონტექსტიდან გამომდინარე.	საჭიროა, აქტიურად ჩაებას პროცესებში, რომ ხელი შეუწყოს შეთანხმებულ ღონისძიებათა განხორციელებას. ჯგუფში ძირითადად გაერთიანდებიან პროექტის ტექნიკურ-საკოორდინაციო ჯგუფის წევრები (მაგ.,DoI და WWF).
სამხარეო	აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის დეპარტმანეტი და აგრო-სერვის	<u>ინტერესი:</u> სოფლების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით; ადგილობრივ მეურნეთათვის ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების (საძოვრების მართვა, სიახლეები) გაცნობა.	პროექტის ფარგლებში ეკისრება საარსებო გარემოს გაუმჯობესება და მდგრადობის უზრუნველყოფა. პროექტთან კავშირი ექნება პროექტის განმახორციელებელი პარტნიორისა დაUNDP-ის

	ცენტრი	<u>გავლენას</u>ახდენს მოსახლეობის შეგნებაზე; მეურნეებს აცნობს სოფლებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე პრაქტიკას.	პროექტის („აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“) მეშვეობით.
	აჭარის მდგრადი განვითარების ასოციაცია	<u>ინტერესი:</u> დახმარება ბუფერული ზონების შექმნა-განვითარებაში; ტყეებისა და საძოვრების გონივრული გამოყენების, მეფუტკრეობის, ეკოტურიზმისა და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება. დამოკიდებულია გარე დაფინანსებაზე, თუმცა მოსალოდნელია,<u>გავლენა</u> იქონიოს პროექტის საერთო წარმატებაზე	პროექტის ფარგლებში ეკისრება საარსებო გარემოს გაუმჯობესება და მდგრადობის უზრუნველყოფა. პროექტთან კავშირი ექნება პროექტის განმახორციელებლი პარტნიორისა დაUNDP-ის პროექტის („აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“) მეშვეობით.
	გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ასოციაცია „მთა-ბარი“	<u>ინტერესი:</u> ველური ბუნების დაცვისა და მდგრადი განვითარების პროექტების შემუშავება და მართვა; ეკოლოგიის შესახებ საგანმანათლებლო, მათ შორის ვიდეო, მასალების მომზადება და გავრცელება. დამოკიდებულია გარე დაფინანსებაზე, თუმცა მოსალოდნელია,<u>გავლენა</u> იქონიოს პროექტის საერთო წარმატებაზე	ამ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის როლი სრულად შეისწავლება პროექტის საწყის ეტაპზე
	ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“	<u>ინტერესი:</u> ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, აღდგენა და ქმედითი მართვა; კვლევა; შესაბამისი ღონისძიებების გატარება და უფლება-მოვალეობათა შესრულება. დამოკიდებულია გარე დაფინანსებაზე, თუმცა მოსალოდნელია <u>გავლენა</u> იქონიოს პროექტის საერთო წარმატებაზე.	საზოგადოებისა და თემების მიერ ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს მონიტორინგის ხელშეწყობა, მათ შორის დახმარება მონაცემთა შეგროვებასა და შედეგების დამუშვებაში

	აჭარის ტურიზმის ასოციაცია	<u>ინტერესი:</u> აჭარის ტურისტული სააგენტოების გაერთიანება, რომელმაც კოორდინაცია უნდა გაუწიოს კერძო, საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებს და საქართველოს ტურიზმის ასოციაციასთან ერთად ხელი შეუწყოს ტურიზმის განვითარებას. <u>გავლენა</u>, მოსალოდნელია, გაიზარდოს	ასრულებს წამყვან როლს აჭარის ტურიზმის განვითარებაში; საჭიროა მისი ჩაბმა მოცემული დაცული ტერიტორიის განვითარების გეგმის ტურიზმის კომპონენტის მომზადებაში.
	მტირალასა და მაჭახელას ეროვნული პარკებისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიებისადმი ნისტრაციები	<u>ინტერესი:</u> თანამშრომლობა ყველა მონაწილე მხარესთან; ადგილობრივ თემებთან ერთად ბუნების დაცვის ღონისძიებებში მონაწილეობა დაცულ ტერიტორიასა და მის მიმდებარე მიწებზე. საკმაო <u>გავლენა</u>აქვს დაცული ტერიტორიის შიგნით და, გარკვეულწილად, მის გარშემო არსებულ მიწებზე და იქ მცხოვრებ თემებზე.	პროექტის მთავარი ადგილობრივი მოსარგებლე და მიზნობრივი მონაწილე მხარე. წამყვან როლს შეასრულებს ყველა ღონისძიებაში
ადგილობრივ ხელისუფლებები	ადგილობრივი სახელისუფლო ერთეულები: ძირითადად ქობულეთის მუნიციპალიტეტი და, გარკვეულწილად, ხელვაჩაური და ქედა	ჩვეულებრივ, დიდად <u>დაინტერესებულნი</u>არიან ადგილობრივ მმართველობათა დახვეწაზე მიმართული ღონისძიებებით: საზოგადოებისთვის მომსახურების გაწევა, ინფრასტრუქტურა, შემოსავლები, ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური აქტივობები და სხვ.	წამყვან როლს ასრულებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ღინისძიებებში. საჭიროა მათთან ახლო კავშირი. იქნებიან პროექტის განხორციელების საბჭოსა და ტექნიკურ-საკოორდინაციო ჯგუფის წევრები.
	აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სააგენტოსთან არსებული სატყეო სამსახურის ქობულეთის, ხელვაჩაურისა და	<u>ინტერესი:</u>ტყისსაყოფაცხოვრებო მიზნით ჭრის პროცესის მართვა; ცალკეული დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებთან თანამშრომლობა. სარგებლობენ საკმაო <u>გავლენით</u> ადგილობრივ ხელისუფლებებთან, დაცული ტერიტორიების	წამყვან როლს ასრულებენ მოცემული დაცული ტერიტორიის მიმდებარედ არსებული სატყეო უბნების მართვაში; მნიშვნელობა ენიჭებათ კოორდინაციის თვალსაზრისით; უნდა ჩაებან მართვის დაგეგმვაში.

	ქედის ქვე-სამსახურები	ადმინისტრაციებთან და ადგილობრივ თემებთან ახლო კავშირების გამო	
	ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლები, რომელთა მოსახლეობის ყოველდღიური საქმიანობა ბუნებრივად უკავშირდება ეროვნულ პარკს	<u>ინტერესი:</u>ტყის დაცვასთან ერთადტყეზე დამოკიდებული ხალხის ინტერესების გათვალისწინება, მათი საარსებო გარემოს გაუმჯობესება, ტურიზმთან დაკავშირებული სამუშაო ადგილების შექმნა, ტურიზმიდან შემოსავლის გარკვეული ნაწილის მიღება. სარგებლობენ საკმაო <u>გავლენით</u>, რადგან მდებარეობენ უშუალოდ მოცემულ დაცულ ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ (არაუშორეს 5 კმ-სა); მოსახლეობის სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალია (100 მოსახლეზე მეტი 1 კმ^2-ზე)	პროექტის მთავარი ამოცანა დაცული ტერიტორიების დაგეგმვასა და მართვაში ადგილობრივი თემების აქტიურად ჩაბმაა. საამისოდ პროექტში უნდა აისახოს კონკრეტული ღონისძიებები (ადგილობრივ თემთა წარმომადგენლობის ზრდის, მათთან კონსულტაციებისა და შესაძლებლობათა განმტკიცების გათვალისწინებით)
	თემის წარმომადგენლები	<u>ინტერესი:</u> ადგილობრივი თემის დანიშნული წარმომადგენლები, რომლებიც ძირითადად დაინტერესებულნი არიან ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებითა და ინფრასტრუქტურული სარგებლით სოფლებისა და თემებისთვის. სარგებლობენ საკმაო <u>გავლენით</u>, რომ მოახდინონ ადგილობრივ თემთა მობილიზაცია დაცულ ტერიტორიებსა და მათ მიმდებარედ	იგივე, რაც ზემოთ. როგორც ადგილობრივი თემის დანიშნული წარმომადგენლები, ისინიიცავენ თემის ინტერესებს. ამ მიზნით ისინი თემებს წარმოადგენენ ეროვნული პარკის მმართველ საბჭოში.
	ადგილობრივი თემების მეფუტკრეთა გაერთიანებები (მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკები)	<u>ინტერესი:</u> ტყის, საქმიანობისა და ფინანსური სარგებლის შენარჩუნება; დამატებითი დაფინანსება სარგებლობენ საკმაო <u>გავლენით</u>, რადგან,როგორც თემის ნაწილს, მრვალმხრივი ურთიერთობები აქვთ.	ადგილობრივ მეფუტკრეთა გაერთიანებები ადგილობრივი რესურსებით შეთანხმებულად სარგებლობის კარგი მაგალითია. ეს გაერთიანებები არა მხოლოდ მეფუტკრეობის ან მასთან დაკავშირებული საყოფაცხოვრებო საკითხების წარმმართველი ძალა იქნება,

			არამედ აქტიურად ჩაებმება უფრო მოცულობითი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა შემოსავლების ზრდა და ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენება დაცულ ტერიტორიებსა და მათ მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის მიერ.
საერთაშორისო და ადგილობრივი	ბუნების მსოფლიო ფონდი (WWF)	იჩენს დიდ <u>ინტერესს,</u> რაც დასტურდება წარსული საქმიანობით, მტირალას ეროვნული პარკისთვის გაწეული დახმარებითა და მაჭახელას ეროვნული პარკის შექმნაში მონაწილეობით. <u>გავლენა</u>: წამყვან როლს ასრულებს როგორც რეგიონული (კავკასია), ისე საქართველოსა და აჭარის მასშტაბით. აქვს კვალიფიკაცია და გამოცდილება ადგილობრივ დონეზე.	ბუნების მსოფლიო ფონდი თანადააფინანსებს და გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემიდან (GIS) მიღებული სასარგებლო საწყის მონაცემთა გაზიარებით ხელს შეუწყობს ტრანსსასაზღვრო ღონისძიებებს ჯამილის ბიოსფერულ ნაკრძალთან. ბუნების მსოფლიო ფონდის წარმომადგენლები იქნებიან ტექნიკური საკოორდინაციო ჯგუფის მოწვეული წევრები.
	ევროკავშირი (EU)	<u>ინტერესი:</u> ევროპის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა; ევროკავშირის პოტენციური წევრის შესაძლებლობათა განვითარება წევრის ვალდებულებათა შესასრულებლად. სარგებლობს საკმაო <u>გავლენით</u>. საქართველოს ხელისუფლება დიდად დაინტერესებულია ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებით, ამიტომ ევროკავშირის დახმარება და მითითებები სერიოზულად აღიქმება.	პროექტი შეთანხმებულად იმოქმედებს ევროკავშირის საპარტნიორო პროექტთან („საქართველოს დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება“), რომლის თანადაფინანსებით მიმდინარეობს ღონისძიებები მტირალას ეროვნულ პარკში; ასევე ხელს უწყობს ქვეყნის შესაძლებლობათა განვითარებას პროექტის მიზნების მისაღწევად. ევროკავშირის პროექტის პერსონალი იქნება ტექნიკური საკოორდინაციო ჯგუფის ნაწილი.

	რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)	<u>ინტერესი:</u> კავკასიის ბუნების შენარჩუნების ხელშეწყობა. უშუალოდ დაინტერესებულია კინტრიშის დაცული ტერიტორიის კომპლექსით, როგორც საქართველოში ბუნების შენარჩუნების მართვის დახვეწის პროცესის ნაწილით. <u>გავლენა:</u> არის მთავარი დონორი და კარგი საქმიანი კავშირები აქვს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან.	პროექტი გაითვალისწინებს საქართველოს, განსაკუთრებით კინტრიშის, დაცული ტერიტორიებისთვის KfW-ის მიერ გაწეულ დახმარებას. ამ ორგანიზაციის პროექტის პერსონალი იქნება ტექნიკური საკოორდინაციო ჯგუფის ნაწილი.
	აშშ შინაგან საქმეთა დეპარტამენტი (DoI)	<u>ინტერესი:</u> თავისი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში DoI საქართველოს დაეხმარება საჯარო მიწების მართვაში. ის დაინტერესებულია ტრანსსასაზღვრო ურთიერთობათა განვითარებით თურქეთთან (მაჭახელასა და ჯამილის ნაკრძალები). <u>გავლენა:</u> როგორც ტრანსსასაზღვრო სამუშაო გეგმის მომზადებაში ჩართულ ერთეულს შეუძლია, მეტი გავლენა იქონიოს ამ პროცესებზე.	DoI-ს პერსონალი, რომელიც ჩაბმულია ტრანსსასაზღვრო სამუშაოებშიჯამილის ბიოსფერულ ნაკრძალთან, ტექნიკური საკოორდინაციო ჯგუფის ნაწილი იქნება. პროექტი დამატებით ღონიძიებებს განახორციელებს შეთანხმებული სამუშაო პროგრამის საფუძველზე.
	კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)	<u>ინტერესი:</u> კავკასიის ბუნების ფონდი სატრასო ფონდია, რომელიც შეიქმნა GEF-ისა და სხვათა მიერ კავკასიაში ბუნების დაცვის ხელშეწყობის მიზნით. <u>გავლენა:</u>მომავალში კავკასიის ბუნების ფონდი პირდაპირ დაფარავს მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილს.	კავკასიის ბუნების ფონდის შესაბამისი თანამშრომელი (წარმომადგენელი საქართველოში) იქნება ტექნიკურ-საკოორდინაციო ჯგუფის წევრი.

საწყისივითარებისშესწავლა

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ საქართველოს ცენტრალური და აჭარის სამხარეომთავრობები დაცული ტერიტორიების სავარგულების შენარჩუნებისა და დაცვის ვალდებულებას იღებენ.

<u>გარემოს დაცვა</u>: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო გარემოს დაცვის სფეროს მდგრადობას შესაბამისი პოლიტიკითა და წესებით უზრუნველყოფს. ამიტომ გარემოს დაცვის საკითხები ქვეყნის განვითარების ერთიან პროგრამაში იქნება გათვალისწინებული (დაწვრილებითსამინისტროს სტრუქტურისა და ფუნქციების შესახებ იხ. პარაგრაფი „უწყებები“).

<u>დაცულიტერიტორიებისმართვა</u>. პროექტის განმავლობაში 16 მლნ აშშ დოლარზე მეტი დაცული ტერიტორიების სისტემის მართვას მოხმარდება (დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეგულარული და საინვესტიციო ხარჯების დასაფარად). მოსალოდნელია, რომ სააგენტოს ინვესტიციებით ასევე დაეხმარებიან (40 მლნ აშშ დოლარი ბოლო 5 წლის მონაცემებზე დაყრდნობით)განვითარების სფეროს პარტნიორები დაცული ტერიტორიის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. დაცული ტერიტორიების სააგენტოს მეშვეობითაჭარის დაცული ტერიტორიების სამართავად მთავრობა მთელი პროექტის მანძილზე წელიწადში 1240000 აშშ დოლარს გაიღებს. ეს თანხა მოიცავს წლიურ პერიოდულთანხებს 4 დაცული ტერიტორიისთვის (დაახლ. 84600 აშშ დოლარი წელიწადში მტირალას ეროვნული პარკისთვის; 35600 აშშ დოლარი წელიწადში კინტრიშის დაცული ტერიტორიების სისტემისთვის; 30000 აშშ დოლარი წელიწადში ქობულეთის აღკვეთილისთვის და 50000 აშშ დოლარი წელიწადში მაჭახელას ეროვნული პარკისთვის), ამას ემატება საწყისი საინვესტიციო თანხა მაჭახელას ეროვნული პარკის შესაქმნელად (300000 აშშ დოლარი 4 წლის მანძილზე) და დამატებითი (ერთჯერადი) ინვესტიციები სხვა დაცული ტერიტორიებისთვის - 140000 აშშ დოლარი 4 წლის მანძილზე. KfW-ს „კავკასიის დაცული ტერიტორიების დახმარების პროგრამის“ საქართველოს კომპონენტი (საქართველოს ეკორეგიონული პროგრამის III ფაზა) ითვალისწინებს დაცული ტერიტორიების სააგენტოს დახმარებას კიტრიშის დაცულიტერიტორიების მართვაში დაახლ. 2,3 მლნ აშშ დოლარით მთელი პროექტის მანძილზე. ევროკავშირი, თავისი საპარტნიორო პროექტის ფარგლებში,ისევ და ისევ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის მთელი პროექტის მანძილზე გამოყოფს 215000 აშშ დოლარს მტირალას ეროვნული პარკის მართვის გეგმის მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად მართვის გეგმის შემუშავებისა და განხორციელების კუთხით. დაცული ტერიტორიების სააგენტო ქობულეთის დაცული ტერიტორიების სამართავად ყულევის ფონდიდან წელიწადშიმიიღებს 60000 აშშ დოლარს. აჭარაში დაბანდებული თანხები ძირითადად მიმართულია სააღსრულებო და საგანმანათლებლო ღონისძიებებზე გარემოს

დაცვის სფეროში, ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. „კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ეკოსისტემების თანამშრომლობის გეგმისა“ (Critical Ecosystem Partnership Plan Fund) და ბუნების მსოფლიო ფონდებთან ერთად დაცული ტერიტორიების სააგენტომ შეიმუშავა სივრცულ-ტერიტორიული გეგმის პროექტი (მტირალასა და მაჭახელას ბუნებრივი ლანდშაფტის ტერიტორიის მართვის გეგმა), სადაც მოცემულია რეკომენდაცია მაჭახელას ეროვნული პარკის შექმნის შესახებ. ეს გეგმა ჯერ დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ და შემდეგ საქართველოს პარლამენტმა. განხორციელდა აჭარის, მათ შორის მაჭახელა-მტირალას მხარის, საჩვენებელი ლანდშაფტური დაგეგმვა, აღწერა-შეფასება ჩატარდა სანდო ამოსავალ ინფორმაციაზე დაყრდნობით მხარის განვითარებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების შესახებ. მიღებულია დაწვრილებითი თანამგზავრული გამოსახულებები (მასშტაბით 1:120000), სადაც აღნიშნულია მიწის გადაგვარებისა და ათვისების შემთხვევები.

<u>შენარჩუნებისსამუშაოებიუფრო ვრცელ ლანდშაფტში</u>: დაცული ტერიტორიის სამართავად გამოყოფილი თანხების გარდა, პროექტის განმავლობაში ხელისუფლება დამატებით გაიღებს 12,5 მლნ აშშ დოლარს ბიომრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად დაცული ტერიტორიის მიღმა; ეს გულისხმობს ტყეების მართვას, გარემოზე ზემოქმედების შეფასებებს განვითარების გეგმებში ბიომრავალფეროვნების საკითხთა შეტანის მიზნით, გარემოს დაცვის სტრატეგიის შემუშავებას საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, გარემოს კომპლექსურ მართვასა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საკითხებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა პროექტის განმავლობაში ასევე გაიღებს 3 მლნ აშშ დოლარს აჭარის დაცულ ტერიტორიებს მიღმა არსებული ტყეების სამართავად. ეს თანხა მოხმარდება წესრიგის დაცვას, ტყეების აღდგენას, გავრცელების არეების მოწესრიგებას, ტყის ხანძრების კონტროლსა და უცხო სახეობათა მოძალების შეჩერებას. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო თავისი ეკოლოგიური ექსპერტიზისა და შემოწმების დეპარტამენტის მეშვეობით რეგულარული ხარჯებისთვის წელიწადში გამოყოფს 100000 აშშ დოლარს, რაც მოხმარდება გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და ეკოლოგიურ შემოწმებას განვითარების უარყოფითი ზემოქმედების გასაკონტროლებლად. „ორჰუსის ცენტრის“ დახმარებით სამინისტრო უკვე სწავლობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების არსებულ სისტემასა და მისი ქმედითობის განმსაზღვრელ ფაქტორებს და მუშაობს რეკომენდაციებზე მათ დასახვეწად.

<u>აჭარის სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა</u>: აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გაეროს განვითარების პროგრამის ტექნიკური დახმარებითა და ევროკავშირის დაფინანსებით, პროექტის განმავლობაში გაიღებს 3,3 მლნ ევროს მთის მცირე მეურნეობების ეკონომიკურად გასაძლიერებლად და მათი მდგრადობის უზრუნველსაყოფად (დაცულ ტერიტორიებზე და მათ მიმდებარედ არსებული მეურნეობების ჩათვლით) და თავისი უნარის გასავითარებლად, ჩაატაროს პოლიტიკის ანალიზი და შეასრულოს აღნიშნულთან დაკავშირებული დავალებები („აჭარის არ სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის პროექტი).

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, აჭარაში მოსალოდნელია საფრთხეების ზრდა, ნაწილობრივ მისი მდებარეობის გამო განვითარების მთავარი რეგიონული კვანძების ახლოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული მხარეების დაცვა და შენარჩუნება და ეკოსაცავების გაფრთხილება ეკოსისტემისსიკეთეებით ხანგრძლივად, ოღონდ გონივრულად, სარგებლობის მიზნით (მაგ., ბიომრავალფეროვნების დაცვა, წყლის ხარისხისა და მოცულობის შენარჩუნება)

II ნაწილი: სტრატეგია

პროექტის არსი და სტრატეგიათა შესაბამისობა

GEF-ისპრიორიტეტული მიმართულების სტრატეგიასთან და სტრატეგიულ პროგრამასთან შესაბამისობა

წარმოდგენილი პროექტი დაიგეგმა GEF-ის „ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მიმართულების“ პირველი სტრატეგიული მიზნის მიხედვით: დაცული ტერიტორიების მდგრადობის გაუმჯობესება. პროექტი ხელს შეუწყობს „ბიომრავალფეროვნების შესახებ“კონვენციის 2011-2020 წწ. სტრატეგიული გეგმისა და ამავე კონვენციის „დაცულ ტერიტორიებზე მუშაობის პროგრამის“ შესრულებას, რომლებიც 2011 წ. ხელახლა დაამტკიცეს ნაგოიაში (იაპონია). კერძოდ, პროექტი შეესაბამება „დაცულ ტერიტორიებზე მუშაობის პროგრამას“ დაცული ტერიტორიების ეროვნული სისტემების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების, რეგიონული ქსელების შექმნის, მოსაზღვრე დაცულ ტერიტორიებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და დაცული ტერიტორიის დაგეგმვისა და მართვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების თვალსაზრისით.გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში დაინერგება დაცული ტერიტორიის მართვის ახლებური მეთოდები, ხელი შეეწყობა მიუკერძოებლობას, სარგებლის სწორად განაწილებას და ადილობრივი თემებისა და პარტნიორების აქტიურ ჩაბმას დაცული ტერიტორიების მართვაში, რაც სრულად შეესაბამება ბიომრავალფეროვნების შესახებკონვენციის „დაცულ ტერიტორიებზე მუშაობის პროგრამას“.

რას შემატებს პროექტი GEF-ის მაჩვენებლებს

GEF-ის სტრატეგიული პროგრამა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგები	GEF-ის მაჩვენებლები	რას შემატებს პროექტი GEF-ის მაჩვენებლებს
დაცული ტერიტორიების სისტემების მდგრადობის გაუმჯობესება	1. ეკოსისტემის საზღვრებშიმოქცეულია ხმელეთის ეკოსისტემის მეტი ფართობი 2. გაუმჯობესებულია ხმელეთის დაცული ტერიტორიების მართვა	1. ხმელეთის ეკოსისტემის ფართობი ეროვნული დაცული ტერიტორიების სისტემაში 2. დაცული ტერიტორიის მართვის ქმედითობა, დადგენილი მართვის ქმედითობის შეფასების ინსტრუმენტით	1. დაცული ტერიტორიის ფართობი საწყისი 33659 ჰექტრიდან 42392 ჰექტრამდე გაიზარდა. 2. საქართველოს დაცული ტერიტორიების საზღვრებში მოქცეული ზომიერად ტენიანი კოლხური ტყეების ფართობი გაიზარდა, სულ მცირე, 25%-ით. 3. აჭარის 5 დაცული ტერიტორიიდან 4-ში მართვის ქმედითობის ქულა საწყისთან შედარებით, სულ მცირე, 5%-ით გაიზარდა. 4.შესაძლებლობათა განვითარების ქულები საწყისთან შედარებით (სისტემური - 14, უწყებრივი - 21, ინდივიდუალური - 9), სულ მცირე, 40%-ით გაიზარდა

გარდაამისა, პროექტი ხელს უწყობს „აიჩის მიზნების“, კერძოდ სტრატეგიული ამოცანის, შესრულებას: ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესება ეკოსისტემების, სახეობებისა და გენეტიკური მრავალფეროვნების დაცვით. ასევე ხელს უწყობს მე-11 მიზნის შესრულებას დაცული ტერიტორიების სისტემის საზღვრების გაფართოებით, ურთიერთკავშირის გაღრმავებითა და მართვის დახვეწითბიომრავალფეროვნებით გამორჩეულმხარეებში.

რის საფუძველზე შეირჩა GEF

ამ პროექტით საქართველოს მთავრობაGEF-ის დახმარებას ითხოვს, რომ ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად ნაბიჯ-ნაბიჯ აღმოიფხვრას აჭარაში სიცოცხლისუნარიანი, მოცულობითი და კარგად მართული დაცული ტერიტორიის შექმნის დამაბრკოლებელი ფაქტორები. ეს ინვესტიცია სტრატეგიულია და მიმართულია უკიდურესად მწვავე საჭიროებებზე; კერძოდ, ბიომრავალფეროვნებისთვის საშიშ ახლადწარმოქმნილ საფრთხეებზე და ამ მხარეში დაცული ტერიტორიების სავარგულების გაერთიანებაზე. აღნიშნული შესაძლებელი გახდება ახალი ეროვნული პარკის შექმნით, არსებული სამი დაცული ტერიტორიის ქმედითი მართვით, სათანადო მექანიზმების შემუშავებით ადგილობრივი მოსახლეობის დაცული ტერიტორიების მართვაში ჩასაბმელად და განვითარებისა და ფინანსური გეგმების მომზადებით ტურიზმის ხელშეწყობისა და ბუნებრივი რესურსების გონივრული მართვის მიზნით.

პროექტისმიზანი, ამოცანა, საბოლოოდაშუალედურიშედეგები/ღონისძიებები

პროექტის **მიზანია**, *„რეგიონული დაცული ტერიტორიის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მცირე კავკასიონზე, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით საყოველთაოდ მნიშვნელოვანი ზომიერად ნოტიო კოლხური ტყეების დაცვასა და გონივრულ გამოყენებას“.*

პროექტის **ამოცანაა**„*მართვის დახვეწა, ბიოგეოგრაფიული საზღვრების გაფართოება და დაცული ტერიტორიების ურთიერთკავშირის განმტკიცება აჭარის ტყის ეკოსისტემების დასაცავად“.*

პროექტის მიზანი მიღწეულად, დაბრკოლებები (იხ. I თავის I ნაწილი)კი გადალახულად ჩაითვლება, თუ პროექტის დასასრულს მივიღებთ შემდეგ **საბოლოო შედეგებს**:

1. დაიხვეწა აჭარის დაცული ტერიტორიების მართვა;
2. დაცული ტერიტორიების საზღვრების გაფართოების შედეგად განმტკიცდა დაცული ტერიტორიების ფუნქციური კავშირი მცირე კავკასიონის დასავლეთით.

Iსაბოლოო შედეგი: დაიხვეწა აჭარის დაცული ტერიტორიების მართვა

ესკომპონენტიდაცულიტერიტორიებისსააგენტოსა და პროექტის ადგილობრივ მონაწილე მხარეებს მტირალას ეროვნული პარკისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსის სამართავად საჭირო შესაძლებლობათა განვითარებაში დაეხმარება. შუალედური შედეგები და ღონისძიებები გამიზნულია მონაწილე მხარეთა[20] მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესავსებად, რაც ხელს შეუწყობს დაცული ტერიტორიების სააგენტოს შესაძლებლობათა განვითარებას, მართვისა და მოქმედების განახლებული და დახვეწილი გეგმების მომზადებას და მათ წარმატებით, ეკონომიურად და გონივრულად შესრულებას.

Iსაბოლოო შედეგის მისაღებად საჭიროა შემდეგი შუალედური შედეგების მიღწევა:

<u>შუალედური შედეგი 1.1</u>: კინტრიშის დაცულ ტერიტორიებსა და მტირალას ეროვნულ პარკში დაიხვეწა წესრიგის დაცვისა და თვალთვალის სისტემები.

აღნიშნულის მისაღწევად:

<u>განვითარდება დაცული ტერიტორიის თანამშრომელთა მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები წესრიგის ეკონომიურად დაცვის მიზნით</u>: პროექტის მეშვეობით უბნებზე მყოფი თანამშრომლები შეიძენენ სათანადო ცოდნას მართვის მეთოდების გასაუმჯობესებლად და დაცული ტერიტორიის მართვაში ადგილობრივი თემებისა და საზოგადოების ჩასაბმელად. პროექტის მოსამზადებელი გრანტის ფაზასა დაპროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე

[20]ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „საქართველოს დაცული ტერიტორიების მართვის დახვეწა“ და კავკასიის ბუნების ფონდი მოქმედებს მტირალას ეროვნული პარკის შიგნით და გარშემო, ხოლო KfW-ის მიერ დაფინანსებული „დაცული ტერიტორიების დახმარების პროგრამა“ მოქმედებს კინტრიშის დაცული ტერიტორიის კომპლექსის შიგნით და გარშემო.

შეფასდება არსებული შესაძლებლობები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდება „მომზადებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცების“ პროგრამა. მასში ყურადღება გამახვილდება შესაძლებლობების, უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების დახვეწაზე, რაც არა მარტო აუცილებელია დაცული ტერიტორიების შესაბამისი თანამშრომლებისთვის, არამედ გამოსადეგია ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. პირობითად, მოსამზადებელი კურსის ძირითადი თემები იქნება: უკანონო ქმედებათა კონტროლის ეკონომიური მეთოდები (შემოვლა და თვალთვალი); ეკოლოგიური მართვა (ეკოსისტემების მართვის მეთოდები დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით, მაგ., ხანძრების, დაავადებებისა და უცხო სახეობათა კონტროლი, გავრცელების არეების სახეცვლისა და საუკეთესო სახეობათა მართვა და სხვ.); ფინანსური მართვა და ანგარიშგება, განსაკუთრებული მახვილით ინვესტიციებისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მართვასა და შემოსავლიან ღონისძიებებზე (ამით მომზადდება ნიადაგი კონტროლის მექნიზმების დაცული ტერიტორიების სააგენტოდან დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისთვის გადასაცემდ); ადგილობრივ თემებთან ურთიერთობისა და მათი დაცული ტერიტორიების მართვაში მონაწილეობისთვის საჭირო მეთოდები; ტურიზმის მართვისა და კონტროლის პრაქტიკული გაკვეთილები; მართვის შედეგებზე დაფუძნებული მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები და მეთოდები; ეკოლოგიური შეგნების ამაღლება, ეკოლოგიური განათლება და პროპაგანდა.

<u>ამოქმედდებამონიტორინგისადაწესრიგისდაცვისერთობლივი, ხანგრძლივმოქმედი სისტემა; შეიქმნება პარკის ხელმძღვანელობასა და ადგილობრივ თემებს შორის ინფორმაციის გაზიარების მექანიზმი:</u> მონიტორინგისა და წესრიგის დაცვის ერთობლივი, ხანგრძლივმოქმედი სისტემა განაპირობებს ადგილობრივი თემებისა და დაცული ტერიტორიის თანამშრომელთა აქტიურ მონაწილეობას ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და მართვის ქმედითობის შეფასების მონაცემთა მოპოვების პროცესში. ეს პროცესი დაეფუძნება სხვა ქვეყნების, მათ შორის ბალტიისა და აღმ. ევროპის განვითარების გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების,მოწინავე გამოცდილებას. რაც გამართულიაამგვარი მიდგომები,მით ფასეულ და ხარისხიან მონაცემებს იძლევა. ეს მონაცემები სასარგებლოა არა მარტო დაცული ტერიტორიების ხელმძღვანელების, არამედ გადაწყვეტილებათა მიმღებთათვისაცსამეცნიერო და ეკოლოგიური მართვის სფეროებში, ოღონდ მონაცემთა მოპოვების „პროფესიონალურ“ მიდგომათა ხარჯზე. მონიტორინგის სისტემა უფრო ქმედითს ხდის მართვას, ასევე ამარტივებს გარეშე ზემოქმედებისა და ახალი საფრთხეების (მაგ.: კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ) მიმართ დაცული ტერიტორიების გამძლეობის დადგენას. მონიტორინგის მონაცემები შეისწავლება სამეცნიერო წრეებთან შეთანხმებით. წესრიგის დაცვის გაძლიერება კი შესაძლებელია (ა) შემოვლითა და თვალთვალითდა (ბ) ადგილობრივი თემების სიფხიზლით და ბუფერული/დამხმარე ზონებიდან შემოსულთა, ტურ-ოპერატორთა თუ ტურისტების მხილებით უკანონო ქმედებებში.

<u>შუალედური შედეგი 1.2:</u> საფრთხეები წარმოქმნისთანავე შემცირდა ადგილობრივ თემთა სწორი მონაწილეობით დაგეგმვისა და თანამმართველობის სქემებში, რომლებიც გათვალისწინებულია ორი ახლადშექმნილი სათემო ორგანიზაციის მართვის სტრუქტურით.

მტირალას ეროვნული პარკის მიმდებარე და კინტრიშის დაცული ლანდშაფტის შიგნით არსებულ ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულუბნებზე ადგილობრივ თემთა დასახმარებლად შეიქმნება <u>2 სათემო ორგანიზაცია</u>, რომლებიც თემებს წარმოადგენენ მართვის დაგეგმვისას და დაცული ტერიტორიების მმართველ საბჭოებში. სათემო ორგანიზაციები დაცული ტერიტორიის ხელმძღვანელობასთან შეათანხმებს ამ უბნებზე თანამმართველობის პირობებს და თემებს მათ დაცვაში დაეხმარება. თანამმართველობისას არსებული უფლება-მოვალეობანი (მაგ., შეშის ჭრა, არამერქნული რესურსების მოპოვება, საძოვრებზე საქონლის სიმჭიდროვე და სხვ.) შეთანხმდება დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციასა და სათემო ორგანიზაციას შორის.

ბუფერული ზონები მოხვდება შესაბამისი დაცული ტერიტორიების მართვის გეგმებში. პარტნიორების[21] მიერ გაღებული თანხებისა და სათემო ორგანიზაციების მეშვეობით პროექტი ადგილობრივ თემებსსაარსებო პირობების გაუმჯობესებაში დაეხმარებადა ასწავლის იმ სიკეთეებით გონივრულად სარგებლობას, რასაც მათი საცხოვრებელი ადგილი (დაცული ტერიტორიების ბუფერული თუ დამხმარე ზონები) იძლევა. ეს დახმარება გულისხმობს ისეთი სამსახურების შექმნას, რომლებიც ადგილობრივ თემებს რჩევა-დარიგებას მისცემენ და გამოცდილებას გაუზიარებენტყის რესურსებით სარგებლობის არსებული თუ ახალი პრაქტიკის შესახებ ბუფერული/დამხმარე ზონებისა თუ დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების შეუბღალავად. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა შეიძლება გულისხმობდეს ტურიზმს, გაუმჯობესებულ სოფლის მეურნეობას, მებაღეობას, მეფუტკრეობას, ტყის რესურსების გონივრულ გამოყენებას (შეშის ჭრა, ხის ჭრა სამშენებლო მიზნებისთვის, არამერქნული რესურსების(მაგ.: კენკრის, თხილისა თუ სამკურნალო მცენარეების შეგროვება), საქონლის მოვლა-პატრონობას, შემოსავლების დამატებითი წყაროების მოძიებასა(წყლის ჩამოსხმა, ადგილობრივი ხილ-ბოსტნეულის დაჩირება თუ დაფასოება) და მარკეტინგულ დახმარებას,საწვავის ეკონომიურად გამოყენების სწავლებასადასაწვავის ალტერნატული წყაროების მოძიებას (შეშის ჭრასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ჯანმრთელობისთვის საზიანო (განსაკუთრებით ქალებისთვის) შრომის შესამცირებლად).

თემატური სფეროები, რომლებიც პროექტის პარტნიორებმა (გაეროს განვითარების პროგრამის „აჭარის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროექტი“, GEF-ის მცირე გრანტების პროგრამა) უნდა დააფინანსონ, დადგინდება სათემო ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმებით. გარდა ამისა, ტურიზმის სათანადოდ განვითარებისა და თემთა ერთიანობის უზრუნველსაყოფად პროექტი ითვალისწინებს

[21]UNDP-სა და ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პროექტი აჭარაში, მცირე გრანტების პროგრამადა სხვ.

ტრადიციული საქმიანობის (მაგ. დურგლობა და ხელსაქმე) აღდგენას. პროექტი ასევე ხელს შეუწყობს კონკრეტულ ინიციატივებს სათემო ორგაზაციებთან, სხვა თემებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებულ თემატურ სფეროებში, სათემო ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ მონაწილე მხარეებს ასწავლის განაცხადების შედგენას მცირე გრანტებისა თუ სესხების მისაღებად, პროექტის პარტნიორებს მოუწოდებს, დაიცვან ინიციატივის მომხრეთა მიერ ხარჯების ერთობლივადდაფარვის პრაქტიკა (UNDP-ის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს პრაქტიკა განაპირობებს საქმისადმი ერთგულებას და მაქსიმალურად ზრდის წარმატების შანსებს).

<u>შუალედური შედეგი 1.3</u>: კინტრიშისა და მტირალას დაცული ტერიტორიების მოსალოდნელი ფინანსური საჭიროებანიდაკმაყოფილდა ბიომრავალფეროვნებისთვის საშიში ახლადწარმოქმნილი საფრთხეების ხანგრძლივად აღმოსაფხვრელად საჭირო ფინანსური მექანიზმების შემუშავებით.

აღნიშნული შუალედური შედეგი მიიღება:

<u>დაცული ტერიტორიების არსებული და მოსალოდნელი ფინანსური დეფიციტის შეფასებით:</u> კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის მართვის გეგმებზე დაყრდნობით და პროექტის პარტნიორთა დახმარებით (KfW და ევროკავშირის საპარტნიორო პროექტი) პროექტი საფუძვლიანად შეისწავლის დაცული ტერიტორიების ხანგრძლივ ფინანსურ საჭიროებებს, არსებულ ფინანსურ დეფიციტსა და მართვის გეგმების პრაქტიკულობის უზრუნველსაყოფად საჭირო დამატებით სახსრებს. გარდა ამისა, შეფასება შესაძლებელს გახდის გამოვლენილი დეფიციტის აღმოფხვრის ვარიანტების შესწავლას. ეს მოხდება დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციათა შესაბამის თანამშრომლებთან ერთად, რაც მათ წარსულში მიღებული ცოდნის გამოყენების საშუალებას მისცემს.

<u>ბიზნეს-გეგმების[22] მომზადებით:</u> ზემოთქმულზე დაყრდნობით, მომზადდება მტირალას ეროვნული პარკისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ბიზნეს-გეგმები, რომლებიც მიმართული იქნება დაცული ტერიტორიების მდგრადი შემოსავლების ზრდაზე, მათი მართვის გამჭვირვალობასა და კვლავ დაცული ტერიტორიების სასარგებლოდ მოხმარებაზე.ამგვარი გეგმების მომზადება დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციათა თანამშრომლებს წარსულში მიღებული ცოდნის გამოყენების საშუალებას მისცემს.

ბიზნეს-გეგმები ეფუძნება საჭიროებათა და შესაძლებლობათა ანალიზს, ასევე დაცული ტერიტორიების ეკონომიკური ღირებულებისა და მზარდი დაბანდებების რენტაბელობის

[22]მომზადდება GEF/UNDP-ის პროექტის „საქართველოს დაცული ტერიტორიების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობის“ ფარგლებში შემუშავებული „დაცული ტერიტორიების ბიზნეს გეგმის“ მითითებებისა და სტანდარტული ფორმატის თანახმად

შეფასებას, დაფინანსების გაუმჯობესების ვარიანტების მოძიებას, მზარდი ბიუჯეტებისა და ახალი პროგრამების დაფინანსებას. პროექტისთვის ჯანსაღი ბიზნეს-მოდელის მოსარგებად გამოიყენება GEF-ის მიერ დაფინანსებულ პროექტში („საქართველოს დაცული ტერიტორიების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა“) მოცემული ბიზნეს-გეგმის მომზადების წესები და სტანდარტული ფორმატი და მტირალას ეროვნული პარკის ეკონომიკური კვლევა. აჭარაში ტურიზმი გეომტრიული პროგრესიით იზრდება, რითაც აუცილებლად უნდა ისარგებლონ დაცული ტერიტორიების ხელმძღვანელებმა ფინანსური მდგრადობის საკითხის გადასაჭრელად. ეკოსისტემის მომსახურებით სარგებლობაზე, წყაროს წყლის ჩამოსხმასა და ა.შ. დაწესებული გადასახადები დამატებითი შემოსავლების წყარო შეიძლება გახდეს; შესასწავლია ნახშირბადის კვოტებთან დაკავშირებული ვარიანტებიც. პროექტით შეფასდება ყველა ამგვარი შესაძლებლობა და, მათი მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, შევა ბიზნეს-გეგმებში. ასევე შესასწავლია, რამდენად ეკონომიური იქნება ხელმძღვანელობის ისეთი მცდელობები, როგორიცაა მუშაობის მეთოდების გარდაქმნა და ადგილობრივი თემების დაცული ტერიტორიების მართვაში ჩაბმა.

მას შემდეგ, რაც დაცული ტერიტორიების სააგენტო და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები ერთობლივად მოამზადებენ ბიზნეს-გეგმებს, პროექტი დაეხმარებამათ ამ გეგმებისპრაქტიკული განხორციელების საწყის ეტაპზე და გაუადვილებს დაგეგმვიდან მოქმედებაზე გადასვლის პროცესს. პროექტს კი საშუალება ექნება, პრაქტიკულად გამოცადოს გეგმებში მოცემული სხვადასხვა ვარიანტი და მექანიზმი და, შესაბამისად, უზრუნველყოს სახსრების მობილიზაცია დაცული ტერიტორიისთვის.

II საბოლოო შედეგი:დაცული ტერიტორიების სისტემის საზღვრები გაფართოვდა დაცული ტერიტორიების ფუნქციური კავშირის განსამტკიცებლად მცირე კავკასიონის დასავლეთით:

ეს კომპონენტი ხელს შეუწყობს აჭარაში დაცული ტერიტორიების საზღვრების გაფართოებას და კოლხური ტყეების ფუნქციური კავშირის განმტკიცებას, რაც მონაწილე მხარეებს მაჭახელას ეროვნული პარკისა (8733 ჰა) და დამხმარე/ბუფერული ზონების შექმნაში დაეხმარება (იხ. დანართი მომავალი დაცული ტერიტორიის ადგილმდებარეობის რუკით). მაჭახელას ეროვნული პარკის შექმნის იდეა ჯერ მოიწონა აჭარის ა/რ ხელისუფლებამ, 2012 წ. მაისში კი დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა[23]. დაცული ტერიტორიების სააგენტო და აჭარის ხელისუფლება მზად არიან თანხების გასაღებად ეროვნული პარკის მართვის პრაქტიკული მექანიზმის შესაქმნელად, მაგრამ საამისოდ მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას საჭიროებენ.

[23]იხ. I დანართი: კანონი მაჭახელას დაცული ტერიტორიის შექმნის შესახებ

ამ კომპონენტის მიხედვით, პროექტიხელს შეუწყობს ახლადშექმნილი დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის ტექნიკურ და პრაქტიკულშესაძლებლობათა განვითარებასდაცული ტერიტორიის სწორად სამართავად და ახლებური, უფრო წარმომადგენლობითი მიდგომების დასაწყისშივე დანერგვას. ამ თვალსაზრისით, იგეგმება დაცული ტერიტორიების მართვის არსებული პრაქტიკის ხარვეზების აღმოფხვრა, ახლებური მიდგომების მორგება (არა მარტო აჭარის, არამედ მთელი ქვეყნის დაცულ ტერიტორიებზე) და მაჭახელას ეროვნული პარკის ქმედითი მართვის უზრუნველყოფა.ე.წ. „მყარ“ კაპიტალდაბანდებებს, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, ავტომობილები, თანამშრომელთა დაქირავება-განაწილება, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ადგილობრივი ხელისუფლება და რეგიონული ორგანიზაციები (მაგ., „კავკასიის ბუნების ფონდი“) მიხედავენ, პროექტი კი აღმოფხვრის ამ კუთხით არსებულ ძირითად ხარვეზს. პროექტის ტექნიკური დახმარებით შეიქმნება მართვის ისეთი სტრუქტურა, სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა მონაწილე მხარის, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობის, როლი დაცული ტერიტორიის მართვაში. ეს კი თავისთავად გულისხმობს ადგილობრივ თემთა მომზადებას, რომ ჯეროვნად გაართვან თავი ბუნებრივი რესურსების გონივრულ მართვას.

IIსაბოლოო შედეგის მისაღებად საჭიროა შემდეგი შუალედური შედეგების მიღწევა:

<u>შუალედური შედეგი 2.1:</u>მაჭახელას ხეობაში შეიქმნა ახალი, IUCN-ის მე-2 კატეგორიის, დაცული ტერიტორია (ფართობით 8733 ჰა)

მაჭახელას ეროვნული პარკის შესახებ ოფიციალურად უკვე გამოცხადდა და ერთიანი საზღვრებიც გამოიკვეთა. თუმცა ეროვნული პარკის შესაქმნელად მეტი ჯერ-ჯერობით არაფერი გაკეთებულა. საჭიროა უმთავრესად ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული ხასიათის პირველი ნაბიჯების გადადგმა:ადმინისტრაციული ოფისის ადგილმდებარეობის განსაზღვრა, თანამშრომელთა დაქირავება და სხვ. ამ შემთხვევაში პროექტის როლი შემოიფარგლება დაცული ტერიტორიების სააგენტოს, აჭარის მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით ამ საკითხების ერთობლივად გადაჭრაში. თუმცა გათვალისწინებულია მცირე მატერიალური დახმარებაც, კერძოდ, ადმინისტრაციული ოფისის შეკეთება და მისთ.

მთავარი, რასაც პროექტი ამ შუალედური შედეგის მისაღწევად გააკეთებს, ჯეროვანი მმართველი სტრუქტურის (ანუ ეროვნული პარკის მმართველი საბჭოს) შექმნა, <u>ეკოლოგიური რესურსების გამოყენების დაწვრილებითი აღწერა</u> და <u>დაცული ტერიტორიის ზონებად დაყოფის</u> ინიციატივაა (ეს ყოველივე განიხილება და შეთანხმდება ყველა მონაწილე მხარესთან). მართვის გეგმის ჯეროვნად განხორციელების მიზნით პროექტი ასევე ითვალისწინებს მთავარი მონაწილე მხარეების (მათ შორის ადგილობრივი თემების) ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლებასადა პრაქტიკული გამოცდილების შეძენას ტრენინგებსა და უშუალოდ მუშაობის პროცესში.

ეროვნული პარკის მმართველი საბჭოს შექმნა, სადაც ყველა ძირითადი მონაწილე მხარის, მათ შორის ადგილობრივი თემების, წარმომადგენლები გაერთიანდებიან, მნიშვნელოვანია ეროვნული პარკის ჩამოყალიბების შეთანხმებული პროცესის უზრუნველსაყოფად. ამით შეიცვლება არსებული პრაქტიკა, როცა მონაწილე მხარეებს არაფერს ეკითხებიან დაცული ტერიტორიების შექმნის საწყის ეტაპზე და მიმართავენ მხოლოდ მართვის გეგმების მომზადების შემდეგ. მაგალითად, ეროვნული პარკის ზონებად დაყოფა დაუშვებელია ყველა მხარესთან შეუთანხმებლად.

ადგილობრივი თემების მონაწილეობის გასააქტიურებლად პროექტის დასაწყისშივე გათვლისწინებულია მაჭახელასა და კირნათის ხეობების მოსახლეობის წარმომადგენელი ორი სათემო ორგანიზაციის დაარსება. ეს ორი ერთეული ადგილობრივ მოსახლეობას წარმოადგენს ეროვნული პარკის საბჭოში და მათი სახელით მიიღებს მონაწილეობას ეროვნული პარკის ზონებად დაყოფის, მის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა და პროექტის განხორციელების პროცესებში.

შუალედური შედეგი 2.2:შეიქმნა მაჭახელას ეროვნული პარკის სამართავად საჭირო სამართლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვილი დაცული ტერიტორიის წარმომადგენლობითი მმართველი საბჭო

შუალედურ შედეგში 2.1 აღწერილი სამოქმედო და ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნის შემდეგ (ეროვნული პარკის საბჭო, ზონებად დაყოფის შეთანხმებული გეგმა და სათემო ორგანიზაციები) უნდა მომზადდეს გეგმა შუალედური მიზნების მისაღწევად და ფინანსური მდგრადობის გასაუმჯობესებლად. საამისოდ საჭიროა:

(i) მაჭახელას ეროვნული პარკის მართვის ექვსწლიანი გეგმის მომზადება და დამტკიცება თემების წარმომადგენელთა სრული მონაწილეობით;

(ii) დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტანდარტული წესით გათვალისწინებულღონისძიებათა სამწლიანი შუალედური გეგმის მომზადება;

(iii) თანმხლები ექვსწლიანი ბიზნეს-გეგმის მომზადება[24] და დამტკიცება

დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტანდარტული წესების თანახმად, ყველა მხარის მონაწილეობით შემუშავდება მართვის ექვსწლიანი გეგმა, სადაც განისაზღვრება ადგილობრივ თემთა როლი როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების პროცესებში. მართვის გეგმის მიხედვით დაიწერება ღონისძიებათა სამწლიანი გეგმა მართვის პრაქტიკული მეთოდებისა და შუალედური ფინანსური განრიგის მითითებით.

[24] UNDP/GEF-ის პროექტის („საქართველოს დაცული ტერიტორიების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა“) გამოცდილებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით

დაცული ტერიტორიების სააგენტოს სათავო ოფისის თანამშრომლები გაივლიან მართვისა და მოქმედების ჯეროვნად დაგეგმვის სასწავლო კურსს პროექტის პარტნიორთა საქმიანობის მიხედვით (ევროკავშირის საპარტნიორო პროექტი). პროექტით ასევე გათვალისწინებულია ტრენინგი და პრაქტიკული სწავლება დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფილიალების თანამშრომელთა და სათემო ორგანიზაციებისთვის ეროვნული პარკის წარმომადგენლობითი მართვის სისტემის შესაქმნელად და დაგეგმვის პროცესში ადგილობრივ პარტნიორთა სწორად ჩაბმის უზრუნველსაყოფად.

მასშემდეგ, რაცმკაფიოდჩამოყალიბდებადაშეთანხმდებამართვისა და ღონისძიებათა გეგმები, პროექტით გათვალისწინებულია მუშაობის დაწყება „ბიზნეს-გეგმაზე“. ეს საჭიროა სტრატეგიული მიმდინარეობებისა და პრაქტიკული საქმიანობის განსასაზღვრად ახალი ეროვნული პარკის ხანგრძლივად დაფინანსების მიზნით. როგორც მართვის, ისე ბიზნეს გეგმებში გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული ვარიანტები და პრაქტიკული ნაბიჯები, რაც ახალ დაცულ ტერიტორიაზე ტურიზმის ჯეროვნად მართვას განაპირობებს და მიმართული იქნება სარგებლის გაზრდასა და უარყოფითი ზემოქმედების შემცირებაზე. განისაზღვრა ტურიზმის განვითარების ორი სტრატეგიული მიმართულება, რომლებიც საუკეთესოდ პასუხობს ეროვნული პარკის მიზნებს: ა. ყურადღების გამახვილება ძვირადღირებული გატაცებების (ფრინველებზე დაკვირვება, სათავგადასავლო ტურიზმი) მქონე ტურისტებზე და ბ. ჯამილის ეროვნულ პარკთან (თურქეთი) თანამშრომლობა ამ მომიჯნავე ტერიტორიებზე ძვირადღირებული ტურიზმის განვითარების მიზნით.

შუალდეური შედეგი 2.3: დადგინდა მაჭახელას ეროვნული პარკის ქმედუნარიანობა

მაჭახელას ახალი ეროვნული პარკის პრაქტიკული სამუშაო პოტენციალი განვითარდება გარკვეული ღონისძიებების მეშვეობით: თეორიული ტრენინგებითა და მუშაობის პროცესში სწავლით დაწყებული, ახალი მიდგომების პრაქტიკაში გამოყენებით დამთავრებული. ამ კომპონენტით გათვალისწინებულია მიღებული გამოცდილებისა და დასკვნების აღნუსხვა და შესაბამისი მითითებების მომზადება მაჭახელას ეროვნულ პარკში და, სავარაუდოდ, დაცული ტერიტორიების მთელს სისტემაში, გამოსაყენებლად.

ეს ღონისძიებებია:

დაცული ტერიტორიის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება:მაჭახელას ახალი ეროვნული პარკი ძირითადად დაკომპლექტდება იმ ხალხით, ვინც ადრე ადგილობრივ სატყეო სამსახურებში მუშაობდა, მეტ-ნაკლებად იცნობს იქაურობას და ტყის მართვის გარკვეული გამოცდილება აქვს. თუმცა მათი ცოდნა და უნარ-ჩვევებიგადასახალისებელია ახალი ეროვნული პარკის მოთხოვნათა შესაბამისად.

პირველ რიგში უნდა მომზადდეს კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობების კონკრეტული ჩამონათვალი პერსონალის თითოეული კატეგორიისთვის, სადაც შევა პროექტით

წარმოდგენილი ახალი მიდგომებიც. აღნიშნულისა და არსებული გამოცდილების გათვალისწინებით მომზადდება „სასწავლო და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამა“, რომელიც მიმართული იქნება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, უნარ-ჩვევების განვითარებასა დაპრაქტიკული გამოცდილების მიღებაზე, რაც პირდაპირ უპასუხებს ახლადშექმნილი ვითარების მოთხოვნებსა და მაჭახელას ახალი ეროვნული პარკის თანამშრომელთა საჭიროებებს.პირობითად, მოსამზადებელი კურსის ძირითადი თემები იქნება: უკანონო ქმედებათა კონტროლის ეკონომიური მეთოდები (შემოვლა და თვალთვალი); ეკოლოგიური მართვა (ეკოსისტემების მართვის მეთოდები დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნების მისაღწევად, მაგ.: ხანძრების, დაავადებებისა და უცხო სახეობათა კონტროლი, გავრცელების არეების სახეცვლისა და საუკეთესო სახეობათა მართვა და სხვ.); ფინანსური მართვა და ანგარიშგება, განსაკუთრებული მახვილით ინვესტიციებისა და ტურიზმიდან შემოსავლების მართვასა და შემოსავლიან ღონისძიებებზე (ამით მომზადდება ნიადაგი კონტროლის მექნიზმების დაცული ტერიტორიების სააგენტოდან დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისთვის გადასაცემად); ადგილობრივ თემებთან ურთიერთობისა და მათი დაცული ტერიტორიების მართვაში მონაწილეობისთვის საჭირო მეთოდები, მიდგომები და მექნიზმები; ტურიზმის მართვისა და კონტროლის პრაქტიკული გაკვეთილები; მართვის შედეგებზე დაფუძნებული მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები და მეთოდები; ეკოლოგიური შეგნების ამაღლება, ეკოლოგიური განათლება და პროპაგანდა. სასწავლო პროგრამაში მახვილები გაკეთდება პერსონალის სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით: უბნებზე მომუშავეთათვის მნიშვნელოვანი იქნება საველე პირობებში მუშაობის ცოდნა და უნარ-ჩვევები; ტექნიკური დაგეგმვა, მართვა, ადმინისტრაციული მუშაობა, ეკოსისტემების დაცვა და შენარჩუნება კი, პირველ რიგში, უფროსი კატეგორიის პერსონალმა უნდა შეისწავლოს.

<u>დაცული ტერიტორიის ინფრასტრუქტურის შექმნა და თანამშრომელთა აღჭურვა (ოფისები, თანამშრომელთა კუთხე, სათანადო პირობების მქონე სტუმართა ცენტრი, ღამისგასათევები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, აღჭურვილობა)</u>:როგორც აღინიშნა, ეროვნული პარკის შექმნის ამ ასპექტზე პასუხს აგებენ ადგილობრივი მონაწილე მხარეები, თუმცა გარკვეულ წვლილს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და აღჭურვილობის მიწოდებაში პროექტიც შეიტანს. გარდა ამისა, პროექტი მონაწილე მხარეებს (დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია, ადგილობრივი ხელისუფლება და სათემო ორგანიზაციები) დაეხმარება დამატებითი დაფინანსებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საჭირო მატერიალური დახმარების (მაგ., სტუმართა და საგანმანათლებლო ცენტრების მშენებლობა და მოწყობა) მიღებაში. მას შემდეგ, რაც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაცული ტერიტორიისთვის გამოყოფილ ადმინისტრაციულ შენობას დაცული ტერიტორიის სააგენტო დაამტკიცებს, პროექტი დაფარავს შეკეთებისთვის საჭირო თანხის ნაწილს. სხვა მსგავსისაჭიროებანი გამოვლინდება პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე.

<u>მაჭახელას ეროვნული პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის ეკოლოგიური მონიტორინგის გრძელვადიანი სისტემის შექმნა:</u>I საბოლოო შედეგით მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მტირალასა და კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე პროექტის ფარგლებში შეიქმნება მონიტორინგისა და შეფასების სათანადო, ეკონომიური და პრაქტიკული სისტემა, რომელიც მოგვაწვდის მზა ინფორმაციას მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა და ეროვნული პარკის მიზნების მიღწევის შესახებ. სისტემა აერთიანებს 3 კომპონენტს: ა. სამეცნიერო კვლევებს, რომელთაც გაუძღვება ეროვნული პარკის მეცნიერ-მუშაკი (უბნებზე მომუშავე თანამშრომელთა დახმარებით); ბ. მართვისა და გარემოს დაცვის შესახებ მონაცემთა შეგროვების მეთოდების გამოყენებას და გ. სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მიერ კვლევის ჩატარების ხელშეწყობას (ეროვნული პარკის თანამშრომელთა მიერ მოპოვებული მონაცემების მიწოდება ან მეცნიერთა ეროვნულ პარკში დაშვება საველე სამუშაოების ჩასატარებლად). მიღებული გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვის უზრუნველსაყოფად პროექტი ამ სისტემის მხარდაჭერას თანამშრომელთა დაქირავებისა და სათემო ორგანიზაციების შექმნის შემდეგაც განაგრძობს. პირველადი მონაცემები უშუალოდ გამოიყენება მართვის გეგმის მოსამზადებლად და მის დასახვეწად პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე.

<u>საბჭოს მიერ დამტკიცებული მართვის თავდაპირველი გეგმის შესრულების ხელშეწყობა</u>: ცნობილია, რომ დაგეგმვიდან განხორციელებაზე გადასვლისას მრავალი სირთულე იჩენს თავს. ამიტომ პროექტის ამოცანაა, ამ გარდამავალმა პროცესმა შეძლებისდაგვარად უმტკივნეულოდ ჩაიაროს. საამისოდ ეროვნული პარკის ადმინისტრაცია და ყველა ადგილობრივი პარტნიორი (მათ შორის მაჭახელასა და კირნათის ხეობათა თემები), პროექტის ფარგლებში, გამუდმებით მიიღებენ მხარდაჭერასა და რჩევა-დარიგებებს მართვის გეგმის ჯეროვნად შესასრულებლად და წარმოქმნილ სირთულეთა გადასალახად.

<u>საბჭოს მიერ დამტკიცებული მართვის გეგმითდადგენილი და ეროვნული პარკის სამართავად საჭირო ფინანსური რესურსების უზრუნველყოფა:</u>სხვა დაცულ ტერიტორიებზე შეძენილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, პროექტი ხელს შეუწყობს დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციას, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ადგილობრივ ხელისუფლებასა და სათემო ორგანიზაციებს ფინანსური რესურსების წარმომქმნელი მრავალმხრივი სამოქმედო გეგმის მომზადებაში, რითაც შესაძლებელი გახდება მართვის გეგმის მომზადებისას შექმნილი დეფიციტის აღმოფხვრა.

<u>ადგილობრივი თემების შესაძლებლობათა განვითარება და მათი მნიშვნელობის ზრდა დაცული ტერიტორიის მართვაში</u>: მტირალასა და კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, პროექტი ადგილობრივ თემებს დაეხმარება შესაძლებლობათა განვითარებასა და მათი როლის ზრდაში დაცული ტერიტორიების ჯეროვნადმართვის პროცესში. საამისოდ მაჭახელასა და კირნათის ხეობებში დაარსდება

ახალი ან გაძლიერდება არსებული სათემო ორგანიზაციები და შეიქმნება თანამშრომლობის სხვა მექანიზმები ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ნაწარმისა და ტყის რესურსების[25] კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად. დახმარება გულისხმობს: ა. ადგილობრივ თემთახელშეწყობას საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად და მათთვის იმ სიკეთეებით გონივრულად სარგებლობის სწავლებას, რასაც მათი საცხოვრებელი ადგილი (დაცული ტერიტორიების ბუფერული თუ დამხმარე ზონები) იძლევა. მტირალას ეროვნული პარკისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსის მსგავსად, ეს მოხდება შესაბამისი საგანმანათლებლო და ტექნიკურ-საკონსულტაციო სამსახურების მეშვეობით; ბ. ტრადიციული საქმიანობის (დურგლობა და ხელსაქმე) აღდგენასა და მაჭახელას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის აღზევებას[26]. პროექტის მეშვეობით ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტი და ადგილობრივი სათემო ორგანიზაციები აითვისებენგანაცხადების შედგენისა და წარდგენის წესებს მცირე გრანტების (მაგ., GEF SGP[27]) მისაღებად და გაეცნობიან სხვა მსგავს მექანიზმებს სამოქალაქო სექტორის მიერ ეკოლოგიური რესურსებით გონივრულად სარგებლობის უზრუნველსაყოფად. ანალოგიურად განმტკიცდება ეროვნული პარკის ადმინისტრაციის, მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობები დაგეგმილი ინფრასტრუქტურული განვითარების გარემოზე ზემოქმედების დონის ჯეროვნად შეაფასებლად.

პროექტითავისპარტნიორებთანერთად[28] ხელს შეუწყობს <u>მაჭახელას ეროვნული პარკისა და ჯამილის ბიოსფერული ნაკრძალის ადმინისტრაციების თანამშრომლობას.</u>კერძოდ, მომზადდება ერთობლივი სამოქმედო გეგმა, რომელიც მიმართული იქნება ორივე დაცული ტერიტორიისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრაზე, საერთო ინტერესების (მათ შორის წესრიგის) დაცვაზე, ეკოლოგიური ვითარების მართვასა (დაავადებათა კონტროლი, უცხო სახეობები, რეაგირება კლიმატის ცვლილებებზე) და ტურიზმის განვითარებასა და მართვაზე. ეს სამოქმედო გეგმა უკვე შეთანხმდა სხვადასხვა ერთობლივ ქართულ-თურქულ სემინარზე, რომლებიც აშშ შინაგან საქმეთა დეპარტამენტმა დააფინანსა. თუმცა შეთანხმებული მოქმედებები ქაღალდზე დარჩა. ამიტომ პროექტი ხელს შეუწყობს ერთობლივ პრაქტიკულ საქმიანობასა და სასარგებლო გამოცდილების გაზიარებას, განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების მიზნების მიღწევისა და ტურიზმის მართვაში ადგილობრივი მოსახლეობისა და ფართო საზოგადოების ჩაბმის თვალსაზრისით. გარდა ამისა, პროექტისფარგლებში, საქართველოს საზღვრის დაცვის სამსახურს ჩაუტარდება

[25]ადგილობრივი საოჯახო კოოპერატივების შექმნა და მათთვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის - „აჭარის სოფლის მეურნეობის“ - კომპონენტებია. პროექტი უზრუნველყოფს, რომ მასში შემავალ თემებს ხელი მიუწვდებოდეთ ამგვარ მომსახურებაზე

[26]ისტორიისა და კულტურის სამხარეო მუზეუმის შექმნით დაინტერესებულია მაჭახელას ხეობის მოსახლეობა

[27]GEF SGP საქართველოშიცოტა ხნის წინ შეიქმნა; ამ პროექტის დაწყების დროისთვის ის უკვე ძალაში იქნება შესული.

[28]აშშ შინაგან საქმეთა დეპარტამენი და WWF

კონსულტაციებითურქეთის საზღვრის გადაკვეთის წესების შესახებ, რაც გაამარტივებს ერთობლივ მართვასა და ტურისტების მიმოსვლას ორი ქვეყნის დაცულ ტერიტორიებზე.

<u>მოწინავე პრაქტიკის მაგალითებისა და დასკვნების აღნუსხვა</u>: დაბოლოს, პროექტის მთლიან გამოცდილებაზე დაყრდნობითორივე არსებულ დაცულ ტერიტორიასა (მტირალას ეროვნული პარკი, კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსი) და მაჭახელას ახლადშექმნილ ეროვნულ პარკში, პროექტით გამოვლენილი მოწინავე პრაქტიკა და მიღებული დასკვნები შეიძლება ფასეული იყოს საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიებისთვისაც. ამიტომ მოწინავე პრაქტიკის მაგალითებსა და დასკვნებს მიეცემა დოკუმენტის სახე და მომზადდება მითითებები მიღებული გამოცდილების საყოველთაოდ გასავრცელებლად და დასახვეწად.

<u>დამატებითი ხარჯების დასაბუთება</u>: თუ მომავალ რამდენიმე წელიწადს აჭარაში საქმე ჩვეული სცენარით, <u>GEF-ის მიერ პროექტის დაუფინანსებლად,</u> წარიმართა, 1. დიდია ალბათობა, რომ ახალი დაცული ტერიტორია (მაჭახელას ეროვნული პარკი) გარკვეული დროით საკმარისი დაფინანსების გარეშე დარჩეს ქაღალდზე; 2. ინფრასტრუქტურის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარებით გაგრძელდება მტირალა-კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსის იზოლაცია, ასე ვთქვათ, გაჩნდება „მწვანე კუნძული განვითარების ზღვაში“, დაიწყება დაცული ტერიტორიის მიღმა დარჩენილი ტყეების დანაწევრება, რითაც შესუსტდება ეკოსისტემის გამძლეობა საფრთხეების მიმართ; 3. დაცულ ტერიტორიებზე თითქმის არ იქნება მართვის მარჯვე მექანიზმების გამოყენების საშუალება, ხოლო დაგეგმვა და წესრიგის დაცვა შესაძლებელი იქნება ოფიციალური დაცული ტერიტორიის მიღმა - ბუფერულ/გამჭოლ უბნებზე; 4. მტირალას, კინტრიშისა და მაჭახელას დაცული ტერიტორიების დაფინანსება საჭიროზე მცირე იქნება და საფეხურებრივად განხორციელდება დონორთა ინტერესებიდან გამომდინარე; არ იარსებებს სტრატეგიული საინვესტიციო გეგმა; 5. ადგილობრივი თემები დაუპირისპირდებიან დაცული ტერიტორიების ხელმძღვანელობას, რადგან ჩათვლიან, რომ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება მათი საარსებო პირობების ხარჯზე მიმდინარეობს; 6. დაცულ ტერიტორიებსა და მათ მიმდებარე უბნებზე ბიომრავალფეროვნების მართვაში ჩაბმული მთავარი მონაწილე მხარეებიშეუთანხმებლად იმოქმედებენ; 7. ბიომრავალფეროვნება გაქრება გადამეტებული ექსპლუატაციისა და უკანონო მოპოვება-ნადირობის გამო; ფართოდგავრცელებული სახეობები ამოწყდება გავრცელების არეების შემცირებისა და ტყეების დანაწევრების გამო.

ხოლო თუ პროცესები <u>GEF-ის სცენარით წარიმართა,</u>მაჭახელასა და მტირალას ეროვნული პარკები და კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსი ჯამილის ბიოსფერულ ნაკრძალთან ერთად ზომიერად ტენიანი უნიკალური კოლხური ტყეების ხანგრძლივად შენარჩუნების ქმედითი იარაღი გახდება. პერსონალს ექნება სათანადო კვალიფიკაცია, რომ გონივრულად მართოს დაცული ტერიტორიები და გაუმკლავდეს არაერთგვაროვან

საფრთხეებს, მათ შორის კლიმატის ცვლილებებს. მონიტორინგისა და შეფასების ეკონომიური სისტემების მეშვეობით შეიქმნება ერთიანი საინფორმაციო ბაზა, რომლის საფუძველზეც მიიღება მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. ადგილობრივი თემები აქტიურად ჩაებმებიან გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესებში, მნიშვნელოვანი იქნება მათი როლი ეკოსისტემების დაცვაში. აღიკვეთება უმიზნო ტურიზმი და ინფრასტრუქტურის არასწორი განვითარება (განსაკუთრებით მცირე ჰიდროელექტრო სადგურები) ან შესუსტდება მათი ზემოქმედება. საქართველოს მთავრობა გარკვეულწილად განაგრძობს დაცული ტერიტორიების დაფინანსებას, თუმცა თითოეულ მათგანს ექნება და განახორციელებს დამატებითი დაფინანსების გეგმას. შედეგად, აჭარაში ჯეროვნად იქნება დაცული კოლხური ტყეების ბიომრავალფეროვნება და საგრძნობლად შემცირდება გავრცელების არეების გაქრობისა და დანაწევრების შემთხვევები. კარგად დაცული ტყეების დიდი ფართობების ურთერთკავშირი ხელს შეუშლის გარკველ სახეობათა „იზოლაციას“ და გაზრდის სათუთ სახეობათა გამძლეობას კლიმატის ცვლილებების მიმართ.

<u>საყოველთაო სიკეთე</u>. GEF-ის დაფინანსება აჭარის ბიომრავალფეროვნებას დაიცავს. საყოველთაოდ სასარგებლო იქნება დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება (ამას ემატება ბიოგეოგრაფიული წარმომადგენლობა და ფუნქციური კავშირი) და დაცული ტერიტორიების მართვის დახვეწა. შედეგად შევინარჩუნებთ საფრთხის ქვეშ მყოფ ისეთ მცენარეთა და ცხოველთა სახეობებს, როგორიცაა სამხრეთის ცხვირნალა (*Rhinolophus euryale*), მეჰელის ცხვირნალა (*Rhinolophus mehelyi*), მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*), ბეჰშტაინის ღამურა (*Myotis bechsteinii*), მყივანი არწივი (*Aquila clanga*), კლარკის ხვლიკი (*Darevskia clarkorum*), კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*), კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*) და პეპელა აპოლონი (*Parnassius apollo*). პროექტის შედეგი აჭარის ეკოლოგიური მდგრადობაა, რომლის სიკეთე მთელს ეკოსისტემაზე გავრცელდება. ეკოსისტემის მომსახურება გულისხმობს ნიადაგის დაცვას, წყლით უზრუნველყოფას (როგორც ხარისხის, ისე მოცულობის თვალსაზრისით), წყალდიდობების კონტროლს, ნახშირბადის შემცირებასა და შენახვას, ტურისტულ თვალსაჩინოებებს და ეკოსისტემების მომატებულ გამძლეობასა და თვითაღდგენის უნარს სხვადასხვა უარყოფითი ზემოქმედების, მაგ., ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურის მატების, შემთხვევაში

მაჩვენებლებიდარისკები

პროექტის მაჩვენებლები დაწვრილებითაა მოცემული <u>სტრატეგიული შედეგების ცხრილში</u>, რომელიც ამ დოკუმენტის II თავს ერთვის.

პროექტის რისკები და მათი შემცირების გზები კი მოცემულია ქვემოთ:

გამოვლენილი რისკები და კატეგორიები	ზემოქმედება	ალბათობა	რისკის შეფასება	შემცირების გზები
<u>პოლიტიკური</u> ხელისუფლება ვერ ახერხებს ახალი დაცული ტერიტორიის დაფინანსებას, დაცული ტერიტორიები კი ვერ ფარავენ შექმნილ დეფიციტს	ძლიერი	მოსალოდნელია	დიდი	პირველ რიგში, ეკონომიურობისა და სახსრების მოზიდვის უნარიდან გამომდინარე, პროექტი შეისწავლის დაცული ტერიტორიის მართვის ყველაზე მისაღებ ინსტიტუციურ წყობას. ადგილობრივი თემების დაცული ტერიტორიის მმართველ საბჭოში გაერთიანებით დაიზოგება (მაგ., წესრიგის დასაცავად საჭირო) ხარჯები. მმართველ სტრუქტურაში ასევე მიიწვევენ თანხების მოზიდვაში გამოცდილ არასამთავრობოებსა და დაცული ტერიტორიების დაფინანსებით დაინტერესებულ პარტნიორებს კერძო სექტორიდან. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში მომზადდება ძლიერი ბიზნეს-გეგმები, რომლებიც დაცული ტერიტორიების ხანგრძლივ ფინანსურ მდგრადობას უზრუნველყოფს. დაცული ტერიტორიების გაფართოებული სისტემის შესანარჩუნებლად პროექტის მესვეურები ხელისუფლებასთან დამატებითი დაფინანსებისთვის იშუამდგომლებენ. საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსურ მდგრადობაზე ასევე მუშაობს GEF-ის მიერ დაფინანსებული პროექტები „საქართველოს დაცული ტერიტორიების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა“ და „საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის მდგრადი და პროგნოზირებადი შემოსავლების უზრუნველყოფა“. ამპროექტებიდან მიღებული გამოცდილებითა და დასკვნებით, რომელთაც უკვე იყენებენ ხელისუფლება და დონორები, ისარგებლებს პროექტიც. ამასთან საქართველოს ეკონომიკაც სწრაფად ვითარდება, შესაბამისად უმჯობესდება ხელისუფლების შესაძლებლობები დაცული ტერიტორიების ფინანსურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.
<u>პოლიტიკური</u> საჯარო სამსახურებს, კერძო სექტორს, არასამთავრობოებსა და ადგილობრივ თემებს შორის არსებული უთანხმოებანი აფერხებს პარტნიორული მიდგომებისა და	ძლიერი	ნაკლებადმოსალოდნელია	საშუალო	ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების განსასაზღვრად შემლებისდაგვარად გაფორმდება ოფიციალური ხელშეკრულებები ან ურთიერთგაგების მემორანდუმები. მონაწილე მხარეებს ჩაუტარდებათ ტრენინგი მართვისა და უთანხმოებათა მოგვარების საკითხებში. ღონისძიებები, შემლებისდაგვარად, ყველასთვის მისაღები და სასარგებლო იქნება. ლანდშაფტის მდგრადი განვითარება გამყარებული იქნება გრძელვადიანი ეკონომიკური პროგნოზით.

გამოვლენილი რისკები და კატეგორიები	ზემოქმედება	ალბათობა	რისკის შეფასება	შემცირების გზები
ერთობლივი მართვის განხორციელებას				
<u>პოლიტიკური</u> დღევანდელი უწყებები დიდად არ ემხრობიან მართვის უფლების დაცული ტერიტორიებისთვის გადაცემას („დეკონცენტრაციას“ [29]) ან ცვლილებებს დაცული ტერიტორიის მართვის ხარჯების შესამცირებლად	სუსტი	სავარაუდოდ მოსალოდნელია	საშუალო	პროექტის პარტნიორების (ევროკავშირის საპარტნიორო პროექტი) ინიციატივით დაიწყება დეკონცენტრაციის საკითხის განხილვა, ხოლო შეთანხმება აღნიშნულის შესახებ აისახება მართვისა და ღონისძიებათა გეგმებში. პროექტი დაწვრილებით შეისწავლისმოცემული დაცული ტერიტორიის მართვის ხარჯებს, დაადგენს მათი დაზოგვის გზებს და ხელს შეუწყობს საჭირო ცვლილებებს. მართვისა და ბიზნეს-გეგმების მომზადებისას და მათი განხორციელების საწყის ეტაპზე პროექტი ითვალისწინებს მართვისა და რესურსების (როგორც სახელმწიფო, ისე ადგილზე წარმოქნილი სახსრების) კონტროლის დეცენტრალიზაციას მაჭახელას ეროვნულ პარკში.
<u>ეკოლოგიური</u> ეკოსისტემების სიცოცხლისუნარიანობა სუსტდება და მათ ბიოლოგიურ და ფიზიკურ ერთიანობას კლიმატის ცვლილებით (როგორც გლობალური, ისე ადგილობრივი) გამოწვეული საფრთხეები ემუქრება	სუსტი	სავარაუდოდ მოსალოდნელია	საშუალო	აჭარაში დაცული ტერიტორიების უფრო ყოვლისმომცველი და სათანადო სისტემების შექმნითდაცული ტერიტორიების საჭიროებანიკლიმატის ცვლილებაზე მორგების სახელმწიფო სტრატეგიაში აისახება. ყოველივე ეს, დაცული ტერიტორიების გაფართოებულ მართვასთან ერთად, განამტკიცებს სახეობათა (როგორც ფლორის, ისე ფაუნის) ფუნქციურ კავშირს კლიმატის ცვლილებებთან შესაგუებლად; მხარის ბიომრავალფეროვნებისთვის არასასურველი საფრთხეებისა და ზემოქმედების თავიდან აცილება განაპირობებს ეკოსისტემების მდგრადობას კლიმატის ცვლილებების მიმართ. დაბოლოს, დაცული ტერიტორიების უბნების ხელმძღვანელებსა და ადგილობრივ თემთა წარმომადგენლებს ჩაუტარდებათ ტრენინგი, რომ უკეთ გაითავისონ კლიმატის ცვლილების გავლენა ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებზე და დაეუფლონ მართვის მოქნილ მეთოდებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების შესასუსტებლად და მათ მიმართ მდგრადობის გასაუმჯობესებლად. აქვე გათვალისწინებულია მეცადინეობები პრაქტიკულ ღონისძიებათა მართვის გეგმაში ასასახად.

[29] „დეკონცენტრაცია“საქართველოში მიღებული ტერმინია და დეცენტრალიზაციას ნიშნავს (რესურსებისა და მართვის კონტროლის ცენტრისთვის ჩამორთმევა და რეგიონების, რაიონებისა და უბნებისთვის გადაცემა)

გამოვლენილი რისკები და კატეგორიები	ზემოქმედება	ალბათობა	რისკის შეფასება	შემცირების გზები
<u>სტრატეგიული</u> არსებულ უწყებებს არ აქვთ დაცული ტერიტორიების სამართად საჭირო კვალიფიკაცია და რესურსები	სუსტი	ნაკლებად შესაძლებელია	მცირე	პროექტის ფარგლებში შეისწავლება პროექტის სხვადასხვა მონაწილის უნარი გამოვლენილი ნაკლოვანებების პროექტის დასრულებამდე აღმოსაფხვრელად. მათი შესაძლებლობები განვითარდება შესაბამისი ტრენინგითა და სწავლით მუშაობის პროცესში. ადგილობრივ თემებსა და კერძო სექტორს არ აქვს დაცული ტერიტორიების სამართად საჭირო გამოცდილება და კვალიფიკაცია, თუმცა ამის გამოსწორება შესაძლებელია არა მარტო ტრენინგით, არამედ თანამშრომლობით პროექტის მონაწილე სახელისუფლო ერთეულებთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციასა და არასამთავრობოებთან.

ეკონომიურობა

პროექტში მოცემულია რამდენიმე მახასიათებელი, რომლებიც გამიზნულია აჭარის დაცული ტერიტორიების ქმედითი და ეკონომიური მართვის უზრუნველსაყოფად. ამ მახასიათებლების გავლენის შეფასებაზე დაყრდნობით, რომელიც პროექტის დასკვნით ეტაპზე უნდა ჩატარდეს, მომზადდება „მოწინავე პრაქტიკისა და დასკვნების დოკუმენტი“ - ერთგვარი სახელმძღვანელო ამ პროექტით მიღებულიგამოცდილების საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიებისთვისმისასადაგებლად და გამოსაყენებლად.

როგორც წინა თავებში აღინიშნა, საქარველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ზედაპირული შესწავლა (ეფუძნება საქართველოს დაცული ტერიტორიების დაფინანსებისა და 1 კმ^2-ზე თანამშრომელთა რაოდენობის შედარებას სხვა ქვეყნებთან) ნათელყოფს, რომ ხარჯების დაზოგვა შესაძლებელია. მეტიც, რადგან ამჟამად საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემა ძირითადად არასახელმწიფო (უმეტესად საერთაშორისო) დაფინანსებაზეა დამოკიდებული, დგება მისი ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების საკითხი. საამისოდ საჭიროა ორი ფაქტორის, ხარჯებისა და შემოსავლების, გათვალისწინება (სახელმწიფო ბიუჯეტი და ადგილზე მიღებული შემოსავალი)

ამ საკითხების გადასაწყვეტად პროექტი გვთავაზობს ორ სტრატეგიულ მიდგომას: ა. ფინანსური დაგეგმვისა და დამატებითი სახსრების თვითწარმოქმნის (ანუ ბიზნესის დაგეგმვის) ხელშეწყობასა და ბ. <u>დაცული ტერიტორიების მართვის ხარჯების შემცირებას.</u> ამ უკანასკნელთან დაკავშირებით პროექტი და მისი პარტნიორები ყურადღებას გაამახვილებენ სამ ძირითად ფაქტორზე: 1. პროექტი დაეხმარება დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ადმინისტრაციებს, პროექტით განსაზღვრულ დაცულ ტერიტორიებზე გამოავლინონ მართვის დასახვეწი სფეროები, მაგ., წესრიგის დაცვა, სამეცნიერო კვლევები, ეკოლოგიური მართვა

(ხანძრების, დაავადებებისა და უცხო სახეობათა კონტროლი), ტურიზმი და სხვა შემოსავლიანი საქმიანობა. მას შემდეგ, რაც შემუშავდება მართვის ხარჯების შემცირების მეთოდები, პროექტი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებს დაეხმარება მათ დანერგვაში მართვის განახლებული თუ ახალი გეგმების განხორციელების საწყის ეტაპზე. ამ ახალი მეთოდების გამოყენების შედეგები შეფასდება პროექტის დასკვნით ეტაპზე და გაიცემა რეკომენდაციები მათი სხვა დაცულ ტერიტორიებზე დასანერგად.

2.პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი თემების დაცული ტერიტორიების მართვაში ჩაბმასა და აქტიურ მონაწილეობას, კერძოდ, მონაცემთა შეგროვების მონიტორინგში, თვალთვალსა და ეკოლოგიურ მართვაში ტრადიული გამოყენებისა და ბუფერულ ზონებში. ვალდებულებათა ნაწილობრივი გადაცემით და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების როლის შეცვლით (იყო შემსრულებელი, გახდა მეთვალყურე) დაიზოგება დრო და მატერიალური ხარჯები. გარდა ამისა, გაზრდილი სარგებელი და ადგილობრივ თემთა გაზრდილი პასუხისმგებლობა შეამცირებს უთანხმოებებს და, შესაბამისად, წესრიგის დასაცავად საჭირო ხარჯებს, რაც, თავის მხრივ, დაზოგავს ხელმძღვანელობის ძალისხმევასა და მატერიალურ სახსრებს. ამ შემთხვევაშიც, პროექტის დასკვნით ეტაპზე შეფასდება ადგილობრივ თემთა დაცული ტერიტორიების მართვაში მონაწილეობის გავლენა მართვის ქმედითობასა და ეკონომიურობაზე.

3.დღევანდელი უკიდურესად ცენტრალიზებული სისტემა და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების შეზღუდული შესაძლებლობები აუცილებლად გამოიწვევს არასახარბიელო შედეგებს. ამიტომ პროექტის ფარგლებში, მისი განმახორციელებელი პარტნიორების დახმარებით, გატარდება ღონისძიებები მართვის კონტროლოს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისთვის გადასაცემად, რაც მათ მეტად ანგარიშვალდებულს გახდის და მართვის მოქნილი მეთოდების გამოყენების საშუალებას მისცემს. მოსალოდნელია, რომ ამით შემცირდება უსარგებლო ქმედებები და დაცული ტერიტორიების მართვა უფრო ეკონომიური გახდება.

საქართველოსპასუხისმგებლობა: რამდენადაკმაყოფილებსქვეყანასაერთაშორისომოთხოვნებს

1992 წ. 12 ივნისს საქართველოს ხელისუფლებამ ხელი მოაწერა, 1994 წ. 2 ივნისს კი მიიღო გაეროს კონვენცია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ (კონვენცია). როგორც ამ კონვენციის მხარე, საქართველო ვალდებულია, შეასრულოს „დაცული ტერიტორიების სამუშაო პროგრამა“(მხარეთა მე-7 კონფერენცია, გადაწყვეტილება VII/28). ამ პროექტის პირველი კომპონენტი ითვალისწინებს „დაცული ტერიტორიების სამუშაო პროგრამის“ შემდეგი ღონისძიებების გატარებას: 1.1.4, 2.1.5, 2.2.1, 2.2.2, 2.2.4, 3.5.4 (ადგილობრივ თემთა მონაწილეობის ხელშეწყობა); 1.3.3 (ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განმტკიცება); 1.4.1 (დაგეგმვის ერთობლივი პროცესი) და 1.4.6. (ქმედითი მართვა). მეორე კომპონენტით კი გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებების გატარება: 1.5.5 (მთავარი საფრთხეების

შეფასება და მათთან გამკლავების სტრატეგიის მომზადება და განხორციელება) და 3.2.1 (არსებულ შესაძლებლობათა შეფასება და განვითარება).

მე-4 ეროვნული ანგარიში (მთავარი ანგარიში საქართველოს ბიომრავალფეროვნების შესახებ, 2009 წ.) მომზადდა კონვენციის მხარეთა მე-8 კონფერენციის VIII/14 გადაწყვეტილების შესაბამისად. ეს ანგარიში ადასტურებს, რომ მთავრობა აღიარებს ხმელეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის აუცილებლობას ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით (კონვენციის მე-8 მუხლი). ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ დაცული ტერიტორიების ეკოლოგიურ ერთიანობას გავრცელების არეების გადაგვარება-გადაშენებისა და ბიოლოგიური რესურსების გადამეტებული ექსპლუატაციით გამოწვეული საფრთხეები ემუქრება.

გავრცელების არეების გადაშენების მთავარი მიზეზები ხე-ტყის დამზადება, წყლის ეკოსისტემების გადაგვარება და გადატვირთული საძოვრებია. მართალია, ბოლო მონაცემებით ტყის რესურსების გადამეტებული ექსპლუატაცია შემცირდა, შეშის ჭრა მაინც რჩება უმთავრეს საფრთხედ ბიომრავალფეროვნებისთვის. ანგარიშის თანახმად, მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნება დაცული ტერიტორიების გაფართოებისა და მართვის მხრივ, თუმცა ჯერ კიდევ არ გადაჭრილა მართვის დახვეწის, გონივრული ტურიზმის, ადგილობრივი მოსახლეობის მართვის პროცესებში ჩაბმის, ფინანსური მდგრადობის, მონიტორინგისა და კვლევის გაუმჯობესების საკითხები.

პროექტისშესაბამისობაეროვნულგეგმებთანდაპრიორიტეტებთან

პროექტი მომზადდა, რომ განახორციელოს კავკასიის ეკორეგიონის შენარჩუნების გეგმა, რომლის მიხედვით კავკასია არის მხარე, სადაც ხარობს ადგილობრივი მცენარეებისა და ცხოველების ჯანსაღი პოპულაციები და დაცულია გავრცელების არეები, ლანდშაფტები და ბუნებრივი პროცესები და სადაც მოსახლეობა აქტიურადაა ჩაბმული ბუნებრივი რესურსების გონივრულ მართვასა და გამოყენებაში. აღნიშნული პროექტი განსაკუთრებით კარგად მიესადაგება ამ რეგიონული გეგმის შემდეგ სტრატეგიულ კომპონენტებს: 1. მთელი ეკორეგიონის დაცული ტერიტორიების კარგად მართული ქსელის შექმნა; 2. თანამმართველობის ხელშეწყობა ყველა მხარის მონაწილეობით (ცენტრალური ხელისუფლებიდან დაწყებული არასამთავრობო ორგანიზაციებითა და ადგილობრივი თემებით დამთავრებული); 3. საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობათა შენარჩუნება და აღდგენა; 4. ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობა. აჭარაკავკასიის ეკორეგიონის შენარჩუნების გეგმის ერთ-ერთი გეოგრაფიული პრიორიტეტის ნაწილია.

საქართველოს ბიომრავალფეროვნებისდაცვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა(2005 წ.) გადმოგვცემს სახელმწიფოს ხედვას ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების შესახებ. აქ ჩამოთვლილი ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც არსებითია პროექტისთვისაც, მოიცავს დაცული ტერიტორიის სისტემის განვითარებას, რაც განაპირობებს ბიოლოგიური რესურსების შენარჩუნებასა და გონივრულ გამოყენებას, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემისა და ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნას ბიოლოგიური რესურსების გონივრულად გამოსაყენებლად და შესანარჩუნებლად, საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებას ბიომრავალფეროვნების შესახებ და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობას. გარემოს დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შეჯამებულია მთავრობის სტრატეგიული გარემოსდაცვითი პრიორიტეტები. გარემოს დაცვის მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც 2012 წ. იანვარში დამტკიცდა, გათვლილია 2012-2016 წლებზე და ასახავს 11 პრიორიტეტულ სფეროს: 1. წყლის რესურსები, 2. ატმოსფერული ჰაერის დაცვა, 3. ნარჩენები და ქიმიკატები, 4. შავი ზღვა, 5. ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები, 6. ტყის მეურნეობა, 7. მიწის რესურსები, 8. მინერალური რესურსები და გრუნტის წყლები, 9. კატასტროფები, 10. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება და 11. კლიმატის ცვლილება. თითოეულ ამ სფეროზე დასახულიათითო გრძლევადიანი (20-წლიანი)მიზანი; მოცემულია რამდენიმე მოკლევადიანი (5-წლიანი) ამოცანაც მათ გადასაჭრელად საჭირო მეთოდებით. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თანახმად, გარემოს დაცვის მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმა ამჟამად გადაისინჯება და მოსალოდნელია, მოკლევადიანი ამოცანების გადასაჭრელად საჭირო მეთოდების რაოდენობა გაიზარდოს.

პროექტი ასევე ეხმაურება საქართველოს ტურიზმის განვითარებისა და ინვესტიციების ეროვნულ სტრატეგიას, განსაკუთრებით, მის შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს: 1. ღირსშესანიშნაობები და სანახაობები: არსებულთა აღდგენა, დაცვა, გაუმჯობესება და ახლების აღმოჩენა ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად; და 2. დანიშნულების ადგილის მართვა: ინფრასტრუქტურისა და სტუმართა მომსახურების დახვეწა, ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება ტურიზმის გონივრული განვითარებით.

მდგრადობადაცოდნისადაგამოცდილებისგაზიარება

პროექტის**ინსტიტუციურ და ფინანსურ მდგრადობას** რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. დაცული ტერიტორიის ინსტიტუციური და მართვის სტრუქტურების გაძლიერება პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ინსტიტუციური მდგრადობის საწინდარია. ეს სტრუქტურები განამტკიცებს დაცული ტერიტორიების მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა ცენტრალური თუ ადგილობრივი უწყების შეთანხმებულ საქმიანობას და ხელს შეუწყობს საერთო მიზნების, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის დადგენას დაცული ტერიტორიებისა და ტყეების ბიომრავაფეროვნების შენარჩუნების მხრივ. ადგილობრივი

საჯარო, სათემო და სამოქალაქო ერთეულებისგან შემდგარი დაცული ტერიტორიების მმართველი საბჭოების შექმნით მნიშვნელოვნად გაძლიერდება ქვეყნის უნარი, დაიცვას ტყეების ბიომრავალფეროვნება და უზრუნველყოს რესურსების გონივრული გამოყენება. საქართველოს მთავრობის დასახმარებლად ეს საბჭოები მუშაობას პროექტის დასრულების შემდეგაც განაგრძობს. მრავალმხრივი თანამმართველობისა და ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე გადაწყვეტილების მიმღებ ერთეულთა მოდელი ხელს შეუწყობს რესურსებით მოსარგებლეთა დავების შემცირებასა და სოფლის თემების მონაწილეობას დაცული ტერიტორიების მართვაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სარგებლის გადანაწილებას ქალთა მონაწილეობის მაჩვენებლის გათვალისწინებით. იმ მხარის მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, სადაც დაცული ტერიტორიები მდებარეობს, განაპირობებს ბიომრავალფეროვნების ხანგრძლივ მდგრადობას, დაცული ტერიტორიების უსაფრთხოებასა და ჯეროვან მართვას.

დაცულიტერიტორიებისმართვისფინანსურიმდგრადობისძირითადიელემენტიბიზნეს-გეგმებია. პროექტიიგეგმებასხვაღონისძიებებთანერთადდაფინანსდებაGEF-ის მიერ დაცული ტერიტორიების ფინანსური მდგრადობის განსამტკიცებლად მთელ საქართველოში. თითოეული დაცული ტერიტორიის კონკრეტული ფინანსური საჭიროებებისა და შემოსავლის წყაროების შესაფასებლად და შემოსავლების სხვა გარეშე წყაროების (დონორები თუ ხელისუფლება) მოსაპოვებლად კი გამოიყენება ბიზნეს-გეგმები (მაგ., მართვის ძირითადი და ოპტიმალური ხარჯების გასაანალიზებლად). გარდა ამისა, მომზადდება სამოქმედო გეგმები კერძო სექტორის წასახალისებლად, დაფინანსებაგაიღოს იმ პირობით, რომ ჯეროვნად მართულ დაცულ ტერიტორიებზე ხანგრძლივად იქნება უზრუნველყოფილი ეკოსისტემების სიკეთეებიშესაბამისი დარგების ეკონომიკური აღმავლობისთვის (მაგ.: ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ჰიდროელექტროენერგია, ფიზიკური განვითარება).

<u>სოციალური მდგრადობა</u>: როგორც ითქვა, პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა ადგილობრივი თემების ჩაბმასა და მონაწილეობას დაცული ტერიტორიების მართვაში და მართვის შესაბამისი სტრუქტურების ამოქმედებას აღნიშნულის უზრუნვესაყოფად. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ძველი სტრუქტურები, რომლებიც სოციალურ სტაბილურობას განაპირობებდნენ (კოლმეურნეობები და სხვ.), დაიშალა, რამაც სოფლის მოსახლეობა დააზარალა როგორც შემოსავლების, ისე სოციალური ერთიანობის მხრივ. ახალი სოციალური სტრუქტურების (სათემო ორგანიზაციები, რესურსების გამოყენებაზე პასუხისმგებელი კოოპერატივები და სხვ.) შექმნის ხელშეწყობით პროექტი ვითარების შემობრუნებას შეეცდება. ეს განაპირობებს დაცულ ტერიტორიებსა და მათ ირგვლივ მცხოვრები მთის თემების ხანგრძლივ სოციალურ ერთობას, ასწავლის და წაახალისებს მათ, დადებითი როლი ითამაშონ ეკოსისტემების დაცვაში, რომ თანაბრად ისარგებლონ მათი სიკეთით.

ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება: პროექტის ხელმძღვანელი თავს მოუყრისპროექტის განხორციელების შედეგად მიღებულ გამოცდილებასა და ინფორმაციას. დაცულ ტერიტორიებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის გასაუმჯობესებლად ამ ცოდნას გაუზიარებენ სხვადასხვა მონაწილე მხარეს. პროექტით გამოვლენილ მოწინავე პრაქტიკასა და გამოცდილებას მიეცემა დოკუმენტის სახე და ხელმისაწვდომი გახდება მთელი საქართველოს დაცული ტერიტორიების ხელმძღვანელებისთვის. შესაბამისად, პროექტი ყოველმხრივ შეუწყობს ხელს მათ გავრცელებას ბეჭდური, ციფრული თუ ფილმების სახით, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩატარდება სემინარები და მოეწყობა სასწავლო ტურები. საამისოდ გათვალისწინებულია შესაბამისი თანხები.

III ნაწილი: მართვის სქემა

პროექტისგანხორციელებისსქემა

პროექტის მართვის სქემა მომზადდება შედეგებზე დაფუძნებული მართვის ახალი წესების შესაბამისად (UNDP) და მასში გაერთიანდება ოთხი კომპონენტი: 1. პროექტის აღმასრულებელი ჯგუფი ანუ პროექტის საბჭო, 2. პროექტის ხელმძღვანელობა, 3. პროექტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და 4. პროექტის ადმინისტრაციული დახმარება. თითოეული აღწერილია ქვემოთ:

<u>პროექტის აღმასრულებელი ჯგუფი/საბჭო</u>არის გადაწყვეტილების მიმღები ერთეული, რომელიც პროექტს მართავს პროგრესის შეფასებებისა და პროექტის ხელმძღვანელის რეკომენდაციების გათვალისწინებით. ის სწავლობს და ამტკიცებს პროექტის წლიურ შეფასებებსა და სამუშაო გეგმებს, ტექნიკურ დოკუმენტებს, ბიუჯეტსა და ფინანსურ ანგარიშებს. საბჭო პროექტის ხელმძღვანელს პროექტის სტრატეგიისა და განხორციელების ძირითად მიმართულებებს უსახავს. ის იკრიბება კვარტალში ერთხელ და ერთხმად იღებს გადაწყვეტილებებს. საბჭოს წესები შეთანხმდება პროექტის საორგანიზაციო შეხვედრაზე. საბჭო იღებს მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს პროექტის ხელმძღვანელის დასახმარებლად. ის უზრუნველყოფს პროექტის მონიტორინგისა და შეფასების პროცესების ჯეროვნად ჩატარებას, მიღებულ შედეგებს კი იყენებს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, ანგარიშგებისა და სწავლებისთვის. საბჭო უზრუნველყოფს საჭირო რესურსების მიზნობრივ გამოყენებას, აგვარებს პროექტის შიგნით არსებულ უთანხმოებებს და ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად მოლაპარაკებებს აწარმოებს გარეშე ერთეულებთან. გარდა ამისა, ამტკიცებს პროექტის ხელმძღვანელს, მის უფლება-მოვალეობებსა და პროექტის განხორციელების პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაცემას. დამტკიცებულ წლიურ გეგმაზე დაყრდნობით პროექტის საბჭოს ასევე შეუძლია კვარტალური გეგმებისა (თუ ასეთი არსებობს) და თავდაპირველი გეგმიდან გადახვევის აუცილებლობის შესწავლა და დამტკიცება. პროექტის შედეგების შესახებ UNDP-ის დასკვნითი ანგარიშისთვის საბჭოს გადაწყვეტილებები უნდა მიესადაგებოდეს სტანდარტებს, რომლებიც უზრუნველყოფს განვითარების შედეგების მართვას, ღირებულებისა და ხარისხის ოპტიმალურ შესაბამისობას, სამართლიანობას, გამჭვირვალობასა და ჯანსაღ საერთაშორისო კონკურენციას. თუ საბჭოს შიგნით შეთანხმება ვერ მიიღწევა, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს UNDP-ის პროექტის ხელმძღვანელი. პროექტის წარმატება დამოკიდებულია საბჭოს მიერ პროექტის სწორ მართვაზე, კოორდინაციასა და საჯაროდ მხარდაჭერაზე.

პროექტის აღმასრულებელი საბჭოს გარდა, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ერთად შეიქმნება <u>ტექნიკური საკოორდინაციო ჯგუფი</u>, რომელიც განაპირობებს პროექტის მხარდამჭერ (ევროკავშირის საპარტნიორო პროექტი, KFW-ს საქართველოს დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა, ბუნების მსოფლიო ფონდი, კავკასიის ბუნების ფონდი, აშშ შინაგან საქმეთა დეპარტამენტი) და სხვა პარტნიორთა (თუ გამოვიდა, ჯამილის

ბიოსფერული ნაკრძალის ადმინისტრაცია) ჯეროვან თანამშრომლობასა და შეთანხმებულ მოქმედებას. ეს ჯგუფიც შეიკრიბება კვარტლურად ინფორმაციის გაზიარების, მოქმედებათა შეთანხმებისა და წარმოქმნილი სირთულეების შესწავლისა და ერთობლივად გადალახვის მიზნით.

<u>პროექტის ადგილობრივი დირექტორი</u>: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, დაცული ტერიტორიების სააგენტოს სახით, პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებაა, რომელიც ვალდებულია, დროულად მიაღწიოს პროექტის მიზნებსა და ხელშესახებ შედეგებს. ის დაეხმარება პროექტის ხელმძღვანელობასდა თავის წვლილს შეიტანს პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო პროექტის ადგილობრივ დირექტორადასახელებს თავისერთ-ერთ მაღალჩინოსანს.

<u>პროექტის ხელმძღვანელობა</u> იქნება ბათუმში. მთავარი ხელმძღვანელი პირები არიან: პროექტის ადგილობრივი ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის ყოველდღიურ საქმიანობასა და ფინანსურ და ადმინისტრაციულ ანგარიშგებაზე; არასრულგანაკვეთზე მომუშავე მთავარი ტექნიკური მრჩეველი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის საერთო ტექნიკურ მიმართულებებზე; სრულ განაკვეთზე მომუშავე ადგილობრივი ტექნიკური მრჩეველი, რომელიც პასუხს აგებს პროექტის ყოველდღიურ ტექნიკურ საქმიანობაზე, და არასრულგანაკვეთზე მომუშავე ფინანსურ-ადმინისტრაციული თანაშემწე. როგორც პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, პროექტის ხელმძღვანელი დაიცავს შედეგებზე დაფუძნებული მართვის მოთხოვნებს და იხელმძღვანელებს წლიური სამუშაო გეგმებით. ყოველი მომდევნო წლის დაწყებამდე ის, მთავარ და ადგილობრივ ტექნიკურ მრჩევლებთან შეთანხმებით, მოამზადებს წლიურ სამუშაო გეგმას, რომელსაც შემდეგ დასამტკიცებლად წარუდგენს პროექტის აღმასრულებელ ჯგუფს. ამ და UNDP-ის სოფლის მეურნეობის პროექტებს (ეს უკანასკნელიც ბათუმში მდებარეობს)ეყოლებათ საერთო ადმინისტრაციული პერსონალი, ექნებათ საზიარო ოფისი და გაინაწილებენ საოფისე ტექნიკის, კომუნალურ და სატრანსპორტო ხარჯებს. პროექტის ადგილობრივი ხელმძღვანელი უფლებამოსილია, განმახორციელებელი პარტნიორის სახელით და პროექტის აღმასრულებელი ჯგუფის მიერ დადგენილ ფარგლებში წარმართოს პროექტის ყოველდღიური საქმიანობა. მისი უპირველესი მოვალეობაა, სწორი საქმიანობით დროულად და ბიუჯეტის გადაუჭარბებლად მიიღოს პროექტის დაგეგმილი შედეგები და მაჩვენებლები. საამისოდ კი საჭიროა მაჩვენებლების სამუშაო გეგმაზე მიბმა. პროექტის ხელმძღვანელობას ევალება პროექტის საბჭოს კრებების მოწყობა, მასალების მომზადება და მონაწილეთათავის მიწოდება კრების დაწყებამდე და კრებაზე განსახილველი და გადასაჭრელი საკითხების ჩამოყალიბება.

<u>პროექტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები</u>. პროექტის შესრულება პროექტის საბჭოს თითოეული წევრის პასუხისმგებლობაა, თუმცა UNDP-ის გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის ჯგუფის ხელმძღვანელსა და თანაშემწესევალებათ, დამოუკიდებლად ადევნონ თვალყური პროექტის მიმდინარეობას. გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის ჯგუფის ხელმძღვანელმა უნდა

შეისწავლოს რისკების, კრიტიკული საკითხებისა და მიღებული გამოცდილების ცხრილები და უზრუნველყოს მათი შესაბამისობა მონიტორინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმასთან. თავისი მონაწილეობით პროგრესის წლიური და განხორციელების ანგარიშების მომზადებაში, პროექტის შესრულებაში თავის წვლილს შეიტანსUNDP-GEF-ის რეგიონული ტექნიკური მრჩეველიც, რომელიც ბრატისლავაში მუშაობს.

<u>პროექტის ადმინისტრაციული მხარდაჭერა</u>. პროექტის ფინანსურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას UNDP უზრუნველყოფს. ეს გულისხმობს შესყიდვების განხორციელებას, ხელშეკრულებების გაფორმებას, მივლინებების ორგანიზებასა და თანხების გადახდას.

პროექტში GEF-ის ფინანსური მონაწილეობის ხაზგასასმელად, მისი ლოგო უნდა დაერთოს GEF-ის პროექტით გათვალისწინებულ პუბლიკაციებსა და GEF-ის სახსრებით შეძენილ აღჭურვილობასა და ავტომობილებს. სათანადო მინიშნება უნდა გაკეთდეს GEF-ის მიერ დაფინანსებული პროექტების პუბლიკაციებიდან ციტატების მოტანის შემთხვევაშიც (იხ. ნაწილი საინფორმაციო მასალებისა და თვალსაჩინოების შესახებ).



ფინანსური და სხვა წესები

პროექტის ფინანსურ წესებს არეგულირებს UNDP-ის პროექტის განხორციელების ადგილობრივი ფორმა (NIM).

ფინანსური შემოწმება

პროექტიფინანსურად შემოწმდებაUNDP-ის ფინანსური წესებისა და აუდიტის შესაბამისი პროცედურების თანახმად.

IVნაწილი: მონიტორინგისსქემადაშეფასება

მონიტორინგი და ანგარიშგება

პროექტის მონიტორინგი ჩატარდება მონიტორინგისა და შეფასების სქემის თანახმად. ამ უკანასკნელის ბიუჯეტი მოცემულია ამ თავის ბოლოს.

პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სქემა ეყრდნობა UNDP-ის მონიტორინგისა და შეფასების გეგმას ბიომრავალფეროვნების შესახებ. პროექტის მონიტორინგსა და შეფასებას, UNDP-ისა და GEF-ის დადგენილი წესების თანახმად, განახორციელებენ პროექტის პერსონალი და UNDP-ის საქართველოს ოფისი UNDP/GEF-ის რეგიონული საკოორდინაციო განყოფილების დახმარებით, რომელიც ბრატისლავაში მდებარეობს. სტრატეგიული შედეგების გეგმა, რომელიც მოცემულია IIთავისI ნაწილში, ასახავს პროექტის შესრულებისა და ზემოქმედების მაჩვენებლებს მათ დამასაბუთებულ საშუალებებთან ერთად. METT ინსტრუმენტი და შესაძლებელობათა შეფასების ფურცელი (იხ. IV თავის V ნაწილი) გამოიყენება დაცულიტერიტორიის მართვის გაუმჯობესების მონიტორინგისთვის. მონიტორინგისა და შეფასების გეგმა აერთიანებს: თავდაპირველ ანგარიშს, პროექტის მიმდინარეობის შეფასებას, კვარტალურ და წლიურ მიმოხილვით ანგარიშებს, შიდა უდანახარჯო შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. ქვემოთ აღწერილია მონიტორინგისა და შეფასების გეგმის კომპონენტები და ამ გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა. მაჩვენებლების, დასაბუთების საშუალებებისა და მონიტორინგისა და შეფასების პროცესში პროექტის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების დაზუსტების შემდეგ პროექტის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა შეჯამდება პროექტის თავდაპირველ ანგარიშში.

საწყისი ეტაპი

<u>პროექტის საორგანიზაციო სემინარში</u>, რომელიც პროექტის დაწყებამდე სამით თვის ვადაში უნდა ჩატარდეს, მონაწილეობას მიიღებენ პროექტის მთელი პერსონალი, შესაბამისი სამთავრობო და თანადამფინანსებელი მხარეები, UNDP-ის საქართველოს ოფისისა და UNDP-GEF რეგიონული საკოორდინაციო განყოფილების წარმომადგენლები. სემინარის ძირითადი მიზანია, პროექტის თანამშრომლებს პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაგება-გათავისებასა და პროექტის პირველი წლიური ანგარიშის მომზადებაში დაეხმაროს. ეს გულისხმობს ლოგიკური სქემის (მაჩვენებლების, დასაბუთების საშუალებების, ვარაუდების) შესწავლას,მასში დამატებითი დეტალების საჭიროებისამებრ შეტანას და პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგებისშესატყვისი წლიური სამუშაო გეგმის დასრულებას, სადაც მუშაობის ზუსტი და ხელმოსაჭიდი მაჩვენებლები აისახება.

გარდა ამისა, სემინარზე: 1. ერთმანეთს პირადად გაიცნობენ პროექტის თანამშრომლები დაUNDP-GEF-ის ჯგუფი (UNDP საქართველოს ოფისი და რეგიონული საკოორდინაციო განყოფილების პასუხისმგებელი თანამშრომელი), რაც მათ პროექტის

განხორციელებაშიდაეხმარება; 2. განისაზღვრება UNDP-ის საქართველოს ოფისისა და რეგიონული საკოორდინაციო განყოფილებისფუნქციები, დახმარების სახეები და დამატებითი ვალდებულებები პროექტის პერსონალის მიმართ; 3. დადგინდება UNDP-GEF-ის ანგარიშგებისა და მონიტორინგისა და შეფასების მოთხოვნები, სადაც ხაზგასმული იქნება პროექტის მიმდინარეობის წლიური მიმოხილვისა და შესაბამისი დოკუმენტაციის, წლიური მიმოხილვითი ანგარიშისა და შუალედური და დასკვნითი შეფასებების აუცილებლობა. შესაბამისად, სემინარი პროექტის თანამშრომლებს საშუალებას მისცემს, გაეცნონ UNDP-ის წესებს პროექტის ბიუჯეტის დაგეგმვის, შემოწმებისა და სავალდებულოგადასინჯვის შესახებ. სემინარი ყველა მხარეს შესაძლებლობას აძლევს, გაითავისონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი გადაწყვეტილების მიღების, ანგარიშგებისა და ინფორმაციის მიწოდებისას.

პროექტის განმახორციელებელ პარტნიორებთან და პროექტის მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებთან შეთანხმებით, პროექტის ხელმძღვანელობა შეადგენს და სემინარის დღის წესრიგში ჩართავს პროექტის შესაფასებლად გამიზნული კრებების დეტალურ განრიგს, სადაც მოცემული იქნება: 1. პროექტის აღმასრულებელი საბჭოს კრებების სავარაუდო ვადები და 2. პროექტის მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. წლიური სამუშაო გეგმისა და შეთანხმებული მაჩვენებლების გათვალისწინებით პროექტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროექტის წინსვლის ყოველდღიურ მონიტორინგზე. პროექტის განხოციელებისას წარმოქმნილი ნებისმიერი შეფერხებისა თუ სირთულის დროულად აღმოსაფხვრელად ისUNDP-ის საქართველოს ოფისს ამცნობს მათ შესახებ. პროექტის მთელ პერსონალთან შეთანხმებით, UNDP-ის საქართველოს ოფისის მხარდაჭერითა და UNDP-GEF-ის რეგიონული საკოორდინაციო განყოფილების დახმარებით პროექტის ხელმძღვანელი სემინარზე ასევე დააზუსტებს პროექტის წინსვლის, მუშაობისა და ზემოქმედების მაჩვენებლებს. აქვე დადგინდება, რისკენ უნდა იყოს მიმართული პროექტის პროგრესის პირველი წლის მაჩვენებლები და მათი დასაბუთების საშუალებები. ამით შეფასდება, რამდენად გეგმურად და სწორი მიმართულებით ხორციელდება პროექტი, რაც წლიური სამუშაო გეგმის ნაწილი გახდება. მომდევნო წლების მაჩვენებლები და ამოცანები ყოველწლიურად დადგინდება პროექტის პერსონალის მიერ ჩატარებული შიდა შეფასებისა და დაგეგმვის საფუძველზე.

მსოფლიო ბიომრავალფეროვნების სიკეთეებზე ზემოქმედების მაჩვენებლები გაიზომება საორგანიზაციო სემინარზე დადგენილი განრიგის თანახმად, METT ქულებზე, ტყის საფარისა და ნადირთა მიმოსვლის შეფასებასა და სხვა საშუალებებზე დაყრდნობით. პროექტის წინსვლის პერიოდულ მონიტორინგს ჩაატარებს UNDP-ის საქართველოს ოფისი განმახორციელებელ პარტნიორთან კვარტალურ ან უფრო ხშირ (საჭიროების მიხედვით) შეხვედრებზე. ეს საშუალებას მისცემს მხარეებს, დროულად დაადგინონ და გაუმკლავდნენ პრობლემებს პროექტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით. წლიური მონიტორინგი ჩატარდება პროექტის აღმასრულებლი საბჭოს კრებების მეშვეობით. ეს არის უმაღლესი სტრატეგიული და გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომლის მხარეები უშუალოდ არიან

ჩართულნი პროექტის განხორციელებაში. აღმასრულებელი საბჭოს კრებები გაიმართება წელიწადში ოთხჯერ. პირველი კრება გაიმართება პროექტის სრული ამოქმედებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

აღმასრულებელი საბჭოს დასკვნითი კრება გაიმართება პროექტის მიმდინარეობის ბოლო თვეს. აღმასრულებელ საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ პროექტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია დასკვნითი ანგარიშის მომზადებასა და მისი UNDP-ის საქართველოს ოფისისა და UNDP-GEF-ის რეგიონული საკოორდინაციო განყოფილებისთვის წარდგენაზე. დასკვნითი ანგარიშის სამუშაო ვერსია უნდა მომზადდეს აღმასრულებელი საბჭოს დასკვნით კრებამდე ორი თვით ადრე, რომ შესაძლებელი იყოს მისი წინასწარ და შემდეგ უშუალოდ კრებაზე განხილვა. დასკვნით კრებაზე განიხილება პროექტის მიმდინარეობის სრული პროცესი და განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, მიაღწია თუ არა პროექტმა დასახულ მიზნებს და წაადგა თუ არა უფრო დიდი ეკოლოგიური ამოცანების შესრულებას. აქვე გადაწყდება გარკვეული დამატებითი ღონისძიებების საჭიროება, განსაკუთრებით, პროექტის შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად. კრებაზე მიღებული გამოცდილების გაზიარება სხვა მიმდინარე პროექტებშიც შეიძლება.

პროექტის თავდაპირველი ანგარიშით ან წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებული განრიგის შესაბამისად, პროექტის წინსვლის ადგილზე შესაფასებლად UNDP-ის საქართველოს ოფისი და UNDP-GEF-ის რეგიონული საკოორდინაციო განყოფილება ყოველწლიურად ეწვევიან პროექტის უბნებს და მოამზადებენ გასვლითი ღონისძიების ანგარიშს, რომელიც გასვლითი ღონისძიებიდან არანაკლებ ერთ თვეში უნდა მიეწოდოს პროექტის პერსონალს, პროექტის აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრსა და UNDP-GEF-ის შესაბამის წარმომადგენლებს.

პროექტის ანგარიშები

პროექტის მმართველი ერთეული UNDP-GEF-ის გაფართოებულ შემადგენლობასთან ერთად პასუხისმგებელია მონიტორინგის პროცესის შემადგენელი ქვემოთ მოცემული ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე. პირველი ექვსი ანგარიში სავალდებულოა და კონკრეტულად მონიტორინგთანაა დაკავშირებული, მომდევნო ორი კი უფრო ვრცელი ფუნქციების მატარებელია და მათი მიმართულება პროექტის მიმდინარეობისას განისაზღვრება.

<u>პროექტის თავდაპირველი ანგარიში</u> მომზადდება პროექტის საორგანიზაციო სემინარის დასრულებისთანავე. აქ მოცემული უნდა იყოს პირველი წლის დაწვრილებითი სამუშაო გეგმა, რომელიც უნდა დაიყოს კვარტლებად და დეტალურად ასახოს პირველ წელს პროექტის განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებები და წინსვლის მაჩვენებლები. ამ სამუშაო გეგმაში მოცემული იქნება პროექტის უბნების მონახულებისა და UNDP-ის საქართველოს ოფისის, რეგიონული საკოორდინაციო განყოფილების თუ მრჩევლების მივლინებების კონკრეტული

თარიღები, ასევე პროექტის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების კრებების განრიგი. ანგარიშში ასევეშევა პროექტის პირველი წლის დეტალური ბიუჯეტი, რომელიც წლიური სამუშაო გეგმის საფუძველზე მომზადდება და ასახავს მონიტორინგისა და შეფასების მოთხოვნებს პროექტის მუშაობის ჯეროვნად შესაფასებლად მოცემული 12 თვის მანძილზე.

თავდაპირველი ანგარიშის თხრობით ნაწილში დაწვრილებით უნდა აღიწეროს პროექტის პარტნიორების ინსტიტუციური ფუნქციები, პასუხისმგებლობები, საკოორდინაციო საქმიანობა და უკუგების მექანიზმები. გარდა ამისა, ანგარიშში იქნება თავი პროექტის დაწყებამდე განხორციელებული საქმიანობისა და იმ გარემო პირობების ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს პროექტის შესრულებაზე. დასრულებულ ანგარიშს შეისწავლიან UNDP-ის საქართველოს ოფისი და UNDP-GEF-ის რეგიონული საკოორდინაციო განყოფილება. შემდეგ კი ის გადაეცემა პროექტის პარტნიორებს, რომლებმაც ერთი კალენდარული თვის მანძილზე უნდა წარმოადგინონ კითხვები და შენიშვნები. თავდაპირველი ანგარიში მომზადდება და დასრულდება პროექტის დოკუმენტის ხელმოწერიდან (ეს თარიღი მიიჩნევა პროექტის დაწყების თარიღად) 4 თვეში.

<u>პროექტის წლიური ანგარიში/პროექტის შესრულების შეფასება</u>უნდა მომზადდეს წელიწადში ერთხელ. ეს მართვისა და მონიტორინგის მთავარი საშუალებაა UNDP-ის, აღმასრულებელი სააგენტოსა და პროექტის ხელმძღვანელისთვის. ამ დოკუმენტების დასკვნების გაზიარება კი სასარგებლო იქნება სხვა მიმდინარე პროექტებისთვისაც.

<u>პროგრესის ამსახველი კვარტალური ანგარიშები</u>: ეს არის მოკლე ანგარიშები, სადაც მოცემულია პროექტის წინსვლის ამსახველი სიახლეები. პროექტის თანამშრომლები, სტრატეგიის სპეციალისტის ხელმძღვანელობით, ყოველ კვარტალში წარუდგენენ მათ UNDP-ის საქართველოს ოფისსა და UNDP-GEF-ის რეგიონულ საკოორდინაციო განყოფილებას UNDP-ის ფორმატის შესაბამისად. UNDP-ის საქართველოს ოფისი ამ კვარტალურ ანგარიშებს შეიტანსERBM სისტემაში, UNDP-GEF-ის რეგიონული საკოორდინაციო განყოფილება კი ამორჩევით შეამოწმებს მათ პროექტის განხორციელების ანგარიშის მომზადების დროისთვის.

<u>მონიტორინგის ანგარიშები„ატლასში“[30]</u>: (პროექტის ბიუჯეტის) შესრულების ერთიანი ანგარიშები, რომლებიც თავს უყრის პროექტის ხარჯებს, სავალდებულოა და უნდა შედგეს კვარტალურად. პროექტის ხელმძღვანელი მას განსახილველად უგზავნის პროექტის სამეთლვაყურეო საბჭოს, შემდეგ კი ამოწმებს აღმასრულებელი პარტნიორი. უნდა მომზადდეს შემდეგი ცხრილები: 1. კრიტიკულ საკითხთა ცხრილი გამოიყენება პროექტის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხის თავმოსაყრელად და სამეთვალყურეოდ პროექტის მიმდინარეობის მანძილზე. მათ თავმოყრაზე, მეთვალყურეობასა და განაწილებაზე, ასევე მათზე სათანადოდ რეაგირებაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი; 2. რისკების

[30]UNDP-ის ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების სისტემა

ცხრილი მუშავდება პროექტის მიმდინარეობის მანძილზე პროექტის შესაძლო რისკების გამოსააშკარავებლად და მათთან გასამკლაველად საჭირო ნაბიჯების განსასაზღვრად. პროექტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია „ატლასში“ რისკების ცხრილის წარმოებასა და განახლებაზე; 3. მიღებული გამოცდილების ცხრილი მუშავდება პროექტის მანძილზე და ასახავს პროექტის დადებითი თუ უარყოფითი შედეგებით მიღებულ გამოცდილებას. ამ შემთხვევაშიც სქემის წარმოებასა და განახლებაზე პასუხიმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

<u>შიდა უდანახარჯო შუალედური შეფასება</u> ხორციელდება პროექტის მიმდინარეობის შუა ეტაპზე. მისი მეშვეობით დგინდება, რამდენად წინ წაიწია პროექტმა შუალედური შედეგების მისაღწევად და, საჭიროების შემთხვევაში, იცვლება აღებული გეზი. ეს შეფასება განსაზღვრავს, რამდენად მართებულად და ვადების დაცვით მიმდინარეობს პროექტი; გამოკვეთს საკითხებს, რომლებზეც მისაღებია გადაწყვეტილებები და გადასადგმელია კონკრეტული ნაბიჯები; წარმოაჩენს პროექტის შედგენის, განხორციელებისა და მართვის შედეგად მიღებულ გამოცდილებას. ამ შეფასების შედეგები, რეკომენდაციების სახით, გამოიყენება პროექტის განხორციელების მეორე ეტაპის უკეთ წარმართვის მიზნით.

პროექტის ხელმძღვანელი თავის თანამშრომლებთან ერთად პროექტის დასრულებამდე სამი თვის განმავლობაში მოამზადებს <u>პროექტის დასკვნით ანგარიშს</u>. ეს ყოვლისმომცველი ანგარიში შეაჯამებს ყველა ღონისძიებას, წარმატებას, შედეგს, მიღებულ გამოცდილებას, მიღწეულ თუ მიუღწეველ მიზანს, დანერგილ სტრუქტურასა თუ სისტემას და სხვ. ეს იქნება პროექტის მიმდინარეობის მანძილზე ჩატარებული საქმიანობის ამსახველი დასკვნითი დოკუმენტი. აქვე მოცემული იქნება რეკომენდაციები შემდგომი ღონისძიებების თაობაზე, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს პროექტის საბოლოო შედეგების ხანგრძლივი მდგრადობის უზრუნველსაყოფად და მათ სხვა წამოწყებებში გასათვალისწინებლად. დასკვნითი ანგარიში მომზადდება დამოუკიდებელი საბოლოო შეფასების ჩატარებამდე, საბოლოო სახეს კი მისი დასრულების შემდეგ მიიღებს. ამით შემფასებლებს ვითარების გაგება გაუადვილდებათ, ანგარიშის საბოლოო ვარიანტში კიდასკვნითი შეფასების შედეგები და შემფასებელთა შენიშვნებიაისახება.

<u>პერიოდული თემატური ანგარიშები</u>: UNDP-ის, UNDP-GEF-ის თუ განმახორციელებელი პარტნიორის მოთხოვნისამებრ, პროექტის პერსონალი მოამზადებს კონკრეტულ თემატურ ანგარიშებს, სადაც აღიწერება საქმიანობის კონკრეტული საკითხი თუ სფერო. UNDP წერილობით მიმართავს პროექტს თემატური ანგარიშის მომზადების თაობაზე და იქვე გარკვევით ჩამოაყალიბებს საკითხებსა თუ საქმიანობას, რაზედაც უნდა მომზადდეს ანგარიში. ამ ანგარიშების გამოყენება შეიძლება მიღებულ გამოცდილებაზე მსჯელობისას, ძირითადი სფეროების კონტროლისას თუ დაბრკოლებებისა და სირთულეების შეფასებისას და გამკლავებისას.

ტექნიკურ ანგარიშებშიდაწვრილებითაა ასახული პროექტის ფარგლებში შესასწავლი კონკრეტული სფეროები თუ სამეცნიერო სპეციალიზაციები. პროექტის თავდაპირველი ანგარიშისთვის პროექტის თანამშრომლები მოამზადებენ ანგარიშების სიას, სადაც დაწვრილებით იქნება მოცემული პროექტის მიმდინარეობის მანძილზე მოსამზადებელი ანგარიშები საქმიანობის ძირითად სფეროებზე და მათი დასრულების სავარაუდო ვადები. ანგარიშების ეს სია საჭიროებისამებრ გადაიხედება, განახლდება და შევა პროექტის მომდევნო წლიურ ანგარიშში. ტექნიკური ანგარიშები შეიძლება მოამზადონ უცხოელმა მრჩევლებმაც. ეს უნდა იყოს პროექტით გათვალისწინებული კვლევის ზუსტად განსაზღვრული სფეროს თანმიმდევრული და კონკრეტული ანალიზი. ამ ანგარიშებში აისახება პროექტის მიერ ამა თუ იმ სფეროში შეტანილი წვლილი და გამოიყენება შესაბამისი ინფორმაციისა და საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად ქვეყანაში თუ საზღვარგარეთ.

პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული ნაშრომები პროექტის შედეგებისა და მიღწევების ზუსტი ფორმულირებისა და გავრცელების ძირითადი საშუალებებია. ეს შეიძლება იყოს სამეცნიერო თუ საინფორმაციო ხასიათის საგაზეთო სტატიები, პუბლიკაციები და სხვ. პროექტის საქმიანობისა და მიღწევების შესახებ. ეს ნაშრომები შეიძლება ეფუძნებოდეს ტექნიკურ ანგარიშებს მათი მიზანშეწონილობიდან თუ სამეცნიერო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ან შეიძლება იყოს რამდენიმე ტექნიკური ანგარიშისა და სხვა კვლევის რეზიუმე თუ კომპილაცია. პროექტის ხელმძღვანელი თავის თანამშრომლებთან ერთად ადგენს, პასუხობს თუ არა რომელიმე ტექნიკური ანგარიში ოფიციალური პუბლიკაციის მოთხოვნებს და, UNDP-თან, მთავრობასთან თუ სხვა შესაბამის პარტნიორებთან შეთანხმებით, გამოსაქვეყნებლად ამზადებს. საამისოდ, სათანადო წესით და ბიუჯეტის გათვალისწინებით, უნდა განისაზღვროს და გამოიყოს პროექტის თანხები.

დამოუკიდებელი შეფასება, აუდიტი და ფინანსური ანგარიშები

პროექტის მანძილზე ჩატარდება ერთი გარეშე დამოუკიდებელი შეფასება. პროექტის აღმასრულებელი საბჭოს დასკვნით კრებამდე სამი თვით ადრე,პროექტს ჩაუტარდებადასკვნითი შეფასება, რომელიცმიმოიხილავს პროექტის შედეგად მიღებულ სიკეთეს მისი ამოცანებისა და შუალედური და საბოლოო მიზნების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ყურადღება მიექცევა მიღწეული შედეგების მნიშვნელობასა და მდგრადობას, მათ შორის, რამდენად განმტკიცდა პოტენციალი და შესრულდა გლობალური ეკოლოგიური ამოცანები. საბოლოო ტექნიკური შეფასება წარმოადგენს რეკომენდაციებს შემდგომი ღონისძიებების შესახებაც. ტექნიკურ დავალებას ამ შეფასებისთვისUNDP-GEF-ის მითითებითადგენს UNDP-ის საქართველოს ოფისი.

ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება

ინფორმაციის გაზიარების არსებული საშუალებებით პროექტის შედეგები გავრცელდება როგორც პროექტის მოქმედების არეში, ისე მის გარეთ.პროექტის მმართველი საბჭო ჩაატარებს შიდა შეფასებას, რაც მათ მიღებული გამოცდილების თავმოყრაში და შემდეგ პრაქტიკული და სასარგებლო ინფორმაციის გამოვლენაში დაეხმარება. რადგან საამისოდ დამატებითი ძალისხმევა, დრო და სახსრებია საჭირო, შესაბამისი ხარჯი გათვალისწინებული იქნება პროექტის ბიუჯეტში.

გარდა ამისა, პროექტი,საჭიროებისამებრ,ჩაებმება UNDP/GEF-ის მიერ დაფინანსებულ საინფორმაციო ქსელებში, რომლებიც გამიზნულია საერთო ნიშნის მქონე პროექტებზე მომუშავე სპეციალისტებისთვის. UNDP/GEF-ის რეგიონულმა განყოფილებამ პროექტის ხელმძღვანელებს შორის გამოცდილების გასაზიარებლად შექმნა ელექტრონული სისტემა. საჭიროებისამებრ, პროექტი ასევე ჩაებმება სამეცნიერო, სტრატეგიის და/ან სხვა ქსელებში, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს პროექტის წამატებას გამოცდილების გაზიარების გზით. პროექტის ფარგლებში ასევე გამოვლინდება, შეისწავლება და გავრცელდება სასარგებლო გამოცდილება, რაც შეიძლება წაადგეს მსგავს სამომავლო პროექტებს. სავალდებულოა, რომ პროექტმა სასარგებლო გამოცდილების მაგალითები გამოავლინოს, შეისწავლოს და გაავრცელოს სულ მცირე წელიწადში ერთხელ. UNDP/GEF პროექტის პერსონალს მიაწვდის სათანადო ფორმატს და დაეხმარება ამ მაგალითების კატეგორიებად დაყოფაში, აღნუსხვასა და ანგარიშებში ასახვაში.

ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება პროექტის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, რაც პროექტის მიღწევების მდგრადობას განაპიროებებს და მათ სხვა ვითარებაში გამოყენების საშუალებას იძლევა. ეს ელემენტი პროექტის ყველა კომპონენტისთვის მნიშვნელოვანია.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ პროექტის ზოგიერთი უბანი შეიძლება არ იყოს მოწყობილი ელექტრონული ინფორმაციის მისაღებად, ამიტომ უპირატესობა ბეჭდურ მასალებს მიენიჭება.

საინფორმაციო მასალებისა და თვალსაჩინოებათა გამოყენების წესები

სავალდებულოა UNDP-ისა და GEF-ის ბრენდინგის მოთხოვნებისა და მათი ლოგოების გამოყენების წესების ზუსტი დაცვა (იხ.http://web.undp.org/comtoolkit/reaching-the-outside-world/outside-world-core-concepts-visual.shtml დაhttp://www.thegef.org/gef/GEF_logo). ორივე ლოგო ერთი ზომის უნდა იყოს. პუბლიკაციებზე UNDP-ის ლოგო უნდა იყოს მარცხენა ზედა კუთხეში, GEF-ისა კი მარჯვენა ზედა კუთხეში. უფრო დაწვრილებითი მითითებების მიღება შეიძლება UNDP-GEF-ის რეგიონული ჯგუფისგან.

გარდა ამისა, სავალდებულოა GEF-ის საინფორმაციო მასალებისა და თვალსაჩინოებათა გამოყენების წესების დაცვა (GEF-ის წესები)[31]. აქ აღწერილია როდის და როგორ უნდა აღიბეჭდოს GEF-ის ლოგო პუბლიკაციებზე, მანქანებსა და საოფისე ინვენტარზე, მოცემულია GEF-ის მოთხოვნები პრეს-რელიზებთან, პრეს-კონფერენციებთან, პრესისა და მთავრობის წარმომადგენელთა ვიზიტებთან და სხვა სარეკლამო მოვლენებთან თუ მასალებლთან დაკავშირებით, და სხვ.

პროექტის თანადაფინანსებაში სხვა სააგენტოს ან პროექტის პარტნიორის მონაწილეობის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება მათი ბრენდინგის მოთხოვნები.

ფინანსური შემოწმება

დაგეგმვისა და დაფინანსების სახელმძღვანელოებში მოცემული წესების თანახმად, მთავრობა UNDP-ის მუდმივ წარმომადგენელს მიაწვდის დამოწმებულ პერიოდულ ფინანსურ ანგარიშებსა და ფინანსურად შემოწმებულ ანგარიშებსUNDP-ის (მათ შორის GEF-ის) თანხების მდგომარეობის შესახებ. ფინანსური შემოწმება ჩატარდება UNDP-ის საფინანსო და შემოწმების წესების თანახმად სახაზინო ან მთავრობის მიერ სამართლებრივად აღიარებული კერძო აუდიტორის მიერ.

VII ცხრილი. მონიტორიგისა და შეფასების გეგმა, პასუხისმგებელი მხარეები, ბიუჯეტი და ვადები

მონიტორიგისა და შეფასებისთვის საჭირო ღონისძიებები	**პასუხისმგებელი მხარეები**	**ბიუჯეტი აშშ დოლარში** *(თანამშრომელთა სამუშაო დროის გამოკლებით)*	**ვადები**
საორგანიზაციო სემინარი	▪ პროექტის ხელმძღვანელი ▪ UNDP-ის საქართველოს ოფისი ▪ UNDP GEF	$10,000	პროექტის დაწყებიდან ორ თვეში
თავდაპირველი ანგარიში	▪ პროექტის პერსონალი ▪ UNDP-ის საქართველოს ოფისი	—	საორგანიზაციო სემინარის დასრულებისთანავე
პროექტის მაჩვენებლების დასაბუთების საშუალებებათა დადგენა	▪ პროექტის ხელმძღვანელი გააკონტროლებს კონკრეტული კვლევებით სარგებლობისა და დაწესებულებების	დადგინდება პროექტის საწყის ეტაპზე	პროექტის საწყისი, შუალედური და დასკვნით ეტაპები

[31]GEF-ის წესების ნახვა შეიძლება აქ: http://www.thegef.org/gef/sites/thegef.org/files/documents/C.40.08_Branding_the_GEF%20final_0.pdf

მონიტორიგისა და შეფასებისთვის საჭირო ღონისძიებები	**პასუხისმგებელი მხარეები**	**ბიუჯეტი აშშ დოლარში** *(თანამშრომელთა სამუშაო დროის გამოკლებით)*	**ვადები**
	დაქირავების პროცესებს და პასუხისმგებლობას დააკისრებს პროექტის შესაბამის თანამშრომელს		
პროექტის წინსვლისა და შესრულების დასაბუთების საშუალებათა დადგენა (წელიწადში ერთხელ)	▪ აკონტროლებს პროექტის ხელმძღვანელი ▪ მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი ▪ პროექტის თანამშრომლები	დადგინდება წლიური სამუშაო გეგმის მომზადებისას	ყოველწლიურად, წლიური მიმოხილვითი და პროექტის განხორციელების ანგარიშების მომზადებამდე და წლიური სამუშაო გეგმების შედგენამდე
წლიური მიმოხილვითი და პროექტის განხორციელების ანგარიშები	▪ პროექტის თანამშრომლები ▪ UNDP-ის საქართველოს ოფისი ▪ UNDP-GEF	—	ყოველწლიურად
პროგრესის ამსახველი კვარტლური ანგარიშები	▪ პროექტის თანამშრომლები	—	კვარტალურად
(პროექტის ბიუჯეტის) შესრულების ერთიანი ანგარიშები	▪ პროექტის ხელმძღვანელი	—	კვარტალურად
კრიტიკულ საკითხთა ცხრილი	▪ პროექტის ხელმძღვანელი ▪ UNDP-ის საქართველოს ოფისის საპროგრამო ნაწილის თანამშრომლები	—	კვარტლურად

მონიტორიგისა და შეფასებისთვის საჭირო ღონისძიებები	**პასუხისმგებელი მხარეები**	**ბიუჯეტი აშშ დოლარში** *(თანამშრომელთა სამუშაო დროის გამოკლებით)*	**ვადები**
რისკების ცხრილი	▪ პროექტის ხელმძღვანელი ▪ UNDP-ის საქართველოს ოფისის საპროგრამო ნაწილის თანამშრომლები	—	კვარტალურად
მიღებული გამოცდილების ცხრილი	▪ პროექტის ხელმძღვანელი ▪ UNDP-ის საქართველოს ოფისის საპროგრამო ნაწილის თანამშრომლები	—	კვარტალურად
შიდა შუალედური შეფასება	▪ პროექტის თანამშრომლები ▪ UNDP-ის საქართველოს ოფისი ▪ UNDP-GEF-ის რეგიონული საკოორდინაციო განყოფილება	—	პროექტის განხორციელების შუა ეტაპზე
დასკვნითი შეფასება	▪ პროექტის თანამშრომლები ▪ UNDP-ის საქართველოს ოფისი ▪ UNDP-GEF-ის რეგიონული საკოორდინაციო განყოფილება ▪ გარეშე მრჩევლები (ანუ შემფასებელთა ჯგუფი)	$30,000	პროექტის დასრულებამდე, სულ მცირე, სამი თვით ადრე
დასკვნითი ანგარიში	▪ პროექტის თანამშრომლები ▪ UNDP-ის საქართველოს ოფისი ▪ ადგილობრივი მრჩეველი	ადგილობრივი მრჩევლებისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები	პროექტის დასრულებამდე, სულ მცირე, სამი თვით ადრე
მიღებული გამოცდილება	▪ პროექტის თანამშრომლები	0	ყოველწლიურად

მონიტორიგისა და შეფასებისთვის საჭირო ღონისძიებები	**პასუხისმგებელი მხარეები**	**ბიუჯეტი აშშ დოლარში** *(თანამშრომელთა სამუშაო დროის გამოკლებით)*	**ვადები**
	▪ მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი ▪ UNDP-GEF-ის რეგიონული საკოორდინაციო განყოფილება (მოწინავე გამოცდილების ასასახად შემოთავაზებული ფორმატი და სხვ.)		
ფინანსური შემოწმება	▪ UNDP-ის საქართველოს ოფისი ▪ პროექტის თანამშრომლები	$3,000	ერთხელ პროექტის განმავლობაში, როგორც დადგენილია UNDP-ის წესებით ფინანსური შემოწმების შესახებ
პროექტის უბნების მონახულება	▪ UNDP-ის საქართველოს ოფისი ▪ UNDP-GEF-ის რეგიონული საკოორდინაციო განყოფილება (საჭიროებისამებრ) ▪ ხელისუფლების წარმომადგენლები	იფარებაგანმახორციელებელი სააგენტოს საკომისიოდან და სამოქმედო ბიუჯეტიდან	ყოველწლიურად
mTliani saorientacio Tanxa **პროექტის თანამშრომელთა სამუშაო დროის,UNDP-ის საშტატო თანამშრომელთა და სამივლინებო ხარჯების გამოკლებით**		**USD 43,000***	

V ნაწილი: სამართლებლივი მხარე

პროექტის დოკუმენტზე (როგორც აღნიშნულიახელშეკრულებაში „საქართველოში გაეროს განვითარების პროგამის წარმომადგენლობის შესახებ“)ვრცელდება საქართველოს მთავრობისა და UNDP-ის მიერ ხელმოწერილი საპროგრამო დოკუმენტის სამოქმედო გეგმის პირობები.

„საქართველოში გაეროს განვითარების პროგამის წარმომადგენლობის შესახებ“ ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, განმახორციელებელი პარტნიორი პასუხს აგებსთავისი პერსონალისა და საკუთრების, ასევე UNDP-ის იმ საკუთრების უსაფრთხოებაზე, რომელიც დროებით მის მფლობელობაშია.

განმახორციელებელი პარტნიორი:

ა.შეიმუშავებსდადაიცავსუსაფრთხოებისგეგმას იმ ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით, სადაც პროექტი ხორციელდება;
ბ. საკუთარ თავზე აიღებს თავის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებსა და ვალდებულებებს და ზუსტად დაიცავს უსაფრთხოების გეგმას.

UNDP უფლებამოსილია, შეამოწმოს ასეთი გეგმის არსებობა და, საჭიროებისამებრ, გასწიოს რეკომენდაცია მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე. უსაფრთხოების გეგმის არქონა ან მისი შეუსრულებლობა ამ ხელშეკრულების დარღვევად მიიჩნევა.

განმახორციელებელი პარტნიორი ყოველ ღონეს იხმარს, რომ პროექტის დოკუმენტის თანახმად მიღებული UNDP-ის თანხები არ მოხმარდეს ტერორიზმთან დაკავშირებულ პირებსა თუ ორგანიზაციებს ან უშიშორების საბჭოს კომიტეტის სიაში შესულ ერთეულებს (რეზოლუცია #1267, 1999 წ. სიის სანახავად ეწვიეთ http://www.un.org/Docs/sc/committees/1267/1267ListEng.htm). ეს პირობა უნდა შევიდეს პროექტის დოკუმენტის ფარგლებში დადებულ ყველა ხელშეკრულებაში.

IIთავი: სტრატეგიული შედეგების გეგმა

ეს პროექტი ხელს შეუწყობს საპროგრამო დოკუმენტის სამოქმედო გეგმით დადგენილისაპროგრამო დოკუმენტის 3.2.1. მოსალოდნელი საბოლოო შედეგის მიღწევას: საცდელ უბნებზე განხორციელდა და დაიხვეწა ქიმიკატებისა და ბუნებრივი რესურსების, მათ შორის ნიადაგის, წყლისა და ბიოლოგიური რესურსების, მართვის გონივრული პრაქტიკა და მეთოდები, რომ მოიცვას მთელი ქვეყანა და/ან გასცდეს მის საზღვრებს. შუალედური შედეგი: მოიმატა დაცული ტერიტორიების ფინანსურმა და სამეურნეო მდგრადობამ.
საპროგრამო დოკუმენტის საბოლოო შედეგის მაჩვენებლები: 3.2 კატასტროფების რისკის განმაპირობებელი ფაქტორები შემცირებულიაგარემოსა და ბუნებრივი რესურსების გონივრული მართვის გზით
გარემოსა და მდგრადი განვითარების სფეროს მთავარი შედეგი: შესაძლებლობათა განვითარება გარემოს გონივრულად მართვისა და გაჭირვებული მოსახლეობის დაცვის უზრუნველსაყოფად.
GEF-ის შესაბამისი სტრატეგიული ამოცანა და პროგრამა:ამოცანა 1. დაცული ტერიტორიების სისტემების მდგრადობის გაუმჯობესება
GEF-ის შესაბამისი მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: საბოლოო შედეგი 1.1. არსებული და ახალი დაცული ტერიტორიების დახვეწილი მართვა
GEF-ის შესაბამისი საბოლოო შედეგის მაჩვენებლები: მაჩვენებელი 1.1 დაცული ტერიტორიის ქმედითი მართვა, დადგენილი მართვის ქმედითობის შეფასების ინსტრუმენტით

პროექტის სტრატეგია	**მაჩვენებელი**	**ვითარება პროექტის დაწყებამდე**	**პროექტის დასასრულისას მოსალოდნელი ვითარება**	**დასაბუთების საშუალებები**	**რისკები და ვარაუდები**
ამოცანა: დაცული ტერიტორიების მართვის დახვეწა, მათი ბიოგეოგრაფიული საზღვრების გაფართოება და ფუნქციური კავშირის განმტკიცება აჭარის ტყის ეკოსისტემების დასაცავად	გაფართოვდა აჭარის დაცული სისტემების საზღვრები	30,469 ჰა	39,202 ჰა	დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და აჭარის ოფიციალური სტატისტიკა	რისკი: მთავრობა აღარ მიხედავს და დააფინანსებს არსებულ დაცულ ტერიტორიებს და არ გაიღებს მაჭახელას ეროვნული პარკის შესაქმნელად საჭირო თანხებს. ვარაუდი: საქართველოსა და აჭარის მთავრობები ოფიციალურად განაცხადებენ მაჭახელას ეროვნული
	აჭარაში და მთელ საქართველოში გაიზარდა ზომიერად ნოტიო კოლხური ტყეების ფართობი (სულ მცირე 5% და 1%, შესაბამისად)	საქართველოში: 10.7% აჭარაში: 15%	საქართველოში: 11.7% აჭარაში: 20%	დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და აჭარის ოფიციალური სტატისტიკა	
	დაცული ტერიტორიის სისტემის შესაძლებლობათა განვითარების	სისტემური: 14% საუწყებო: 21%	სისტემური: >20% საუწყებო: >29%	METT მაჩვენებლების სისტემის შეფასება	

პროექტის სტრატეგია	მაჩვენებელი	ვითარება პროექტის დაწყებამდე	პროექტის დასასრულისას მოსალოდნელი ვითარება	დასაბუთების საშუალებები	რისკები და ვარაუდები
	მაჩვენებელი	ინდივიდუალური: 9%	ინდივიდუალური: >13	პროექტის ფარგლებში	პარკის შექმნის შესახებ, განაგრძობენ სხვა დაცული ტერიტორიების დახმარებას და გაიღებენ მართვისა და მიმდინარე ხარჯების დასაფარად საჭირო თანხებს
	კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსისა და მტირალას ეროვნული პარკის მართვის ქმედითობა შეფასებულია METT ქულებით	- მტირალასეროვნული პარკის METT ქულა: 68% - კინტრიშისსახელმწიფონაკრძალის METT ქულა: 62% - კინტრიშისდაცულილანდშაფტისMETT ქულა: 58% - მაჭახელას ეროვნული პარკის METT ქულა: 11%	- მტირალასეროვნული პარკის METT ქულა: >73% - კინტრიშისსახელმწიფონაკრძალის METT ქულა: >67% - კინტრიშისდაცულილანდშაფტისMETT ქულა: >63% - მაჭახელას ეროვნული პარკის METT ქულა: >71%	METT ქულების სისტემის შეფასება პროექტის ფარგლებში (ორ წელიწადში ერთხელ)	
I საბოლოო შედეგი: დაიხვეწა აჭარის დაცული ტერიტორიების მართვა	მერქნისა და ტყის არამერქნულ სახეობათა მოპოვების შემთხვევების რიცხვი არ გაზრდილა	მტირალას ეროვნული პარკი: 7.82 m^3.[32] კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსი: 0 m^3.	მტირალას ეროვნული პარკი: < 7.82 m^3. კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსი: 0 m^3.	დაცული ტერიტორიების წლიურიანგარიშები და პროექტის შეფასებისა და წინსვლის ამსახველი ანგარიშები	<u>რისკი:</u> დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების საქმიანობის დახვეწას ხელს უშლის მათი შეზღუდული ავტონომიურობა <u>ვარაუდი:</u> დაცული ტერიტორიების სააგენტო გახდება ნაკლებცენტრალიზებული, რითაც ხელს შეუწყობს მართვის მოქნილი მექანიზმების ამოქმედებას
	უკანონო საქმიანობის შემთხვევების რიცხვი შემცირებულია ან არ მომატებულა[33]	მტირალას ეროვნული პარკი: 1.3% (12 შემთხვევა 915 შემოვლაზე) კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსი: 0.37% (1 შემთხვევა 267 შემოვლაზე)	მტირალას ეროვნული პარკი: 1.3% ან ნაკლები კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსი: 0.37% ან ნაკლები	დაცული ტერიტორიების წლიური ანგარიშები და პროექტის შეფასებისა და წინსვლისამსახველი ანგარიშები	
	შუალედური შედეგები: 1.1 კინტრიშის დაცულ ტერიტორიებსა და მტირალას ეროვნულ პარკში დაიხვეწა წესრიგის დაცვისა და თვალთვალის სისტემები. 1.2 საფრთხეები წარმოქმნისთანავე შემცირდა ადგილობრივ თემთა სწორი მონაწილეობით დაგეგმვისა და თანამმართველობის სქემებში, რომლებიც გათვალისწინებულია ორი ახლადშექმნილი სათემო ორგანიზაციის მართვის სტრუქტურით 1.3 კინტრიშისა და მტირალას დაცული ტერიტორიების მოსალოდნელი ფინანსური საჭიროებანი დაკმაყოფილდა ბიომრავალფეროვნებისთვის საშიში				

[32]უკანონო მოპოვების ფაქტები, რომლებიც 2008-2011 წწ. (4 წელი) აღირიცხა

[33]დგინდება შემოვლის რაოდენობისა და დაკავებისა და დაჯარიმების ფაქტების რაოდენობის შეფარდებით

პროექტის სტრატეგია	მაჩვენებელი	ვითარება პროექტის დაწყებამდე	პროექტის დასასრულისას მოსალოდნელი ვითარება	დასაბუთების საშუალებები	რისკები და ვარაუდები
	ახლადწარმოქმნილი საფრთხეების ხანგრძლივად აღმოსაფხვრელად საჭირო ფინანსური მექანიზმების შემუშავებით.				
საბოლოო შედეგი 2: დაცული ტერიტორიების საზღვრების გაფართოების შედეგად განმტკიცდა დაცული ტერიტორიების ფუნქციური კავშირი მცირე კავკასიონის დასავლეთით	შეისწავლება გარკვეული ფართობი (ჰა) და ოფიციალურად გამოცხადდება და იმართება როგორც მაჭახელას ეროვნული პარკი (IUCN-ის II კატეგორია)	0 ჰა	მე-2 წლის დასაწყისისთვის მაჭახელას ეროვნული პარკის ფართობი იქნება 8,733 ჰა	აჭარისა და საქართველოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები	<u>რისკი</u>: ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება ასუსტებს პირობებს პროექტის მიზნებისთვის საჭირო დაფინანსებისთვის. <u>ვარაუდი</u>: აჭარის ხელისუფლება და დაცული ტერიტორიების სააგენტო ასრულებენ კანონს მაჭახელას ეროვნული პარკის შექმნის შესახებ და გამოყოფენ ჯეროვანი მართვისთვის საჭირო თანხებს.
	მანძილი მტირალა-კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსსა და ტყის უახლოეს ეკოსისტემას შორის	13 კმ ჯამილის (თურქეთი) დაცულ ტერიტორიამდე	6 კმ-ზე ნაკლები მაჭახელას ეროვნულ პარკამდე	საზღვრებისა და ზონების დოკუმენტაცია და რუკები. მართვის გეგმა	
	დაცული ტერიტორიების სააგენტომ და აჭარის ხელისუფლებამ დააფინანსეს ინფრასტრუქტურა ეროვნული პარკის ჯეროვანი მართვის უზრუნველსაყოფად	ნული	დაახლ. 120000 აშშ დოლარი	ეროვნული პარკის მმართველი საბჭოს კრებების ოქმები; პროექტის განხორციელების ანგარიში	
	მაჭახელას ეროვნული პარკის დადგენილი საზღვრები და ზონები; ერთობილივი მართვის მოქმედი გეგმა	საზღვრები ნაწილობრივ დადგენილია. ზონებად დაყოფილი არაა	ზუსტად დადგენილი და შეთანხმებული საზღვრები და ზონები (მე-2 წლისთვის) მართვის ერთხმად აღიარებული გეგმა (მე-3 წლისთვის)	საზღვრებისა და ზონების დოკუმენტაცია და რუკები. მართვის გეგმა	
	ადგილობრივ თემთა მონაწილეობის დონე დაცული ტერიტორიების მართვაში	–	ჩამოყალიბდა დაცული ტერიტორიის მმართველიწარმომადგენლობი თი საბჭო, სადაც ადგილობრივი თემები ჯეროვნად არიან წარმოდგენილნი და აქტიურად მუშაობენ მაჭახელას	დაცული ტერიტორიის მმართველი საბჭოს წევრობის დამადასტურებელი საბუთები; საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები;	

პროექტის სტრატეგია	მაჩვენებელი	ვითარება პროექტის დაწყებამდე	პროექტის დასასრულისას მოსალოდნელი ვითარება	დასაბუთების საშუალებები	რისკები და ვარაუდები
			ეროვნული პარკის დაგეგმავსა და მართვაზე (მე-2 წლისთვის)	კვლევები; მართვის გეგმები.	
	შუალედური შედეგები: 2.1 მაჭახელას ხეობაში შეიქმნა ახალი, IUCN-ის მე-2 კატეგორიის, დაცული ტერიტორია (ფართობი - 8733 ჰა). 2.2 შეიქმნა მაჭახელას ეროვნული პარკის სამართად საჭირო სამართლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვილი დაცული ტერიტორიის წარმომადგენლობითი მმართველი საბჭო. 2.3 დადგინდა მაჭახელას ეროვნული პარკის ქმედუნარიანობა				

IIIთავი: ერთიანი ბიუჯეტი და სამუშაო გეგმა

გრანტის ნომერი:	66852
გრანტის დასახელება:	აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა
სტრუქტურული ერთეული:	GEO10
პროექტის დასახელება:	აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა
პროექტის ნომერი:	4732
PIMSნომერი.	4835
განმახორციელებელი პარტნიორი:	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო

GEF-ის საბოლოო შედეგი / „ატლასით“ გათვალისწინებულიაქტივობა	პასუხისმგებელი მხარე / განმახორციელებელი აგენტი	ფონდის ნომერი	დონორი	„ატლსის“ საბიუჯეტო ანგარიშის კოდი	„ატლასის“ საბიუჯეტო ხაზის აღწერა	თანხა I წელს ($$)	თანხა II წელს($$)	თანხა IIIწელს ($$)	თანხა IVწელს($$)	სულ ($$)	განმარტებები
Iსაბოლოო შედეგი:დაიხვეწა აჭარის დაცული ტერიტორიების მართვა	დაცული ტერიტორიების სააგენტო	62000	GEF	71300	ადგილობრივი მრჩევლები	12400	15200	15200	14200	57000	1
				71600	მგზავრობა	5000	6000	6000	6000	23000	2
				72100	სახელშეკრულებო მომსახურება	10000	40000	20000	5000	75000	3
				72200	აღჭურვილობა	15000	45000	20000	10000	90000	4
				74200	პუბლიკაციები	5047	14000	15000	15000	49047	5
				75700	სწავლა-გადამზადება	10000	35000	20000	15000	80000	6

				74500	სხვადასხვა	1000	2000	2620	2620	8226	24
				Iსაბოლოო შედეგი სულ:		**58447**	**157200**	**98820**	**67806**	**382273**	
II საბოლოო შედეგი: დაცული ტერიტორიის სისტემის საზღვრები გაფართოვდა დაცული ტერიტორიებ ს ფუნქციური კავშირის განსამტკიცებ ლად მცირე კავკასიონის დასავლეთით:	დაცული ტერიტორიების სააგენტო	62000	GEF	71200	უცხოელი მრჩევლები	32800	33600	7800	13000	87200	7
				71300	ადგილობრივი მრჩევლები	23400	42400	42400	28200	136400	8
				71600	მგზავრობა	8000	10000	10000	25000	53000	9
				72100	სახელშეკრულებო მომსახურება	5000	60000	30000	35000	130000	10
				72200	აღჭურვილობა	40000	45000	20000	30000	135000	11
				74200	პუბლიკაციები	10000	21000	22000	45000	98000	12
				75700	სწავლა-გადამზადება	20000	50000	30000	34000	134000	13
				74500	სხვადასხვა	4000	4067	4200	4130	16397	25
				IIსაბოლოო შედეგი სულ:		**143200**	**266067**	**166400**	**214330**	**789997**	
პროექტის მართვის ხარჯები და მონიტორინგი და შეფასება		62000	GEF	71400	პროექტის თანამშრომლები (2)	21550	21550	21550	21550	86200	14
				71200	უცხოელი მრჩევლები (E)	–	4800	–	4800	9600	15
				71300	ადგილობრივი მრჩევლები (E)	–	760		760	1520	16
				71600	მგზავრობა	1000	1000	1000	700	3700	17
				72200	აღჭურვილობა	2000	–	–	–	2000	18
				72400	კავშირგაბმულობი ს საშუალებები	100	500	500	500	1600	19
				72500	დამხმარე საშუალებები	1000	1000	1000	1000	4000	20
				74500	სხვადასხვა	700	700	700	646	2746	26
				ქვეჯამი(GEF)		***26350***	***30310***	***24750***	***29956***	***111366***	
			UNDP TRAC	71400	პროექტის	5125	5125	5125	5125	20500	21

					თანამშრომლები(ხელმძღვანელობა)						
				73500	საკომპენსაციო ხარჯები (ISS/DPC)	4875	4875	4875	4875	19500	22
				ქვეჯამი (UNDP TRAC)		***10000***	***10000***	***10000***	***10000***	***40000***	***23***
				მართვის ხარჯები მთლიანად		**36350**	**40310**	**34750**	**39956**	**151366**	
GEF (62000)						**227997**	**453577**	**289970**	**312092**	**1283636**	
UNDP TRAC (04000)						**10000**	**10000**	**10000**	**10000**	**40000**	
სულ:						**237997**	**463577**	**299970**	**322092**	**1323636**	

მთლიანი თანხები ბიუჯეტის კატეგორიების მიხედვით											
მთლიანი თანხები	დაცული ტერიტორიების სააგენტო	62000	GEF და UNDP TRAC	71200	უცხოელი კონსულტანტები	32,800	38,400	7,800	17,800	96,800	
				71300	ადგილობრივი კონსულტანტები	35,800	58,360	57,600	43,160	194,920	
				71400	პროექტის თანამშრომლები (ხელმძღვანელობა)	26,675	26,675	26,675	26,675	106,700	
				71600	მგზავრობა	14,000	17,000	17,000	31,700	79,700	
				72100	სახელშეკრულებო მომსახურება	15,000	100,000	50,000	40,000	205,000	
				72200	აღჭურვილობა	57,000	90,000	40,000	40,000	227,000	
				72400	კავშირგაბმულობის საშუალებები	100	500	500	500	1,600	
				72500	დამხმარე საშუალებები	1,000	1,000	1,000	1,000	4,000	
				73500	საკომპენსაციო ხარჯები	4,875	4,875	4,875	4,875	19,500	
				74200	პუბლიკაციები	15,047	35,000	37,000	60,000	147,047	
				75700	სწავლა-გადამზადება	30,000	85,000	50,000	49,000	214,000	

				74500	სხვადასხვა	5,700	6,767	7,520	7,382	27,369	
				პროექტი მთლიანად (GEF და UNDP TRAC)		**237,997**	**463,577**	**299,970**	**322,092**	**1,323,636**	

* დაწვრილებით თანადაფინანსების შესახებ იხილეთIV თავის,IV ნაწილი. ზემომოტანილ ცხრილში მოცემულია მხოლოდ „ატლასის“ გრანტით გათვალისწიებული თანხები.

თანხების შემაჯამებელი ცხრილი[34]:	**I წელი**	**II წელი**	**III წელი**	**IV წელი**	**სულ**
GEF	227,997	453,577	289,970	312,092	1,283,636
UNDP (მათ შორის, არაფულადი)	37,500	37,500	37,500	37,500	150,000
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო					440,672
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო					954,818
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა					7,638,036
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, აჭარის ა/რ					1,757,553
რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)					2,317,063
აშშ შინაგან საქმეთა დეპარტამენტი (US DoI)					40,000
კავკასიის ბუნების ფონდი					317,000
ბუნების მსოფლიო ფონდი					100,000
სულ					14,888,778

	ბიუჯეტის კომპონენტთა განმარტებები
1	ადგილობრივი მრჩევლები არიან უშუალოდ GEF/UNDP-ის პროექტის ბიუჯეტით (I კომპონენტით გათვალისწინებული თანხის დაახლ. 30%) დაქირავებული პირები, რომელთა მომსახურება საჭიროა I კომპონენტის შუალედური შედეგების (1.1, 1.2 და 1.3) მისაღწევად. ადგილობრივ მრჩევლებს სასოფლო-სამეურნეო და ტყის რესურსების გაფართოებისა და აგრობიზნესის ნაწილისთვის უზრუნველყოფს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის“ პროექტი, დამატებით ღონისძიებებისთვის დაცული

[34]შემაჯამებელ ცხრილში მოცემული უნდა იყოს დაფინანსები ყველა სახე: GEF-ის დაფინანსება, თანადაფინანსება, არაფულადი და სხვ.

	ტერიტორიების მართვის დაგეგმვის სფეროში კი პროექტის პარტნიორები (ევროკავშირის საპარტნიორო პროექტი „მტირალას ეროვნული პარკი“ და KfW-ს კინტრიშის დაცული ტერიტორიების პროექტი).
2	მგზავრობა: ამ კომპონენტით გათვალისწინებული სამგზავრო ხარჯები მოხმარდება პროექტის ტექნიკური პერსონალის მივლინებებს (ბათუმიდან და თბილისიდან) დაცულ ტერიტორიებსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში და ადგილობრივ მოსარგებლეთა (დაცული ტერიტორიების თანამშრომლები, სათემო ორგანიზაციები, ადგილობრივი ხელისუფლება, თემთა წარმომადგენლები და სხვ.) მიმოსვლას (მაგ. ბათუმსა თუ დაცული ტერიტორიების შიგნით ტრენინგებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით) - შუალედური შედეგები 1.1, 1.2, 1.3. გარკვეულ შემთხვევებში აქედანვე დაიფარება დაცული ტერიტორიების თანამშრომელთა და მრჩევლების სამგზავრი ხარჯები პროექტთან დაკავშირებულ ღონისძიებებზედასასწრებად დაცული ტერიტორიების სააგენტოში, თბილისში.
3	სახელშეკრულებო მომსახურება გულისხმობს დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებას მტირალას ეროვნულ პარკსა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსშიძირითადი შენობა-ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის გასარემონტებლად (შუალედური შედეგები: 1.1, 1.2).
4	აღჭურვილობა გულისხმობს საოფისე და მსუბუქ აღჭურვილობას, რომლებიც პროექტის მონაწილეებს დასჭირდებათ დაცული ტერიტორიების მართვის გეგმებისა და პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად (შუალედური შედეგები: 1.1, 1.2).
5	პუბლიკაციები გულისხმობს მიღებული გამოცდილების, სახელმძღვანელოების, გზამკვლევების, პროექტის I კომპონენტის მიმდინარეობისას გამოყენებული ახლებური მიდგომებისა და მეთოდების (განსაკუთრებით თემების მონაწილეობის, თანამშრომელთა მომზადების, ტურიზმის მართვისა და სხვ. მიმართებით), ასევე საყოველთაოდ საინტერესო დოკუმენტების (მაგ. დაცული ტერიტორიების მართვის გეგმის მოკლე შინაარსი, ტურიზმის განვითარების გეგმები და სხვ.) გამოცემას (შუალედური შედეგები 1.1, 1.2, 1.3)
6	სწავლა-გადამზადება გულისხმობს დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას მართვის მოქნილი მეთოდების (ადგილობრივ თემთა მონაწილეობის ხელშეწყობა, ჩაებას დაცული ტერიტორიის მართვასა და შორსმიმავალი მიზნების მიღწევაში) დასანერგად მტირალასა და კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე. სწავლა-გადამზადება გამიზნულია მიღებული ცოდნის მაქსიმალურად გამოყენებაზე პრაქტიკაში (მაგ., დაცული ტერიტორიების მართვისა და მოქმედების გეგმათა მომზადებისას), რაც შემდეგ თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებაში აისახება (მეტწილად შუალედური შედეგი 1.1).
7	უცხოელი მრჩეველი არის გრძელვადიანი (მთელი პროექტის მანძილზე დაქირავებული), მაგრამ არასრულ განაკვეთზე (სულ 22 კაც/კვირა) მომუშავე პირი, რომელიც პერიოდული, მაგრამ სტრატეგიული რჩევებით, მართავს პროექტის ტექნიკურ მხარეს. მისი ჩარევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექტის დასაწყისში, შუალედური შეფასების შემდეგ და პროექტის დასკვნით ეტაპზე. სხვა უცხოელი მრჩევლები (10 კაც/კვირა) დაკავდებიან დაცული ტერიტორიის მართვის დაგეგმვითა და ტრენინგებით, განსაკუთრებით, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობისთვის საჭირო მექანიზმების შემუშავებით. უცხოელი მრჩევლების ბიუჯეტი გათვალისწინებულია მე-2 კომპონენტში, რაც მათი მუშაობის ძირითადი სფეროა, თუმცა გარკვეულწილად, I კომპონენტზეც იმუშავებენ (შუალედური შედეგები 2.2, 2.3 და 1.1). უცხოელ მრჩევლებთან დაკავშირებული ხარჯები დაწვრილებით მოცემულია **g** დანართში.
8	ადგილობრივი მრჩევლები.აქედან იფარება ბიუჯეტის II კომპონენტით გათვალისწინებულ ადგილობრივ მრჩევლებთან დაკავშრებული ხარჯები (გამოყოფილი თანხის 70%). ადგილობრივ მრჩევლებად ითვლებიან: „ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორი“, რომელიც ყოველდღიურად ადევნებს თვალ-ყურს ტექნიკურ ღონისძიებათა მიმდინარეობას (170 კაც/კვირა). სხვა ადგილობრივი მრჩევლები და მათთან დაკავშირებული ხარჯები დაწვრილებით მოცემულია **g** დანართში. ამ კომპონენტით გათვალისწინებული თანხები მოხმარდება 2.2-

	ე და 2.3-ე შუალედური შედეგების მიღწევას. დამატებით ადგილობრივ მრჩევლებს სასოფლო-სამეურნეო და ტყის რესურსების გაფართოებისა და აგრობიზნესის ნაწილისთვის უზრუნველყოფს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის“ პროექტი
9	მგზავრობა: ამ კომპონენტით გათვალისწინებული სამგზავრო ხარჯები მოხმარდება პროექტის ტექნიკური პერსონალის მივლინებებს (ბათუმიდან და თბილისიდან) დაცულ ტერიტორიებსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში და ადგილობრივ მოსარგებლეთა (დაცული ტერიტორიების თანამშრომლები, სათემო ორგანიზაციები, ადგილობრივი ხელისუფლება, თემთა წარმომადგენლები და სხვ.) მიმოსვლას (მაგ. ბათუმსა თუ დაცული ტერიტორიების შიგნით ტრენინგებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით) - შუალედური შედეგები 2.2, 2.3. გარკვეულ შემთხვევებში აქედანვე დაიფარება დაცული ტერიტორიების თანამშრომელთა და მრჩევლების სამგზავრი ხარჯები პროექტთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე დასასწრებად დაცული ტერიტორიების სააგენტოში, თბილისში და გაცვლითი ვიზიტები ჯამილის ბიოსფერულ ნაკრძალში თურქეთის საზღვარზე (შალედური შედეგი 2.3).
10	სახელშეკრულებო მომსახურება გულისხმობს დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებას ძირითადი შენობა-ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის აღსადგენად მაჭახელას ეროვნულ პარკში, სადაც ასევე უნდა გაიმართოს ადმინისტრაციული შენობა და სტუმართა ცენტრი, შეკეთდეს მთავარი ხიდები და სხვ. (შუალედური შედეგები: 1.1, 2.3).
11	აღჭურვილობა გულისხმობს პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა (მაგ., საველე ექსპედიციები, საზღვრების დადგენა, ზონებად დაყოფა და სხვ.) განსახორციელებლად საჭირო როგორც მსუბუქ, ისესტაციონარულ საოფისე, რომელიც პროექტის მონაწილეებს დასჭირდებათ დაცული ტერიტორიების მოთხოვნათა შესასრულებლად და პროექტის განსახორციელებლად (შუალედური შედეგი 2.3). აღჭურვილობისთვის გამოყოფილი თანხების უმეტესობა გათვალისწინებულია მაჭახელას ეროვნული პარკის მე-2 კომპონენტისთვის, რადგან იქ ჯერჯერობით არაფერია.
12	პუბლიკაციები გულისხმობს მიღებული გამოცდილების, სახელმძღვანელოების, გზამკვლევების, პროექტის II კომპონენტით გათვალისწინებული ღონისძიებებისას გამოყენებული ახლებური მიდგომებისა და მეთოდების (განსაკუთრებით თემების მონაწილეობის, თანამშრომელთა მომზადების, ტურიზმის მართვისა და სხვ. მიმართებით), ასევე საყოველთაოდ საინტერესო დოკუმენტების (მაგ. მაჭახელას ეროვნული პარკის მართვის გეგმის მოკლე შინაარსი, ტურიზმის განვითარების გეგმები და სხვ.) გამოცემას (შუალედური შედეგები 2.2, 2.3).
13	სწავლა-გადამზადება გულისხმობს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, რომ წარმატებით დანერგონ მართვის მოქნილი მეთოდებიდა ხელი შეუწყონ ადგილობრივ თემებს, აქტიურად ჩაებან დაცული ტერიტორიის მართვასა და შორსმიმავალი მიზნების მიღწევაში. სწავლა-გადამზადება გამიზნულია მიღებული ცოდნის მაქსიმალურად გამოყენებაზე პრაქტიკაში (მაგ., დაცული ტერიტორიების მართვისა და მოქმედების გეგმათა მომზადებისას), რაც შემდეგ თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებაში აისახება (მეტწილად შუალედური შედეგი 2.3).
14	პროექტის თანამშრომლები: პროექტის ხელმძღვანელისა და სხვა ძირითადი თანამშრომლებისთვის გათვალისწინებული ხარჯების ნაწილი (იხ.**g** დანართი)
15	უცხოელი კონსულტანტები, რომლებიც ჩაატარებენ შუალედურ და დასკვნით დამოუკიდებელ შეფასებებს
16	ადგილობრივი კონსულტანტები, რომლებიც ჩაატარებენ შუალედურ და დასკვნით დამოუკიდებელ შეფასებებს
17	მგზავრობა ხელმძღვანელობისთვის გათვალისწინებულ ხარჯებში გულისხმობს ხელმძღვანელი თანამშრომლების (პროექტის ხელმძღვანელი და ადმინისტრაციულ-ფინანსური თანაშემწე) გადაადგილებას ბათუმში და, საჭიროების შემთხვევაში, მგზავრობას თბილისში, UNDP-ის სათავო ოფისში ანგარიშგებისა და ადმინისტრაციულ-ფინანსური დავალებებისთვის. ამ ხარჯებს გაინაწილებენ

	წინამდებარე და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის“ პროექტები (მაგ., სატრანსპორტო საშუალებები ბათუმში თუ მისა გარეთ გადასაადგილებლად)
18	აღჭურვილობა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის“ პროექტთან საზიარო ოფისისთვის ბათუმში
19	კავშირგაბმულობის საშუალებები: პროექტის ოფისის სატელეფონო და ინტერნეტ-კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ხარჯები
20	დამხმარე საშუალებები: პროექტის სამართად საჭირო საკანცელარიო და მისთ. საქონელი
21	პროექტის თანამშრომლები (ხელმძღვანელობა): პროექტის ხელმძღვანელისა და სხვა ძირითადი თანამშრომლებისთვის გათვალისწინებული ხარჯების ნაწილი (იხ.**g** დანართი)
22	საკომპენსაციო ხარჯები (ISS/DPC) – პროექტის ხარჯები პროექტის ხელმძღვანელობისთვის, რომელიც იფარება UNDP TRAC-დან (1,5%)
23	პროექტის მართვის ხარჯები: 5% UNDP-ის საქართველოს ოფისის გარემოს დაცვის ჯგუფის ორი თანამშრომლისთვის. წინამდებარე პროექტი ოფისს, საოფისე აღჭურვილობასა და გარკვეულ ხარჯებს გაინაწილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის“ პროექტთან. საზიარო ხარჯები პროექტის მიმდინარეობის მანძილზე დაახლოებით 40000 აშშ დოლარს შეადგენს. ბიუჯეტში მოცემული რიცხვები მხოლოდ და მხოლოდ პროექტის მიერ დასაფარი თანხებია.
24	სხვადასხვა: სხვადასხვა მცირე ხარჯები, როგორიცაა საფოსტო მომსახურება, სემინარებსა და შეხვედრებზე საჭირო საკანცელარიო და მისთ. საქონელი და სხვა დაუზუსტებელი ხარჯები
25	სხვადასხვა: სხვადასხვა მცირე ხარჯები, როგორიცაა საფოსტო მომსახურება, სემინარებსა და შეხვედრებზე საჭირო საკანცელარიო და მისთ. საქონელი და სხვა დაუზუსტებელი ხარჯები
26	სხვადასხვა: სხვადასხვა მცირე ხარჯები, როგორიცაა საფოსტო მომსახურება, სემინარებსა და შეხვედრებზე საჭირო საკანცელარიო და მისთ. საქონელი და სხვა დაუზუსტებელი ხარჯები

IVთავი: დამატებითი ინფორმაცია

Iნაწილი: პროექტისწამყვანთანამშრომელთაკომპეტენციადაუფლება-მოვალეობანი

პროექტის ხელმძღვანელი

<u>ზოგადი პირობები</u>

პროექტის ხელმძღვანელი იქნება ღია კონკურსის წესით არჩეული ადგილობრივი პირი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის საერთო მართვაზე, მათ შორის, პროექტის რესურსების მობილიზებასა და პროექტის თანამშრომელთა, მრჩეველთა და ქვეკონტრაქტორთა ხელმძღვანელობაზე. ის ანგარიშვალდებულია პროექტის ადგილობრივი დირექტორის წინაშე პროექტის არსობრივ თუ ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით. პროექტის სტრატეგიული არსიდან გამომდინარე, პროექტის ხელმძღვანელი პერიოდულ ანგარიშებს წარუდგენს პროექტის აღმასრულებელ საბჭოს. ჩვეულებრივ, ის პასუხისმგებელია პროექტით გათვალისწინებული სახელისუფლო ვალდებულებების (პროექტის განხორციელების ადგილობრივი ფორმის) შესრულებაზე. ისიქნება მეკავშირე ხელისუფლებას, UNDP-ს, განმახორციელებელ პარტნიორებს, არასამთავრობოებსა და სხვა მონაწილე მხარეებს შორის და მჭიდროდ ითანამშრომლებს თანადამფინანსებლებთან (ევროკავშირი, KfW, კავკასიის ბუნების ფონდი, აშშ შინაგან საქმეთა დეპარტამენტი).

<u>უფლება-მოვალეობანი</u>

- უხელმძღვანელებს და კოორდინაციას გაუწევს პროექტის დოკუმენტით დადგენილი შუალედური შედეგების მიღწევის პროცესს;
- მოახდენს პროექტის რესურსების მობილიზებას ქვეყანაში პროექტების განხორციელების წესების თანახმად;
- უხელმძღვანელებს და კოორდინაციას გაუწევს პროექტის ყველა თანამშრომლის, მრჩევლისა და ქვეკონტრაქტორის მუშაობას;
- კოორდინაციას გაუწევს პროექტის თანამშრომელთა დაქირავების პროცესს;
- მოამზადებს და გადასინჯავს პროექტის სამუშაო და ფინანსურ გეგმებს;
- იქნება მეკავშირე UNDP-ს, შესაბამის სამთავრობო უწყებებსა და პროექტის ყველა პარტნიორს (დონორებისა და არასამთავრობოების ჩათვლით) შორის პროექტით გათავალისწინებული ღონისძიებების შეთანხმებულად განსახორციელებლად;
- ადმინისტრაციულად დაეხმარება ქვეკონტრაქტორებსა და პროექტით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესს;

- მეთვალყურეობას გაუწევს თავდაპირველი, პროექტის განხორციელების ერთიანი და პროექტის წლიური ანგარიშების, ასევე ტექნიკური, კვარტალური ფინანსური თუ UNDP-ის, GEF-ის, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სხვა მეთვალყურე ერთეულების მიერ მოთხოვნილი სხვა ანგარიშებისმომზადებას და უზრუნველყოფს მათ დროულ წარდგენას;
- გაავრცელებს პროექტის ანგარიშებს და უპასუხებს მონაწილე მხარეთა კითხვებს;
- პროექტის წინსვლის შესახებ მოახსენებს პროექტის აღმასრულებელ საბჭოს და შეასრულებს მის მითითებებს;
- უხელმძღვანელებს გამოცდილების გაცვლის პროცესს ბუნების დაცვისა და განვითარების უცხურ თუ ადგილობრივ სათემო პროექტებთან;
- უზრუნველყოფს პროექტის ყველა კომპონენტის დროულად და წარმატებით შესრულებას;
- ტრენინგებითა და მუშაობის პროცესში სწავლებით შესაბამის სამთავრობო უწყებებსა და პროექტის პარტნიორებს (მათ შორის დონორთა მიერ დაფინანსებულ და არასამთავრობოთა მიერ განხორციელებულ ინიციატივებს) დაეხმარება სათანადო კვალიფიკაციის გამომუშავებაში, რითაც მათ ინსტიტუციურ შესაძლებლობებს განამტკიცებს;
- კოორდინაციას გაუწევს და დაეხმარება სამეცნიერო დაწესებულებებს საველე კვლევების მოწყობასა და განხორციელებაში და პროექტის კომპონენტების მონიტორინგში;
- რეგულარულად, წინასწარი შეტყობინებით ან მოულოდნელად შეამოწმებს პროექტის უბნებს და იქ ჩატარებულ სამუშაოებს.

<u>მოთხოვნები:</u>

- უმაღლესი სასწავლებლის ხარისხი ბიზნესის და/ან გარემოს მართვაში;
- მინიმუმ 10-წლიანი გამოცდილება ბიზნესის და/ან ბუნებრივი რესურსების დაგეგმვისა და მართვის სფეროში (სასურველია დაცული ტერიტორიების ფინანსური დაგეგმვისა და მართვის კუთხით);
- პროექტის მართვის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება;
- სასურველია პროექტის ადგილობრივ მონაწილე მხარეებთან და უწყებებთან მუშაობის გამოცდილება;
- დიდი, მრავალმონაწილიანი პროექტის მართვის უნარი;
- ბიუჯეტის მართვის, პარტნიორებთან თანამშრომლობისა და პროექტში ჩართულ ჯგუფებთან ურთიერთობის უნარი;
- დოკუმენტის მომზადების, მოხსენებისა და ანგარიშგების ძლიერი პროფესიული ჩვევები;
- კომპიუტერული პროგრამების ზედმიწევნით ცოდნა;
- წერილობითი ურთერთობის გამორჩეული უნარი;
- სავალდებულოა ქართული და ინგლისური ენების პრაქტიკული ცოდნა.

პროექტის ადმინისტრაციული თანაშემწე

ზოგადი პირობები

პროექტის ადმინისტრაციული თანაშემწე იქნება ღია კონკურსის წესით არჩეული ადგილობრივი პირი, რომელიც იმუშავებს არასრულ განაკვეთზე და პასუხს აგებს პროექტის ადმინისტრაციულ მართვაზე. ის ანგარიშვალდებულია პროექტის ხელმძღვანელის წინაშე. ჩვეულებრივ, პროექტის ადმინისტრაციული თანაშემწე ვალდებულია, პროექტის ხელმძღვანელს პროექტით გათვალისწინებული სახელისუფლო ვალდებულბების (პროექტის განხორციელების ადგილობრივი ფორმის) შესრულებაში დაეხმაროს.

უფლება-მოვალეობანი

- შეაგროვებს, აღრიცხავს და შეინახავს ყოველგვარ ინფორმაციას პროექტის საქმიანობის შესახებ;
- მონაწილეობას მიიღებს პროგრესის ამსახველი ანგარიშების მომზადებასა და განხორციელებაში;
- მეთვალყურეობას გაუწევს პროექტის საქმიანობას, ბიუჯეტსა და ფინანსურ ხარჯებს;
- პროექტის ყველა პარტნიორს გააცნობს შესაბამის ადმინისტრაციულ წესებს და უზრუნველყოფს მათ დაცვას;
- შეინახავს პროექტთან დაკავშირებულ კორესპონდენციასა და მიმოწერას;
- თავის წვლილს შეიტანს პროექტის სამუშაო გეგმების მომზადებასა და სამეურნეო და საფინანსო დაგეგმვაში;
- მონაწილეობას მიიღებსშესყიდვების განხორციელებასა და პერსონალის დაქირავებაში;
- შესაბამის პირებს დაეხმარება პროექტის ბიუჯეტითა და სამუშაო გეგმებით გათვალისწინებული სამეურნეო ხარჯების, ხელფასების, დაზღვევისა და სხვ. გადახდის ფურცლების მომზადებაში;
- UNDP-ის საქართველოს ოფისთან ურთიერთობით უზრუნველყოფს თანხების დროულ გადახდას;
- მიიღებს, დაახარისხებს და გაანაწილებს წერილებს და თან დაურთავს საჭირო დამხმარე ინფორმაციას;
- პროექტის ხელმძღვანელისთვის ხელმოსაწერად მოამზადებს წერილებსა და დოკუმენტებს;
- მონაწილეობას მიიღებს კრებების, ტრენინგებისა და სემინარების მოწყობაში;
- ამზადებს პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებული გასვლების, შეხვედრებისა და კრებების განრიგს, მონაწილეობს მათ მოწყობაში და წერს კრებების ოქმებს;
- აწარმოებს პროექტის დოკუმენტაციის აღრიცხვას;
- აღწერს პროექტის აღჭურვილობას;
- საჭიროებისამებრ ასრულებს სხვა დავალებებს.

<u>მოთხოვნები:</u>

- უმაღლესი განათლება (დიპლომი ან მისთ.);
- ადმინისტრაციული და/ან ფინანსური მართვის 5-წლიანი გამოცდილება;
- პროექტის ბიუჯეტის მართვისა და ფინანსური ხარჯების შემოწმების გამორჩეული უნარი;
- სხვადასხვა მონაწილე მხარესთან ურთიერთობისა და შეხვედრების და/ან კრებების მოწყობის უნარი;
- კომპიუტერული პროგრამების, განსაკუთრებით MS Office-ის, ზედმიწევნით ცოდნა;
- წერილობითი ურთერთობის გამორჩეული უნარი;
- სავალდებულოა ქართული და ინგლისური ენების პრაქტიკული ცოდნა.

პროექტის ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორი

<u>ზოგადი პირობები</u>

პროექტის ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორი იქნება ღია კონკურსის წესით არჩეული ადგილობრივი პირი, რომელიც იმუშავებს არასრულ განაკვეთზე და პასუხს აგებს პროექტის ტექნიკურ მხარეზე. ის ანგარიშვალდებულია პროექტის ხელმძღვანელის წინაშე, თუმცა ტექნიკურად მისი ხელმძღვანელი ასევე არასრულ განაკვეთზე მომუშავე მთავარი ტექნიკური მრჩეველია. ჩვეულებრივ, ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორი ვალდებულია, პროექტის ხელმძღვანელს პროექტით გათვალისწინებული სახელისუფლო ვალდებულებების (პროექტის განხორციელების ადგილობრივი ფორმის) შესრულებაში დაეხმაროს.

<u>უფლება-მოვალეობანი</u>

პროექტის ადგილობრივმა ტექნიკურმა კოორდინატორმა უნდა უხელმძღვანელოს პროექტის ტექნიკური დავალებების სწორად და დროულად შესრულებას დღიდან დღემდე. უფრო კონკრეტულად:

სამუშაო გეგმები და ანგარიშები
ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორი პროექტის ხელმძღვანელს დაეხმარება ყველა სამუშაო გეგმისა თუ ანგარიშის (მათ შორის, წლიური სამუშაო გეგმის, პროექტის განხორციელების, კვარტალური და დასკვნითი ანგარიშები) ტექნიკური ნაწილის მომზადებაში.

ტექნიკური მრჩევლების დაქირავება და მათიხელმძღვანელობა

- კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობათა ჩამონათვლის მომზადება: პროექტის ფარგლებში დაქირავებული ადგილობრივიდა უცხოელი მრჩევლების თუკომპანიებისპასუხისმგებლობებისა და მუშაობის სასურველი შედეგების განსაზღვრა

და მათ საფუძველზე კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობათა ჩამონათვლის მომზადება ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორის უმთავრესი ფუნქციაა.

- ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორი წამყვან როლს შეასრულებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებისა თუ კომპანიების შერჩევაში.
- ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორი უხელმძღვანელებს ტექნიკური მრჩევლების მიერ შესაბამისი სამუშაო გეგმების მომზადებას, დააკვირდება წინსვლას და, საჭიროებისამებრ, გასცემს ტექნიკურ მითითებებს.
- ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორი უხელმძღვანელებს დაქირავებული მრჩევლების მიერ გაწეულ სამუშაოს პროექტის მიზნების შესასრულებლად, რისთვისაც პერიოდულად გამართავს კრებებს.

ტექნიკური ანგარიშების მომზადების პროცესის მეთვალყურეობა და მათთვის საბოლოო სახის მიცემა:

ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორი პასუხისმგებელია, შეისწავლოს, მისდიოს და საბოლოო სახე მისცეს პროექტის ფარგლებში მომზადებულ ტექნიკურ ანგარიშებს, მოწინავე პრაქტიკისა და გამოცდილების ამსახველ დოკუმენტაციას, პუბლიკაციებსა და სხვ.

ტექნიკური საკოორდინაციო ჯგუფი და მისი ურთიერთობა პროექტის ტექნიკურ პარტნიორებთან

- ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორი იქნება პროექტის ტექნიკური საკოორდინაციო ჯგუფის თავმჯდომარე და პასუხს აგებს ამ ჯგუფის მიზნების წარმატებით მიღწევაზე (ანუ უზრუნველყოფს ტექნიკურ კოორდინაციასა და ინფორმაციის გაზიარებას პროექტის სხვადასხვა პარტნიორს შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის განსამტკიცებლად).

ურთიერთობა მთავარ ტექნიკურ მრჩეველთან

- ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორი კონსულტაციებს გაივლის არასრულ განაკვეთზე მომუშავე მთავარ ტექნიკურ მრჩეველთან პროექტის სათანადო ტექნიკური მიმართულების დაცვის მიზნით.
- ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორი უშუალოდ დაეხმარება და მჭიდროდ ითანამშრომლებს მთავარ ტექნიკურ მრჩეველთან მისი საქართველოში ყოფნის დროს, განსაკუთრებით პროექტის საწყის ეტაპზე შედეგების ქმედითობის უზრუნველსაყოფად და პროექტის მიმდინარეობისას შესასრულებელი ტექნიკური დავალებების სწორად აღსაქმელად.

მონიტორინგი და შეფასება

- ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორი უშუალოდ პასუხისმგებელია მონიტორინგისა და შეფასების გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკული დავალებების

შესრულებასა და მონაცემთა ბაზის შექმნაზე, სადაც შევა, დამუშავდება და მომზადდება მასალები პროექტის წინსვლის შესაფასებლად მაჩვენებლებთან მიმართებით.

- ადგილობრივიტექნიკურიკოორდინატორი აქტიურად დაეხმარება შესაბამის სპეციალისტებს შუალედური და დასკვნითი დამოუკიდებელი შეფასებების მომზადებაში.

<u>მოთხოვნები</u>

- უმაღლესი სასწავლებლის ან უფრო მაღალი ხარისხი შესაბამის სამეცნიერო სფეროში (ბიომრავალფეროვნება, გარემოს მართვა ან მისთ.);
- მინიმუმ 10-წლიანი გამოცდილება ბუნებრივი რესურსების (სასურველია დაცული ტერიტორიების) დაგეგმვისა და მართვის სფეროში;
- სასურველია საერთაშორისო (იდეალურია UNDP-ის) პროექტში მუშაობის გამოცდილება;
- სასურველია პროექტის ადგილობრივ მონაწილე მხარეებთან და უწყებებთან მუშაობის გამოცდილება;
- ცენტრალურ, სამხარეო და ადგილობრივ მონაწილეებთან ურთიერთობისუნარი;
- სამუშაოს სწორად დაგეგმვისა და პრობლემის სწორი მეთოდებით გადაწყვეტის უნარი;
- პარტნიორებთან თანამშრომლობისა და პროექტში ჩართულ ჯგუფებთან წარმატებით მუშაობის უნარი;
- დოკუმენტის მომზადების, მოხსენებისა და ანგარიშგების ძლიერი პროფესიული ჩვევები;
- კომპიუტერული პროგრამების ზედმიწევნით ცოდნა;
- წერილობითი ურთერთობის გამორჩეული უნარი;
- სავალდებულოა ქართული და ინგლისური ენების (კარგი იქნება რუსულისაც) პრაქტიკული ცოდნა.

სხვა მრჩეველები

თანამდებობა	*შესასრულებელი დავალებები*
ადგილობრივი	
მრჩეველი დაცული ტერიტორიების მართვაში ადგილობრივი თემების მონაწილეობის საკითხებში	ხელს შეუწყობს ადგილობრივ თემთა მონაწილეობას დაცული ტერიტორიების მართვის დაგეგმვასა და მართვაში, ასევე სათემო ორგანიზაციების შექმნასა და სხვა მსგავს საკითხებში.
მრჩეველი დაცული ტერიტორიების შესაძლებლობათა განვითარების საკითხებში	შესაძლებლობათა განვითარების საკითხებზე მომუშავე უცხოელ მრჩეველთან ერთად გამოავლენს, რა მიმართულებით სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება დაცული ტერიტორიების თანამშრომლებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას; შეიმუშავებს სასწავლო და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავების პროგრამებს თითოეული დაცული ტერიტორიისთვის და ხელს შეუწყობს მათ განხორციელებას
მრჩეველი დაცული	მონაწილეობას მიიღებს მონაცემთა ბაზის შექმნაში, რაც

თანამდებობა	*შესასრულებელი დავალებები*
ტერიტორიების საზღვრების დადგენისა და ზონებად დაყოფის საკითხებში(GIS)	თავდაპირველად გამიზნული იქნება მაჭახელას ეროვნული პარკის ზონებად დაყოფის გეგმის მომზადებასა და დამტკიცებაზე, უფრო შორსმიმავალი პერსპექტივით კი ეკოლოგიური და მიწათსარგებლობის მონიტორინგზე, სამეცნიერო კვლევებზე და მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაზე
მრჩეველი დაცული ტერიტორიების ფინანსური დაგეგმვის საკითხებში	ტექნიკური რჩევებით ჩაებმება დაცული ტერიტორიების ბიზნეს-გეგმების მომზადებაში და ხელს შეუწყობს დაცული ტერიტორიების მდგრადი ფინანსური მექანიზმების შემუშავებას
მრჩეველი ეკოლოგიური განათლებისა და საზოგადოების შეგნების ამაღლების საკითხებში	პასუხისმგებელია მაჭახელას ეროვნული პარკის მართვის გეგმით გათვალისწინებული საქმიანობისა და მისი მიზნების მონაწილე მხარეების ყურამდე სწორად მიტანაზე და ეკოლოგიური განათლებისა და საზოგადოების შეგნების ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებაზე
მრჩეველი ტურიზმის საკითხებში	მონაწილეობას მიიღებს ტურიზმის გონივრულად განვითარებისთვის საჭირო ნაბიჯების დადგენაში, შესაბამისი სტრატეგიის დაგეგემვასა და ტურიზმის განვითარების პრაქტიკული გეგმების შემუშავებაში
მრჩეველი შესაფერისი ტექნოლოგიებისა და განახლებადი ენერგიის საკითხებში	შეისწავლის ამ მხარეში მსგავსი ტექონოლოგიების გამოყენების პრაქტიკულ მაგალითებსა და შესაბამის საერთაშორისო გამოცდილებას, რის საფუძველზეც მოამზადებს რეკომენდაციებს, როგორ შეიძლება პროექტი დაეხმაროს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებსა და ადგილობრივ თემებს ამ ტექნოლოგიების გაცნობასა და დანერგვაში (ბუნებრივ რესურსებზე ზემოქმედების შესამცირებლად და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად)
მრჩეველი სოფლის მცხოვრებთა საარსებო გარემოს გაუმჯობესებისა და აგრობიზნესის საკითხებში	შეისწავლის და წარმოადგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს ახლებურ მიდგომებზე, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი თემების საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე და ეთანხმება დაცული ტერიტორიების მიზნებსა და ამოცანებს
შეფასების ადგილობრივი სპეციალისტი	იქნება შუალედური და დასკვნითი შეფასების ჯგუფის წევრი
უცხოელი	
მთავარი ტექნიკური მრჩეველი	უზრუნველყოფს საერთო ტექნიკური მიმართულების პროექტის მიზნებსა და საბოლოო შედეგებთან შესატყვისობას. საამისოდ პერიოდულად გასცემს სტრატეგიულ რჩევებს და პროექტის ხელმძღვანელსა და ადგილობრივ ტექნიკურ კოორდინატორს ეხმარება პროექტის მართვის დახვეწაში. მისი რეკომენდაციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება პროექტის საწყის და მისი განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, შუალედური შეფასებისშემდგომ და დასკვნით ფაზებში (რომ განაპირობოს გამოცდილებისა და მოწინავე პრაქტიკის დოკუმენტურად აღნუსხვის სიკეთე და ხელი შეუწყოს პროექტის დასრულების სტრატეგიის მომზადებასა და განხორციელებას)

თანამდებობა	*შესასრულებელი დავალებები*
მრჩეველი (ინსტრუქტორი) დაცული ტერიტორიის მართვის დახვეწისა და ადგილობრივ თემთა მონაწილეობის საკითხებში	დაინტერესებულ მხარეებს გაუზიარებს ცოდნას დაცულიტერიტორიის მართვის დახვეწისა და ამ პროცესში ადგილობრივ თემთა გონივრული მონაწილეობის მეთოდების შესახებ. გასცემს რჩევებს დაცული ტერიტორიის, კერძოდ მაჭახელას ეროვნული პარკის, მართვისა და სამეურნეო გეგმების საორგანიზაციო სტრუქტურის თაობაზე.შეისწავლის მთავარ მონაწილე მხარეთა შესაძლებლობებს და დაადგენს, რა მიმართულებით უნდა ამაღლდეს დაცული ტერიტორიების თანამშრომელთა კვალიფიკაცია და მოამზადოს შესაბამისი სასწავლო გეგმა.
შეფასების უცხოელი სპეციალისტი	იხ. UNDP-ის პროექტის დოკუმენტი

ამ თანამდებობათა კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობათა სრულ დაწვრილებით ჩამონათვალს მოამზადებს პროექტის უკვე დაქირავებული ხელმძღვანელი ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორის დახმარებით.

IIნაწილი: პროექტისრუკები

I. სიტუაციური რუკა- პროექტის დაფარვის არე: კინტრიშის, მტირალას, ჯამილისა (თურქეთი) და მაჭახელას (დაგეგმილი) დაცული ტერიტორიები



IIრუკა: მტირალას ეროვნული პარკის საზღვრები და ბუფერული ზონა



IIIრუკა: კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი და დაცული ლანდშაფტი

IV რუკა: მაჭახელას ეროვნული პარკის დაგეგმილი საზღვრები



V რუკა: ტყის სახეები მაჭახელას ეროვნული პარკისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე



IIIნაწილი: მხარეთაპროექტშიჩაბმისგეგმა

1. მონაწილე მხარეთა გამოვლენა

პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე ჩატარდა ანალიზი მთავარ მონაწილე მხარეთა გამოსავლენად, მათი პროექტისადმი ინტერესების შესაფასებლად და მათი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის განსასაზღვრად. იხ. ცხრილი პარაგრაფში „პროექტის მონაწილე მხარეთა შესწავლა“, სადაც მოცემულია მონაწილე მხარეთა გამოსავლენად საჭირო კატეგორიები და მათი პროექტში ჩაბმის ხარისხი.

აღნიშნული ცხრილის მიხედვით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და დაცული ტერიტორიების სააგენტო მთავარი უწყებებია, რომლებიც პასუხს აგებენ პროექტის განხორციელების სხვადასხვა ასპექტზე. ისინი მჭიდროდ ითანამშრომლებენ სხვა შესაბამის საჯარო უწყებებთან.

2. ინფორმაციის გაზიარება, კონსულტაციები და პროექტის მოსამზადებელი გრანტის ფაზაში განხორციელებული მსგავსი ღონისძიებები

პროექტის მიმდინარეობის მანძილზე მჭიდრო კავშირი დამყარდა მხარეებთან ცენტრალურ, სამხარეო (აჭარა) და ადგილობრივ დონეებზე. ყველა შესაბამისი ცენტრალური თუ ადგილობრივი უწყება ისევე, როგორც წამყვანი დონორები (განსაკუთრებით ევროკავშირი და KfW), უშუალოდ ჩაებნენ პროექტის განხორციელებაში. ყველა მხარემ მონაწილეობა მიიღო კონსულტაციებში პროექტის გეგმის სხვადასხვა ასპექტის თაობაზე. კონსულტაციები მიმდინარეოდა ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებების, აჭარის დაცულ ტერიტორიებსა (კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსი და მტირალასა და მაჭახელას ეროვნული პარკები) და მიმდებარე უბნებზე გასვლების, სემინარებისა (სამხარეო და ცენტრალურ დონეებზე) და ელექტრონული მიმოწერისას. პროექტის მოსამზადებელი ღონისძიებების აღწერა განსახილველად გადაეცა ყველა მონაწილე მხარეს და მათგან მიღებული შენიშვნების საფუძველზე პროექტის მოკლე საბოლოო სამუშაო ვერსია დასამტკიცებლად წარადგინეს მონაწილე მხარეთა გაერთიანებულ სემინარზე.

3. მხარეთა მონაწილეობის დადებითი მხარეები

პროექტში მხარეთა მონაწილეობის დადებითი მხარეები მომდევნო ცხრილში:

დადებითი მხარეები	მხარეთა მონაწილეობით:
მომგებიანობა	პროექტი უფრო მომგებიანი გახდება
ყოვლისმომცველობა	პროექტში ჩაებმება ყველა შესაბამისი მხარე
გახსნილობა	მათი პროექტში მონაწილეობის პროცესი იქნება გახსნილი
გამჭვირვალობა	ინფორმაცია იქნება გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი; პროექტის გეგმების

დადებითი მხარეები	**მხარეთა მონაწილეობით:**
	მთავარი დებულებები და შედეგები გამოქვეყნდება ადგილობრივ მედიაში
სამართლიანობა	მათდამი დამოკიდებულება იქნება სამართლიანი და მიუკერძოებელი
ანგარიშვალდებულება	შესრულდება მათი ანგარიშვალდებულების პირობა
კონსტრუქციულობა	მოგვარდება კონფლიქტები და გაღვივდება საზოგადოებრივი ინტერესი
აღდგენა	აღდგება თანასწორობა და სამართლიანობა
შესაძლებლობათა განვითარება	განვითარდება მათი შესაძლებლობები
საჭიროებათა გათვალისწინება	გათვალისწინებული იქნება მათი საჭიროებანი
მოქნილობა	მათი პროექტში მონაწილეობის პროცესი იქნება მოქნილი
გონივრულობა და შენთახმებულობა	მათი მონაწილეობა იქნება არა სპონტანური, არამედ გონივრულად დაგეგმილი და შეთანხმებული
სრულყოფა	განუწყვეტლივ მოხდება მათი სრულყოფა

4. მონაწილე მხარეთა ჩაბმის გეგმა

პროექტი იმგვარადაა შედგენილი, რომ უზრუნველყოს მხარეთა აქტიური და ჯეროვანი მონაწილეობა პროექტის განხორციელებაში. ეს რამდენიმე ელემენტითაა განპირობებული:

(i) <u>პროექტის საორგანიზაციო სემინარი, რომელიც მონაწილე მხარეებს პროექტის დაწყების შესახებ ამცნობს</u>

პროექტი ამოქმედდება მხარეთა გაერთიანებულ სემინარზე, სადაც მონაწილეები უახლეს ინფორმაციას მიიღებენ პროექტისა და მისი სამუშაო გეგმის შესახებ და სადაც საფუძველი ჩაეყრება პროექტთან დაკავშირებულ საკონსულტაციო პროცესს.

(ii) <u>პროექტის აღმასრულებელი საბჭოს შექმნა მხარეთა ინტერესების წარმოსადგენად პროექტში</u>

პროექტის აღმასრულებელი საბჭო შეიქმნება, რომ ფართოდ წარმოადგინოს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით არსებული მთავარი ინტერესები. აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობა და უფლება-მოვალეობები აღწერილია პროექტის დოკუმენტისI თ ა ვ ი ს III ნ ა წ ი ლ ში (მართვის სქემა).

(iii) <u>პროექტის ტექნიკური საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა</u>

(iv) <u>პროექტის მმართველი ჯგუფის შექმნა პროექტის განხორციელების პროცესში მხარეთა მონაწილეობის ხელმძღვანელობის მიზნით</u>

პროექტის მმართველი ჯგუფი, პროექტის ხელმძღვანელის, ადგილობრივი ტექნიკური კოორდინატორისა და პროექტის ადმინისტრაციული თანაშემწის შემადგენლობით, უშუალოდ შეუწყობს ხელს მხარეთა პროექტის განხორციელებაში ჩაბმასა და პროექტისა და მისი შედეგების გათავისებას. მმართველი ჯგუფი დაფუძნდება ბათუმში, პროექტით გათვალისწინებულ დაცულ ტერიტორიებთან და წამყვან ადგილობრივ მხარეებთან ახლოს, რაც განაპირობებს სისტემატურ ურთიერთობებს. დაცული ტერიტორიების სააგენტო დანიშნავს საკონტაქტო პირს უწყვეტი კავშირის უზრუნველსაყოფად პასუხისმგებელ სახელმწიფო სააგენტოსთან.

(v) <u>საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმა</u>

პროექტის ფარგლებში მომზადდება და ამოქმედდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია, რაც პროექტის მონაწილე მხარეებს მუდმივად ამცნობს პროექტის ამოცანების, ღონისძიებების, წინსვლისა და პროექტის განხორციელების სხვადასხვა ასპექტში ჩაბმის შესაძლებლობის შესახებ.

(vi) <u>ადგილობრივ მონაწილე მხარეთა უშუალო ჩაბმა პროექტის განხორციელების პროცესში</u>

პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი პროექტით გათვალისწინებული დაცული ტერიტორიის მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ თემთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფაა. საამისოდ ბევრი გზა არსებობს, თუმცა უმთავრესი სათემო ორგანიზაციების შექმნაა. ეს იქნება ადგილობრივ თემთა წარმომადგენლობითი ერთეული მოცემულ დაცულ ტერიტორიაზე, რომელიც უშუალოდ ჩაებმება მართვის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებში. ტექნიკური საკოორდინაციო ჯგუფის რეგულარული კრებები ყველა მხარეს, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლებისა და თემების წარმომადგენლებს, შეხვედრისა და აზრთა გაზიარების საშუალებას მისცემს.

(vii) <u>ერთობლივი მართვის სტრუქტურების შექმნა პროექტში მხარეთა მონაწილეობის განსამტკიცებლად</u>

პროექტი შეეცდება, განამტკიცოს მაჭახელას ეროვნული პარკის ერთობლივი მართვის სტრუქტურები*(მაგ., პარკის მმართველი საბჭო)* პროექტისა და პარკის ღონისძიებებში მხარეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და, შესაბამის პარტნიორებთან თანამშრომლობით (ევროკავშირი და KfW), ხელი შეუწყოს ამგვარ მონაწილეობას პროექტით გათვალისწინებული სხვა დაცული ტერიტორიების მმართველ საბჭოებში.

(viii) <u>შესაძლებლობათა განვითარება</u>

პროექტით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება მიმართულია სისტემის, უწყებებისა თუ ცალკეული ერთეულების შესაძლებლობათა განვითარებაზე პროექტში (საწყის ეტაპზე) ჩადებული თანხების მდგრადობის უზრუნველსაყოფად. პროექტის პარტნიორები (კერძოდ ევროკავშირი) მნიშვნელოვან სახსრებს მიმართავენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს შესაძლებლობათა განვითარებაზე.GEF-ის სახსრები კი მოხმარდება დაცულ ტერიტორიებს (როგორც დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებს, ისე ადგილობრივ ხელისუფლებასა და თემებს).

5. თანამშრომლობა სხვა მსგავს წამოწყებებთან

პროექტი მჭიდროდ ითანამშრომლებს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან და ხელს შეუწყობს მის საქმიანობას მმართველობის, უწყებრივი და სამართლებრივი რეფორმების გასატარებლად, რომლებიც ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს. პროექტი საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის მხარდამჭერი საერთო დონორი პროგრამის ნაწილია. ის მჭიდროდ ითანამშრომლებს ზოგადად საქართველოს, კონკრეტულად კი აჭარის დაცული ტერიტორიების სისტემის დახმარებაში ჩაბმულ დონორ ორგანიზაციებთან (ევროკავშირი, KfW, ბუნების მსოფლიო ფონდი, აშშ შინაგან საქმეთა დეპარტამენტი და კავკასიის ბუნების ფონდი), არასამთავრობოებთან და ცენტრალურ თუ ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

IVნაწილი: წერილებითანადაფინანსებისვალდებულებისშესახებ

[წერილების ნიმუშებისთვის იხ. ცალკე ფაილი]

თანადამფინანსებელი	*თარიღი*	*წერილებში აღნიშნული თანხა*	*პროექტის თანადაფინანსებისთვის გათვალისწინებული თანხა (აშშ დოლარში)*
UNDP-TRAC	20.09.2013	150,000 $$	150,000
დაცული ტერიტორიების სააგენტო (ცენტრალური ხელისუფლება)	23.05.2013	1,395,490 $$	1,395,490
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	31.05.2013	7,638,036 $$	7,638,036
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	30.04.2013	2,805951 ლარი	1,757,553
KfW	15.05.2013	2,317,063 $$	2,317,063
ბუნების მსოფლიო ფონდი	18.06.2013	100,000 $$	100,000
აშშ შინაგან საქმეთა დეპარტამენტი	30.05.2013	40,000 $$	40,000
კავკასიის ბუნების ფონდი	14.05.2013	240,000 €	317,000
სულ			**13,605,142**

Vნაწილი: ტექნიკურიანგარიშები

ანგარიშები
1. აჭარის ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები(მიღება შესაძლებელია მოთხოვნის საფუძველზე)
2. საქართველოს, განსაკუთრებით კი აჭარის, დაცული ტერიტორიების ფინანსური მართვა (მიღება შესაძლებელია მოთხოვნის საფუძველზე)
3. შესაძლებლობათა შეფასების ანგარიში: კინტრიშის დაცულიტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციები(მიღება შესაძლებელია მოთხოვნის საფუძველზე)

VIნაწილი: METTდაშესაძლებლობათაგანვითარებისშეფასებისფურცელი

შეფასების ფურცელი
1. * მართვის ქმედითობის შეფასების ინსტრუმენტი (METT) - მტირალას ეროვნული პარკი, კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი და დაცული ლანდშაფტი (თან ერთვის ცალკე ფაილის სახით)
2. ** დაცული ტერიტორიების სისტემების შესაძლებლობათა განვითარების შეფასების ფურცლები (იხ. ქვემოთ)

* 1 და 2 თავმოყრილია ერთ ფაილში GEF -ის ნიმუშის თანახმად;

** შემაჯამებელი ქულები და დეტალები მოცემულია ქვემოთ.

შესაძლებლობათა განვითარების შეფასების ცხრილი დაცული ტერიტორიების სისტემისთვის (შეჯამება)										
სტრატეგიულიმხარდასაჭერი მიმართულებები	**სისტემური**			**უწყებრივი**			**ცალკეული**			**საშუალო პროცენტული მაჩვენებელი**
	პროექტის ქულები	ერთიანი შესაძლო ქულა	%	პროექტის ქულები	ერთიანი შესაძლო ქულა	%	პროექტის ქულები	ერთიანი შესაძლო ქულა	%	
(1) სექტორული და სექტორთაშორისი სტრატეგიებისა და მარეგულირებელი სქემის გააზრებისა და შექმნის უნარი	4	6	67%	1	3	33%	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	50%
(2) სექტორული და სექტორთაშორისი პროგრამებისა და პროექტების შექმნის, ამოქმედებისა და განხორციელების უნარი	4	9	44%	13	27	48%	6	12	50%	48%
(3) პარტნიორული ურთიერთბების (მათ შორის სამოქალაქო საზოგადეოებასა და კერძო სექტორთან) დამყარებისა და მართვის უნარი	3	6	50%	3	6	50%	1	3	33%	44%
(4) სტრატეგიული გეგმებისა და შესაბამისი კონვენციების მოთხოვნებთან დაკავშირებულიტექნიკური უნარ-ჩვევები	1	3	33%	1	3	33%	1	3	33%	33%
(5) მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების უნარი სექტორისა და პროექტის დონეებზე	2	6	33%	3	6	50%	1	3	33%	39%
erTiani ქულა და საშუალო	**14**	**30**	**46%**	**21**	**45**	**43%**	**9**	**21**	**38%**	**43%**

პროცენტული მაჩვენებლი										

სისტემური	14/30	46%
უწყებრივი	21/45	43%
ცალკეული	9/21	38%
საშუალო		43%

დანართი: საქართველოსკანონიმაჭახელასეროვნულიპარკისშესახებ

ვებგვერდი, 29/05/2012
სარეგისტრაციო კოდი
360060000.05.001.016742

საქართველოს კანონი
მაჭახელას ეროვნული პარკის შესახებ

მუხლი 1. ძირითადი დებულებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უნიკალური ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, კოლხური ტყეების ეკოსისტემების ხანგრძლივად დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოში ტურისტული და რეკრეაციული საქმიანობის განვითარების უზრუნველსაყოფად ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს, რომელთა საერთო ფართობია 8733 ჰექტარი, მიენიჭოს დაცული ტერიტორიის კატეგორიის – ეროვნული პარკის – სტატუსი და ეწოდოს მაჭახელას ეროვნული პარკი.

2. მაჭახელას ეროვნული პარკის საერთო ფართობისათვის მიკუთვნებული ტერიტორია იყოფა შემდეგ ბუნებრივ-გეოგრაფიულ ნაწილებად:

ა) მაჭახელას ეროვნული პარკის ჩრდილოეთი ნაწილი – მისი საერთო ფართობია 2945 ჰექტარი. ჩრდილოეთი ნაწილი მდებარეობს ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე და მოიცავს:

ა.ა) ხელვაჩაურის ყოფილი სატყეო მეურნეობის მაჭახელას სატყეოს №2 კვარტლის №10 და №№12–13 ლიტერებსა და №№3–11 კვარტლებს – სულ 1500 ჰექტარს;

ა.ბ) ხელვაჩაურის ყოფილი სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის აჭარისწყლის ტყის უბნის №12 კვარტლის №4ა ლიტერის ნაწილსა და №5 ლიტერს, №16 კვარტლის №1ა და №2 ლიტერების ნაწილსა და №3, №3ა და №5 ლიტერებს – სულ 81ჰექტარს;

ა.გ) ხელვაჩაურის ყოფილი სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის ქედქედის ტყის უბნის №№1–6 კვარტლების ნაწილს – სულ 201 ჰექტარს;

ა.დ) ხელვაჩაურის ყოფილი სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის ჩხუტუნეთის ტყის უბნის №№1–6 კვარტალების ნაწილს, №7 კვარტალს, №№8–9, №№13–14, №16 და №20 კვარტალების ნაწილსა და №№21–22 კვარტალებს – სულ 1028 ჰექტარს;

ა.ე) ქედის ყოფილი სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის დოლოგნის ტყის უბნის №32 კვარტლის №6დ ლიტერის ნაწილს, №33 კვარტლის №1ბ, №3ბ, №№4ა–4ბ, №№5–5ა და №6ა ლიტერებს, №36 კვარტლის №№1–2ა და №№3–4 ლიტერების ნაწილსა და №№5–5ბ, №№6–6ა და №7 ლიტერებს – სულ 135 ჰექტარს;

ბ) მაჭახელას ეროვნული პარკის სამხრეთი ნაწილი – მისი საერთო ფართობია 5788 ჰექტარი. სამხრეთი ნაწილი მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე და მოიცავს:

ბ.ა) ხელვაჩაურის ყოფილი სატყეო მეურნეობის მაჭახელას სატყეოს №№12–29 კვარტლებს – სულ 2809 ჰექტარს;

ბ.ბ) ხელვაჩაურის ყოფილი სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის კირნათის ტყის უბნის №13 კვარტლის ნაწილს, №14 კვარტალს, №15 კვარტლის ნაწილსა და №№16–19 კვარტლებს – სულ 660 ჰექტარს;

ბ.გ) ხელვაჩაურის ყოფილი სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის ქედქედის ტყის უბნის №№7–19 კვარტალების ნაწილსა და №15 კვარტალს – სულ 1099 ჰექტარს;

ბ.დ) ხელვაჩაურის ყოფილი სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის ჩხუტუნეთის ტყის უბნის №№10–12, №15, №№17–19 და №№23–27 კვარტლების ნაწილსა და №№28–30 კვარტლებს – სულ 1220 ჰექტარს.

3. მაჭახელას ეროვნული პარკის საერთო ფართობისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების სატყეო და სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობების, სატყეოების/ტყის უბნების, კვარტლებისა და ლიტერების, რომლებიც ამ მუხლის მე-2 პუნქტითაა განსაზღვრული, მიხედვით აღწერის საფუძველია:

ა) ხელვაჩაურის ყოფილი სატყეო მეურნეობისთვის – ხელვაჩაურის სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზებისა და განვითარების 1997–2007 წლებისთვის შედგენილი გეგმის პროექტი;

ბ) ხელვაჩაურის ყოფილი სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობისთვის – ხელვაჩაურის სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზებისა და განვითარების 1983–1993 წლებისთვის შედგენილი გეგმის პროექტი;

გ) ქედის ყოფილი სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობისათვის – ქედის სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზებისა და განვითარების 1983–1993 წლებისათვის შედგენილი გეგმის პროექტი.

მუხლი 2. მაჭახელას ეროვნული პარკის მდებარეობა

მაჭახელას ეროვნული პარკის ტერიტორიის გარე პერიმეტრი მდებარეობს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებში:

ა) ჩრდილოეთი ბუნებრივ-გეოგრაფიული ნაწილისა:

#	X	Y	#	X	Y	#	X	Y
1	726980	4599912	16	740096	4599904	31	734736	4601023
2	728317	4600454	17	740114	4599410	32	733803	4600650
3	735335	4601702	18	739439	4599016	33	733763	4601221
4	741206	4601751	19	739411	4598769	34	733591	4600671
5	745791	4600356	20	738649	4598485	35	733577	4601288
6	741535	4596120	21	738365	4599250	36	731870	4600892
7	741139	4596373	22	737875	4599258	37	731016	4600481
8	740858	4596365	23	737558	4600030	38	730060	4600313
9	739942	4596572	24	737068	4599409	39	729427	4599710
10	740186	4597302	25	736241	4599970	40	729239	4599950
11	739252	4598137	26	736016	4599731	41	728796	4600190
12	740340	4598917	27	735292	4600288	42	728436	4599766
13	741391	4599370	28	735062	4599888	43	728104	4599827
14	741443	4599887	29	735216	4599474	44	728081	4599633
15	740721	4600089	30	733913	4600194			

ბ) სამხრეთი ბუნებრივ-გეოგრაფიული ნაწილისა:

#	X	Y	#	X	Y	#	X	Y
45	726339	4594917	60	735268	4595307	75	738567	4596507
46	728251	4596390	61	734966	4596256	76	738606	4595487
47	728086	4597093	62	735167	4596656	77	738846	4595431
48	728647	4597922	63	734414	4597700	78	738863	4595687
49	729651	4598103	64	735524	4598142	79	739566	4595735

50	730179	4597657	65	735708	4598712	80	740263	4595686
51	731177	4598793	66	736308	4598587	81	741064	4596007
52	732191	4598927	67	736541	4598145	82	740827	4595763
53	732261	4599629	68	736911	4597524	83	741190	4596035
54	733333	4599012	69	736973	4597927	84	741335	4596039
55	733159	4598528	70	737851	4597776	85	741522	4595912
56	733593	4597878	71	737132	4597254	86	741444	4596040
57	733339	4597383	72	737743	4597394	87	741525	4596045
58	733483	4597069	73	738091	4597423			
59	734041	4596711	74	738318	4596527			

მუხლი 3. მაჭახელას ეროვნული პარკის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი

1. მაჭახელას ეროვნული პარკის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობისა და მაჭახელას ეროვნული პარკის მართვის გეგმის შესაბამისად.

2. მაჭახელას ეროვნული პარკის საერთო ფართობისთვის მიკუთვნებულისახელმწიფო ტყის ფონდის მიწები სახელმწიფოს საკუთრებაა და გასხვისებას არექვემდებარება.

3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მაჭახელას ეროვნულიპარკის მართვის გეგმის შესაბამისად მაჭახელას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დასაშვებია ბუნებრივი რესურსებით (გარდა წიაღისა) რაციონალური სარგებლობა, მაჭახელას ეროვნული პარკის მიმდებარე თემებში შემავალი დასახლებული პუნქტების მოსახლეობის საჭიროებათა გათვალისწინებით.

4. მაჭახელას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აკრძალულია წიაღით სარგებლობა და სამონადირეო მეურნეობის მოწყობა.

მუხლი 4. მაჭახელას ეროვნული პარკის მართვა

1. მაჭახელას ეროვნული პარკის სახელმწიფო მართვა ხორციელდება „დაცულიტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. სხვა სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიმაჭახელას ეროვნული პარკის მართვაში მონაწილეობენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ეროვნული პარკის მართვის ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედების საფუძველზე.

მუხლი 5. მაჭახელას ეროვნული პარკის შექმნასთან დაკავშირებული მიწათსარგებლობისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები

ეს კანონი არ ვრცელდება მაჭახელას ეროვნული პარკის ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში ამავე კანონის ამოქმედებამდე არსებულ:

ა) ქონებრივ ურთიერთობებზე (მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის, უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, გაცვლის, გაჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემის, იპოთეკისა და იჯარით გაცემის შემთხვევებში არსებულ ურთიერთობათა ჩათვლით);

ბ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებანი

1. მაჭახელას ეროვნული პარკის ტერიტორიის ინვენტარიზაცია (მიწის ფართობის საზღვრების ნატურაში გამიჯვნა და საბოლოო დაზუსტება) და სამიწათმოწყობოდოკუმენტაციის მომზადების სამუშაოები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მაჭახელას ეროვნული პარკის მართვის გეგმის (რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა) ამოქმედებამდე მაჭახელას ეროვნული პარკის საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტყის ფონდის მიწებზე არსებულ ტყეებში (ტყით დაფარულ ფართობებზე) დასაშვებია მაჭახელას ეროვნული პარკის მიმდებარე თემებში შემავალი დასახლებული პუნქტების მოსახლეობის საჭიროებისათვის საშეშე მერქნის დამზადება, აგრეთვე ტყის არამერქნული რესურსებით, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებითა და ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2012 წლის 15 მაისი.
№6179-რს